საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (302)
3 - 9 ივნისი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

2 «ნატოს გაფართოების მომდევნო ეტაპზე საქართველო პრიორიტეტული ქვეყანა არ იქნება»

# რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?



„ივანიშვილმა ამერიკელების დავალება შეასრულა და მართლაც გამოაცოცხლა ის პარტიები, რომლებსაც პულსი არ ესინჯებოდათ, თანაც ისე, რომ ყველა ამ პარტიის წევრები წამყვან თანამდებობებზე დასვა“



4



„ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელით განხორციელებული ამერიკელების სურვილი. სახეზეა მცდელობა, საზოგადოებას თავს მოახვიონ ძალები, რომლებსაც ავტორიტეტი არ აქვთ და ხალხი არ ენდობა“

## ოდესევსის (არ)დაბრუნება




10

## 3 «ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის»

„ქვეყანას სჭირდება არაორდინარულად მოაზროვნე თავგანწირული პოლიტიკოსები, რომლებსაც კარგად ექნებათ გათვითცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, კეთილდღეობა და შემოსავლის წყარო კი არა, დიდი პასუხისმგებლობა და მძიმე ჯვარია“

## «აქვე მინდა, შევახსენოთ ნოე ჟორდანიას ნათქვამი: ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრება, სირცხვილის, დამცრობისა და უარყოფის გარდა, სხვა არაფრის ღირსი არაა»

16



## «საქართველოში ფაშისტური მოძრაობა ცოტა ხნის წინათ დაფუძნდა. ეს ორგანიზაცია უკრაინული დროშის ქვეშ მოქმედებს და მას სააკაშვილი და უკრაინელი ოლიგარქები მართავენ»

8

## სახალხო დამცველი ითხოვს სქესის შეცვლის აღიარებას კანონმდებლობით!



მამა დავით (ლასურაშვილი):

**რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპულ და ამერიკულ «ფასეულობებს», მით მეტად დავშორდებით ქრისტეს და ეკლესიას**

6

7

მამა დავითი (ისაკაძე):

**თუ ბატონ უჩა ნანუაშვილს სურს, ქალბატონი კონჩიტა გახდეს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ჩვენ ამას თავს ნუ გვახვევს!**



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მარინ ლე პენი: ევროკავშირი იმედების სასაფლაოდ იქცა!



**ევროპარლამენტარმა, საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ჩეხეთის პარლამენტში გამართულ კონფერენციაზე — „ევროპული სამყარო და აყვავება ევროკავშირის შემდეგ“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ევროკავშირი იმედების სასაფლაოდ და ბიუროკრატიულ კოშმარად იქცა.** „ევროპის კავშირი — ეს არის სიგიჟე, რომელიც ყალბი დემოკრატიის დროშას არის ამოფარებული და სახელმწიფოებს დამოკიდებულს ხდის. ეს არის უტოპიური პროექტი, რომელიც ევროპას თავს ისე მოახვიეს, რომ არც კი დაინტერესებულან, თანახმა იყო თუ არა. ევროპული თანამშრომლობის იდეა ბიუროკრატიულ კოშმარად და იმედების სასაფლაოდ იქცა“, — განაცხადა მარინ ლე პენმა.



## ფიროსმანის «არსენალის მთა ღამით» საჩუქრად ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა

**„ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ნიკო ფიროსმანის „არსენალის მთა ღამით“ საჩუქრად ხელოვნების მუზეუმს გადაეცემა და მისი ნახვის შესაძლებლობა ყველა მსურველს ექნება“, — ეს განცხადება ორგანიზაცია „მოქალაქემ“ გაავრცელა.**

ლონდონში „კრისტის“ აუქციონზე გაიყიდა ქართველი მხატვრის — **ნიკო ფიროსმანის** ნახატი „არსენალის მთა ღამით“. 1907-1908 წლებში შექმნილი ნახატი 800 ათასიდან მილიონ ორასი ათას გირვანქა სტერლინგამდე იყო შეფასებული და ის ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა.

1957 წელს „არსენალის მთა ღამით“ 60 წლის იუბილეზე ფრანგ პოეტ ლუი არაგონს აჩუქეს და წლების განმავლობაში ტილო მის პირად კოლექციაში ინახებოდა. ის 2007 წელს — „სოთბის“, ხოლო 2010 წელს ლონდონის აუქციონზე გაიყიდა.

ბიძინა ივანიშვილმა „არსენალის მთა ღამით“ მილიონ-ნახევარ დოლარად შეიძინა.

3 ივნისს ლონდონის „მაკდუგალის“ აუქციონზე კიდევ ერთი ქართველი მხატვრის ნამუშვარს გაიტანენ. ესაა **დავით კაკაბაძის** „იმერეთი“, რომელიც 40 ათას გირვანქა სტერლინგად არის შეფასებული.

## 5 თვეში ქართული ღვინის ექსპორტიდან მიღებული თანხა 30 მილიონ დოლარს აღემატება



**2015 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 31 ქვეყანაში ექსპორტირებულია 10 455 407 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 30 151 039 აშშ დოლარს შეადგენს.**

5 თვის მონაცემებით, ექსპორტის მატებაა ისეთ ბაზრებზე, როგორებიცაა ჩინეთი — 43%, იაპონია — 20%, ლატვია — 5%, ესტონეთი — 16%, გერმანია — 5%, აშშ — 28%, კანადა — 149%, და სხვ. ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქართული ღვინის შემსყიდველი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 4 760 721 ბოთლი, ყაზახეთი — 1 731 126, უკრაინა — 1 072 530, პოლონეთი — 644 672, ჩინეთი — 602 917.

ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში, რუსეთსა და უკრაინაში, ექსპორტის მკვეთრმა კლებამ გავლენა იქონია იანვარ-მაისის ექსპორტის მონაცემებზე, რომლებიც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 54%-ითაა შემცირებული. რუსეთში ღვინის ექსპორტი 70 %-ით შემცირდა, უკრაინაში კი — 57 %-ით.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში 15 ქვეყანაში ექსპორტირებულია 1 973 829 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 5 714 271 აშშ დოლარს აღწევს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის კვლავ ლიდერობენ რუსეთი (1 294 883) და უკრაინა (458 544).



## ნატოს გაფართოების მომდევნო ეტაპზე საქართველო პრიორიტეტული ქვეყანა არ იქნება

**ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ვაშინგტონს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ცენტრში სიტყვით გამოსვლისას მან საქართველოსა და ნატოს შორის არსებულ პარტნიორობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.**

ალიანსში საქართველოს გაწევრებაზე საუბრისას გენერალურმა მდივანმა 2008 წლის ბუქარესტის სამიტი გაიხსენა და თქვა, რომ ალიანსი იმხანად მიღებული გადაწყვეტილების ერთგული რჩება, თუმცა ნატოს გაფართოების შემდეგ ეტაპზე მან პრიორიტეტულ ქვეყანად მონტენეგრო დაასახელა.

„როდესაც საქმე ეხება ალიანსში გაწევრებას, იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, რაც აქამდე უამრავჯერ თქმულა. მე ბუქარესტის სამიტს ვესწრებოდი 2008 წელს, როცა ალიანსმა საქართველოზე გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების გამეორება რეგულარულად ხდება. ბოლოს ის უელსის სამიტზეც გავიმეორეთ, თუმცა ბოლო სამიტზე ისიც გადავწყვიტეთ, რომ, პირველ რიგში, მონტენეგროს გაწევრების საკითხი იქნება განხილული, რაც, სავარაუდოდ, წლის ბოლომდე მოხდება“.




## ოდესელები სააკაშვილს ჰალსტუხებით შეხვდნენ

**ოდესის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის ხელმძღვანელად მიხეილ სააკაშვილის დანიშვნის გამო ოდესელებმა 30 მაისს აქცია გამართეს და ქალაქის სხვადასხვა რაიონში ბოძებსა და ხეებზე ჩამოკიდეს ჰალსტუხები წარწერით „მიშასთვის“. ამით საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს 2008 წლის აგვისტოს ომი შეახსენეს, — იუწყება უკრაინული ტელეარხი „24“.**

ოდესელები გაანაწყენა ოფიციალური კიევის გადაწყვეტილებამ, გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნის თაობაზე. გარდა ამისა, მათ არ მოსწონთ სააკაშვილის ოდიოზური წარსული.

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ რამდენიმე დღის წინათ ხელი მოაწერა სააკაშვილის დანიშვნას ოდესის გუბერნატორად, მანამდე კი მას უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა.

## ვინ უხელმძღვანელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს

**პარლამენტში წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანდიდატურას მთავრობას პრემიერმინისტრი წარუდგენს, ხოლო მთავრობის მიერ კანდიდატურის მოწონების შემთხვევაში, დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება.**

პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი სამსახურის უფროსს 6 წლის ვადით ირჩევს. ერთი და იგივე პირი კი სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონის ამოქმედება მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან იგეგმება. შესაბამისად, სწორედ 1 აგვისტოდან შეიქმნება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, რომლის ხელმძღვანელადაც, შესაძლოა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელი **მინდია ჯანელიძე** დაინიშნოს, ამასთანავე, პარლამენტში არც იმას გამორიცხავენ, რომ აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელობა შინაგან საქმეთა მოქმედ მინისტრ **ვახტანგ გომელაურს** ჩააბარონ.


მინდია ჯანელიძე


ვახტანგ გომელაური

## ამერიკელმა სპეცრაზმელმა ქალი უკრაინელი სამხედროსგან იხსნა და დონბასელთა მხარეს გადავიდა

**ამერიკელი სპეცრაზმელი რასელ მოზენი, რომელიც დონბასში ინსტრუქტორის რანგით გაგზავნეს, დონბასელთა სახალხო ლაშქრის მხარეს გადავიდა. მოზენმა აღიარა, რომ აღარ შეეძლო იმის ყურება, როგორ სასტიკად ეპყრობოდნენ უკრაინელი ჯარისკაცები ადგილობრივ მოსახლეობას.**

**„27 მაისს რასელ მოზენმა მოკლა უკრაინის არმიის ოფიცერი, რომელიც ანასტასია გავრილენკოს გაუპატიურებას ცდილობდა, და ქალთან ერთად ფრონტის ხაზის მიმართულებით გაუჩინარდა.**

**ამჟამად რასელ მოზენი სახალხო ლაშქრის რიგებში უკრაინელების წინააღმდეგ იბრძვის. ფოტო მან ანასტასია გავრილენკოსთან ერთად გადაიღო აშშ-ის დროშის ფონზე, რათა ყველასთვის დაენახვებინა, რომ ორივე მხარეს არიან წესიერი ადამიანები“,** — წერს „კომსომოლსკაია პრავდა“ ადგილობრივ მედიასაშუალებებზე დაყრდნობით.



„ოდესაში სააკაშვილის გაგზავნით მისი დევნის საკითხი წყდება. მიშას ველარ დაიჭერენ, რადგან ის უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეა და თანამდებობის პირი, მგონი, ამით ჩვენმა ხელისუფლებამაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, როგორც იურისტები აღნიშნავენ, ეს ვერ იხსნის მას ჰააგის სასამართლოსგან“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თამარ კიკნაძე:**

# ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის



**გასული კვირის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**

**— ქალბატონო თამარ, სააკაშვილი ოდესაში გუბერნატორად დანიშნეს. ბევრმა პოლიტოლოგმა და პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ სააკაშვილი ოდესაში „კარგი საქმის საკეთებლად“ არ არის გამწესებული...**

— მიხეილ სააკაშვილი გლობალური მოთამაშეა. ის არასოდეს ყოფილა ქართული ინტერესების გამტარებელი, რასაც საქართველოსთვის მძიმე შედეგი მოჰყვა. მას სამოქმედო არეალად საქართველო არ ჰყოფნიდა, ხან სი-ენ-ენ-ზე იყო გამოჭიმული, ხან ბი-ბი-სი-ზე, რითაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის აღფრთოვანებას იწვევდა. ისინი თვლიდნენ, რომ საქართველო მსოფლიომ გაიცნო, იმას კი ვერ ათვითცნობიერებდნენ, რომ ამის მიზეზი ომი და ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული უბედურება იყო. ალბათ, მოისმინეთ სააკაშვილის ახლანდელი ინტერვიუც, რომელშიც იგი ამბობს, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ჭაობია... **დასავლეთში მიშასთვის თეორიაც კი შეიქმნა. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა პატარაა და მას დიდი სახელმწიფოებისგან განსხვავებული ფუნქცია აქვს. ამ თეორიის თანახმად კი, ქვეყანა დიდია თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, მას როგორი ლიდერი ჰყავს და მიშაც ისეთ ლიდერად იქნა მიჩნეული, რომელმაც თავის თავზე აიღო გლობალური ფუნქცია — რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. შედეგი კი ძალიან მძიმე აღმოჩნდა — დაღუპული ბიჭები, დეიურედ დაკარგული ტერიტორიები, ეკონომიკურად გაჩანაგებული ქვეყანა.**

**— ასეთ მძიმე შედეგს ელოდებიან ოდესაშიც. ზოგმა ისიც კი თქვა, ოდესა რუსეთის ხელში აღმოჩნდებაო...**

— სააკაშვილი საქართველოს ინტერსებს რომ არ ატარებდა, ფაქტია; უკრაინაშიც იგივე მისია აქვს დაკისრებული. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური გარიგებები ხდება. ხომ დავინახეთ, საქართველოს მიმართ მხოლოდ აღშფოთდნენ და შეშფოთდნენ... საბოლოოდ, ყველაფერი ჩვენთვის წამგებიანად დამთავრდა. დღეს აფხაზეთსა და ოსეთზეც ცოტას ლაპარაკობენ და ყირიმის საკითხიც რიტორიკის დონეზეა.

**— ამბობენ, რომ ობამას ადმინისტრაციას არ მოსწონს სააკაშვილი და მისი ოდესაში გაგზავნაც, თავიდან მოშორების ტოლფასიაო...**

— ფაქტია, რომ მიშას გაცილებით უკეთესი ურთიერთობა აქვს რესპუბლიკელებთან, კერძოდ, სენატორ მაკკეინთან, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის დიდი სხვაობა არ არის. **ოდესაში სააკაშვილის გაგზავნით მისი დევნის საკითხი წყდება. მიშას ველარ დაიჭერენ, რადგან ის უკვე სხვა ქვეყნის მოქალაქეა და თანამდებობის პირი, მგონი, ამით ჩვენმა ხელისუფლებამაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, როგორც იურისტები აღნიშნავენ, ეს ვერ იხსნის მას ჰააგის სასამართლოსგან.**

**— უნდა შეწყდეს თუ არა იმ ქვეყანასთან ურთიერთობა, რომელიც იფარავს, უფრო მეტიც, მაღალ თანამდებობაზე ნიშნავს პოლიტიკოსს, რომელსაც სამშობლოში დანაშაული აქვს ჩადენილი? საქართველოს უკრაინიდან ელჩი არ უნდა გამოეწვია?**

— რა თქმა უნდა, რაც დღეს ხდება, საქართველოსთვის დამამცირებელია — სამშობლოში ძებნილი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში გუბერნატორად ინიშნება. რაც შეეხება საქართველოს დემარშს, **საქართველო დამოუკიდებელი მოთამაშე არ არის და იგი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს დასავლეთის აზრს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის უსუსური განცხადებები, რომელთაც პოლიტიკოსები აკეთებენ.**

**— „ნაციონალებში“ რღვევა დაიწყო. რა პროცესები მიმდინარეობს?**

— მათ, როგორც ჩანს, შიგა დაპირისპირებები აქვთ, რაც ბუნებრივია. თუმცა პარტიიდან წასული ადამიანები, მაინც რჩებიან ერთი იდეოლოგიის გამტარებლად, ამიტომ სად გადაინაცვლებენ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ალბათ, მარტივ მამრავლებად დაიშლებიან. **ზურაბ ჯაფარიძე ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურ გადაადგილებებს უნდა ველოდოთ. ლაპარაკი დაიწყო საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზეც.**

დღეს ხალხის დაკვეთაა, ახალი, პოზიტიური და კონსტრუქციული ძალა შემოვიდეს პოლიტიკურ ველზე, მაგრამ ამის საშუალებას პოლიტიკური ბაზარი არ იძლევა. იგი ჩაკეტილია და კონტროლდება. **ქვეყანას სჭირდება არაორდინარულად მოაზროვნე თავგანწირული პოლიტიკოსები, რომლებსაც კარგად ექნებათ გათვითცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, კეთილდღეობა და შემოსავლის წყარო კი არა, დიდი პასუხისმგებლობა და მძიმე ჯვარია.**

**«ქვეყანას სჭირდება არაორდინარულად მოაზროვნე თავგანწირული პოლიტიკოსები, რომლებსაც კარგად ექნებათ გათვითცნობიერებული, რომ ხელისუფლებაში ყოფნა, კეთილდღეობა და შემოსავლის წყარო კი არა, დიდი პასუხისმგებლობა და მძიმე ჯვარია»**

**— რა შეიძლება ვუწოდოთ დღეს საქართველოს?**

— საქართველოს სახელმწიფოს ნიშნები აქვს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო, ბოლომდე შემდგარი არ არის. მაგალითად, არ ჰყავს მიუკერძოებელი, ძლიერი ბიუროკრატია, რომელიც აპოლიტიკური იქნება, ქვეყნის ინტერესებს გაატარებს და დაიცავს მას პოპულისტი პოლიტიკოსების წინდაუხედავი ნაბიჯებისგან. ქვეყანა საკუთარ ინტერესებზე აგებულ დაბალანსებულ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, მაგრამ ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს.

**— დავუბრუნდეთ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას, რას მოუტანს ეს უკრაინელებს?**

— **მიშა დესტრუქციული ადამიანია და ასეთია მისი პოლიტიკაც. დარწმუნებული ვარ, ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნა უკრაინელ ხალხს კარგს არაფერს მოუტანს. ოდესა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია და დნესტრისპირეთის არაღიარებულ რესპუბლიკას ესაზღვრება. ეს არის რუსეთისთვის ამ რესპუბლიკასთან დამაკავშირებელი ტერიტორია. კიევმა რუსებს საჰაერო გზა ჩაუკეტა... მიშას დანიშვნა შემთხვევითი არ არის. ამ რეგიონში სიტუაციის გართულებას უნდა ველოდოთ.**

**— ქალბატონო თამარ, თვლით თუ არა, რომ ამერიკის დაკვეთით, ივანიშვილმა ლოკომოტივის როლი შეასრულა და ის პარტიები, რომლებსაც საკუთარი ძალებით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეეძლოთ, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოიყვანა?**

— ამაზე ხშირად მიფიქრია. ანალოგიურად ფიქრობს და საუბრობს პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ. ბატონი ალექსანდრე ძალიან განათლებული და საინტერესო ადამიანია, აქტუალური დღევანდელი ქართული პოლიტიკისთვის. მე გავეცანი მის პუბლიკაციებს და ვთვლი, რომ მისი პროგნოზები ახდა. **ალექსანდრე ჭაჭიას შეუძლია, ბევრი კარგი გააკეთოს ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზებისთვის.**

**— რიგის სამიტის შემდეგ, ცოტა არ იყოს, ხელისუფლებას იმედგაცრუება ეტყობა, რადგან აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის გაზრდაზე დაიწყო საუბარი...**

— ფრთხილად, მაგრამ რაღაც კეთდება. ამ საკითხზე თვითონ „ოცნებაშიც“ განსხვავებული მოსაზრებებია: მკვეთრად პროდასავლური ძალაა რესპუბლიკელები, რომლებიც ხელისუფლებაში საკვანძო პოსტებს იკავებენ, მაგრამ არიან პოლიტიკოსები, რომლებსაც სურთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება.

**— რა პოზიციაზეა ივანიშვილი, რომელიც კარგა ხანია, არსად ჩანს, მას გადაცემებიც აღარ მიჰყავს.**

— ძალიან კარგი, თუ აღარ მიჰყავს, რადგან მისთვის ეს გადაცემა ძალიან წამგებიანი იყო... **ივანიშვილი თავისუფლად ვერ მოქმედებს, თავისი კაპიტალით ის ძლიერ არის დამოკიდებული გარკვეულ ძალებზე. სწორედ ამიტომ არ არის სასურველი ოლიქარგის პოლიტიკაში ყოფნა.**

**— ქალბატონო თამარ, რას იტყვით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე, რომელმაც მსოფლიოში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია?**

— დიახ, ესეც პოლიტიკური პროცესია. როდესაც შეეცადნენ, პრობლემები შეექმნათ რუსეთისთვის 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გამო და სანქციები სპორტზეც გავრცელებულიყო, ფიფას პეზიდენტმა **იოზეფ ბლატერმა** განაცხადა, რომ ფეხბურთი სპორტია და და პოლიტიკასთან არაფერი ესაქმება, ამიტომ, ბუნებრივია, ბლატერსაც პრობლემები შეექმნა.

**დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის ვექტორი, ძირითადად, რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული. დღეს დასავლეთის მთავარი სამიზნე სწორედ რუსეთია, მანამდე იყო ირანი. დღეს ირანთან დაახლოების მცდელობას ვხედავთ. აშშ-ის ტრადიციული პარტნიორი ისრაელიც კი იწირება და ხდება მისი ჩანაცვლება ირანით.** ამ საკითხზე, მინდა, შესანიშნავი ინგლისელი მეცნიერის — **არნოლდ ტოიმბის** თვალსაზრისი გავიხსენო. იგი ამბობდა, **რომ ისრაელის ფუნქცია დროებითია, შესაძლოა, მან იარსებოს მხოლოდ 60-70 წელი და თავისი დრო მოჭამოსო. ჩვენ ამ მომენტის წინაშე ვდგავართ, სწორედ ამიტომაც არის ასე უკმაყოფილო ბენიამინ ნეთანიაჰუ აშშ-ისა და დასავლეთის მიერ ირანისთვის სანქციების მოხსნით, თუმცა ამ სანქციების მოხსნაც ასეთი ადვილი არ არის, რადგან ეს გადაწყვეტილება უნდა მოიწონოს აშშ-ის კონგრესმა, სადაც საკმაოდ ძლიერი ებრაული ლობია.** ირანისთვის სანქციების მოხსნით აშშ-ს სურს რუსული ბუნებრივი აირის ირანულით ჩანაცვლება, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა – გაზსადენმა სირიის ტერიტორია უნდა გაიაროს. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ცოტა ხნის წინათ **ბაშარ ასადს** სი-ენ-ენ-ის პრაიმთაიმში ინტერვიუსთვის დაუთმეს დრო. შესაძლოა, სირიის მიმართაც გარკვეული ცვლილებებია დაგეგმილი.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ **ფეხბურთის დონეზეც კი მიმდინარეობს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება. აბა, რა დევიდ კემერონისა და ანგელა მერკელის საქმე იყო ბლატერის გადადგომის მოთხოვნა?! ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. თქვეს, რომ ამ ორგანიზაციაში კორუფციაა, მაგრამ კორუფცია ხომ ყველგან არის?!**

აღსანიშანავია, რომ ბლატერი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფეხბურთის განვითარებას აზიისა და აფრიკის ქვეყნებში და ამ ქვეყნების წარმომადგენლებმა სწორედ მას დაუჭირეს მხარი. **ბლატერმა გაიმარჯვა; მისმა მოწინააღმდეგემ, იორდანიის პრინცმა ალი ბინ ალ-ჰუსეინმა მეორე ტურში თავისი კანდიდატურა მოხსნა. არა მგონია, ეს ყველაფერი ასე მარტივად დასრულდეს.**

**«ზურაბ ჯაფარიძე ამერიკის ელჩთან შეხვედრის შემდეგ ამერიკაში გაემგზავრა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკურ გადაადგილებებს უნდა ველოდოთ. ლაპარაკი დაიწყო საარჩევნო კოდექსის ცვლილებაზეც»**



ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დიახ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელით განხორციელებული ამერიკელების სურვილი. სახეზეა მცდელობა, — საზოგადოებას თავს მოახვიონ ძალები, რომლებსაც ავტორიტეტი არ აქვთ და ხალხი არ ენდობა.“**

# რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?

# «ივანიშვილი იქცა ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად, ეს ამერიკელების დავალება იყო»

2013 წელს „საქართველო და მსოფლიოში“ (№34. 18-24 სექტემბერი) გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან, რომელშიც ის საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობდა. ამ ინტერვიუში ბატონი ალექსანდრეს მიერ გამოთქმული შეფასებები და პოლიტიკური პროგნოზები ზედმიწევნით ახდა. გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველის თხოვნით, გთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული ინტერვიუდან:



„ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის, ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ **მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა — ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო „ნაციონალური მოძრაობა“. ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ. პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ქვეყანაში მდგომარეობის უკეთესობისკენ მალე შეცვლის იმედით მოსახლეობა კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.**

**...ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და მინისტრები, დეპუტატები მისი თანაშემწეები, კლერკები მისი ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებ, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის“.**

რამდენიმე კვირაა, ყოფილი პრემიერი, აწ უკვე პირველი მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი, არსად ჩანს, ის უკვე საკუთარი ტელევიზიის ეთერიდანაც აღარ გვმოძღვრავს. სოციალურ ქსელებში ხალხი სვამს კითხვებს — სად გაქრა ივანიშვილი? რატომ აიღო ხელი „წარმატების ფორმულის ლექციების კითხვაზე“? და საერთოდ — რატომ მოვიდა პოლიტიკაში ან რატომ წავიდა? იყო თუ არა ის ამერიკული პროექტი და შეასრულა თუ არა ლოკომოტივის ფუნქცია? — ამ და სხვა შეკითხვებზე ექსპერტები და პოლიტიკოსები გვიპასუხებენ.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

**— რა მოხდა რეალურად საქართველოში? შეასრულა თუ არა ივანიშვილმა ამერიკელების დაკვეთა და ჩაება თუ არა ის ლოკომოტივად იმ პარტიებს, რომლებსაც საკუთარი ძალებით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეეძლოთ?**

— თქვენი შეკითხვა, თავისთავად პასუხსაც მოიცავს. ივანიშვილიც ისეთივე თაღლითია, როგორც სააკაშვილი. ორივენი ამერიკის დაკვეთის შემსრულებლები არიან. ხომ ხედავთ, სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დაინიშნა, მას ამერიკელები არ წირავენ და შესაძლოა, მალე საქართველოშიც დააბრუნონ.

**ივანიშვილი არის თაღლითი, რომელიც თავის სიტყვას პატივს არ სცემს. მას აქვს დიდძალი ფული, რომელიც თაღლითობით იშოვა. მსოფლიოში ყველა მილიარდერი თაღლითია, დაწყებული სოროსიდან...**

**ამერიკელებმა ივანიშვილს თავდაპირველად ოპოზიციონერობა დაავალეს, ის დათანხმდა, თანაც ისე, რომ ქვეყანაზე არც უფიქრია.**

**— შესაძლოა, თავდაპირველად ივანიშვილს ქვეყანაზე არ უფიქრია, მაგრამ შემდეგ მიხვდა, ვერაფერს გახდებოდა და, ხალხს ილუზიებში რომ არ ეცხოვრა, გადადგა...**

— კი არ გადადგა, ეზარებოდა საქმის კეთება და წავიდა. ივანიშვილს რომ სცოდნოდა, რას ნიშნავს სახელმწიფო და მისი აპარატი, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავდა ისეთ მინისტრებს, როგორიც გვყავს. არ დაიჭერდა საქმეს დღევანდელ პრემიერმინისტრთან და არ გაუწევდა რეკომენდაციას მარგველაშვილს... ივანიშვილმა კარგად იცის ფულის შოვნა, თუმცა დღეს უკვე მეეჭვება, რამე იშოვოს, რადგან მასზე ჭკვიანი თაღლითები გამოჩნდნენ.

**ვაღიაროთ, რომ ამერიკამ ბიძინა დროებით მოიყვანა, თანაც არსად წასულა — ქვეყანას ისევ მართავს, უბრალოდ, ძალიან ზარმაცი კაცია. მას არ შეუძლია დილით ადრე ადგომა, სამსახურში წასვლა, წერილების კითხვა, ამიტომ იმ რეჟიმს არჩევს, როგორშიც ახლა არის — როცა უნდა, ადგება, როცა უნდა, დაწვება, როცა გუნება გამოუკეთდება, ტელეეკრანზეც გამოჩნდება.**

**ივანიშვილმა კარგად იცოდა ისიც, რომ, თუ პოლიტიკიდან არ წავიდოდა, ისეთივე ჩასვრილი იქნებოდა, როგორც მისი დანატოვარი ხელისუფლება.**

არ იცის ივანიშვილმა ქვეყნის მართვა, ჩვენი ხალხი კი მას ისე უყურებს, როგორც მხსნელს. **ადამიანი, რომელიც ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში მაია ფანჯიკიძეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნავს, თან იტრაბახებს, ჩემი აღმოჩენააო, იდიოტია.**

ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად არ იყო, ის არჩევნებში მეორე ადგილს ელოდა, მაგრამ „ციხების“ ამბავმა რეალობა შეცვალა, ამერიკელებს ხელს აძლევდათ ამ „გაურკვეველი ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლა, რადგან იქ ის ძალები იყვნენ, რომლებიც კურსს არ შეცვლიდნენ.

დღეს საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც არ ჰყავს არც პოლიტიკოსი და არც პოლიტოლოგი. ცისკარიშვილისნაირ გონებაზე გადასულ ადამიანს პოლიტოლოგი არ ჰქვია.

მართალი სიტყვის თქმა ამ ქვეყანაში ძალიან ძნელია, ვერ გაიგებენ, ამიტომ ურჩევიათ ისე ილაპარაკონ, რომ ფული იშოვონ. ჩვენს ქვეყანაში ზოგი ბიძინათი იკვებება, ზოგი — არასამთავრობოთი და ა.შ. **სააკაშვილის დროს იყო „მიშლენდი“, ახლა არის „ბიძლენდი“.**

**დღეს საქართველო ივანიშვილის მოჯამაგირეა!**



**ზაზა ვეკუა, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე:**

**— ბატონო ზაზა, როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ივანიშვილი ამერიკული პროექტი იმისთვის, რომ ლოკომოტივად ჩაბმოდა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა დამოუკიდებლად არ შეეძლოთ?**

— ფაქტია, რომ ივანიშვილმა ამერიკელების დავალება შეასრულა და მართლაც გამოაცოცხლა ის პარტიები, რომლებსაც პულსი არ ესინჯებოდათ, თანაც ისე, რომ ყველა ამ პარტიის წევრები წამყვან თანამდებობებზე დასვა. **დიახ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელით განხორციელებული ამერიკელების სურვილი. სახეზეა მცდელობა, საზოგადოებას თავს მოახვიონ ძალები, რომლებსაც ავტორიტეტი არ აქვთ და ხალხი არ ენდობა.**

**— დავუშვათ, ივანიშვილმა ამერიკელთა დაკვეთა შეასრულა, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ მან თავისი წასვლით ხალხის რეალობის წინაშე დაყენებას შეუწყო ხელი, ცოტა ადრე მიგვახვედრა, რომ საქმე კარგად არ არის?**

— ივანიშვილს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები არ აინტერესებდა. მან 2012 წელს დაკვეთა შეასრულა. **შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბიძინას საზოგადოებისთვის კარგი საქმეების კეთება უნდოდა, რადგან ფაქტია, „ნაციონალებიც“ კი არ მოგვაშორა. აქედან გამომდინარე, ის თვალსაზრისი, რომ პოლიტიკა დატოვა, რათა ხალხისთვის რეალობა დაენახვებინა, სწორი არ არის.** „ქართული ოცნების“ მიერ გადადგმული ნაბიჯები სასიკეთო არ არის, ვიცით ისიც, რომ „ქართულ ოცნებას“ ივანიშვილი მართავს. ბიძინას პოლიტიკა არ დაუტოვებია, არც პირველი პირის თანამდებობა.

**პოლიტიკაში ოლიგარქების მოსვლა ყოვლად დაუშვებელია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველო ერთი პირის საწარმოდ იქცა.**

ყველანი ვხედავთ, რაც მოხდა: სწორედ ისე, როგორც კომპანიის მეპატრონემ, მან დანიშნა პრეზიდენტიცა და პრემიერიც, თუმცა მერე გააცნობიერა, რომ აღარ მოსწონს, ასე მოხდა მერის შემთხვევაშიც. ახლახან კი პრემიერის მიერ გაცხადებული ორი მინისტრის ნაცვლად სამი მინისტრი შეიცვალა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ერთი კაცის ხელში ვართ.

**— „ნაციონალები“ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში?**

— „ნაციონალები“ უკან ვეღარ დაბრუნდებიან, ხოლო ის, რომ ისინი კიდევ ჩანან, „ოცნების“ ხელშეწყობით ხდება. დებატებში თუ შოუებში „ოცნება“ მხოლოდ „ნაციონალებთან“ ჯდება სალაპარაკოდ, სულს უბერავენ, სხვა ოპონენტი რომ არ ჰყავდეთ, ეს კი საკუთარი უსუსურობისა და არაკომპეტენტურობის დასაფარავად სჭირდებათ.



**ვასილ ჭიჭინაძე,** დიპლომატი:

**— ივანიშვილს, ხელისუფლებაში რომ მოდიოდა, მხოლოდ ბოლმა ჰქონდა, სააკაშვილის მოშორება სურდა, თუმცა ახლა ნამდვილად იქცა ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად, ეს ამერიკელების დავალება იყო.** მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრი ალასანია მოხსნეს და თავიანთი კაცი ▶

**„რაც ხიდაშელის მიმართ მოხდა, ამერიკული დიპლომატიის საფირმო ნიშანია, ევროპელები ასე არ იქცევიან. ამერიკის ელჩი საჯაროდ ესტუმრა ივანიშვილს და მის კაბინეტში გადაწყდა ხიდაშელის გამინისტრება ისე, რომ ეს ამბავი პრემიერმაც კი ბოლოს შეიტყო.“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ფაქტია, რომ ივანიშვილის გარეშე ვერც რესპუბლიკური პარტია და ვერც ალასანია ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ...»

დანიშნეს, ამერიკელები გააქტიურდნენ და მოითხოვეს ხიდაშელის დანიშვნა, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა კიდეც. „ნაციონალებს“ იმიჯი აღარ აქვთ და მათი დაბრუნება აღარ შეიძლება, ამერიკამ ფსონი რესპუბლიკელებზე დადო.

**— რა გათვალა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლით?**

— არაფერიც არ გათვალა. ივანიშვილმა მოიცილა სააკაშვილი, მერე გადგა განზე და თავისი გამოზრდილი პრემიერი დატოვა, რომელსაც ადვილად მართავს. აქ არის მხოლოდ ერთი გათვლა: რამე რომ მოხდეს, გინდ ამერიკის მხრიდან და გინდ რუსეთის, ივანიშვილი იტყვის — უსისხლოდ გადავაბარე ხელისუფლება სხვა ძალას, წავედი და რას აკეთებენ, არ ვიციო.

**— იქნებ თავისი წასვლით რეალობა უფრო ადრე დაგვანახვა, იქნებ არ უნდოდა, ოთხი წელი „ოცნებით“ გვეცხოვრა?**

— უამისოდაც მიხვდებოდა ხალხი, რაც მოხდა და თვალიც აეხილებოდა. ვინ ვერ შეამჩნევს იმას, რომ მთავრობის კრიტიკის უფლება მხოლოდ „ნაციონალებს“ აქვთ, სხვა დანარჩენს კი ხან რას მიაწერენ და ხან რას...

უთავმოყვარეო ერი გავხდით. კაცი, რომელიც თავმოყვარეობას დაკარგავს, კაცად აღარ ვარგა, ასეა, ერიც...

ვიზების ლიბერალიზაცია ჩვენ არ მოგვცეს, სამაგიეროდ მისცეს ვანუატუს, ამით ნათლად დაგვანახვეს, რომ სახლში იმას შეუშვებენ, ვინც სურთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? უთავმოყვარეოდ ისევ მათ კართან ვართ ატუზული. **ევროპელებმა და ამერიკელებმა ჩვენს პოლიტიკოსებს რომ უთხრან, მეათე სართულიდან გადახტითო, გადახტებიან...**

**— ივანიშვილიც გადახტება?**

— ივანიშვილს ბევრი რამ აქვს დასაკარგავი, ჩვენსავით კი არ არის. ივანიშვილი, ამერიკის დავალება რომ არ შეასრულოს, იმ წუთში ნულზე დარჩება. ბიძინაც ადამიანია და მასაც ეშინია, ამიტომ განზე გადგა და თავს იმართლებს, — მე გავაკეთე ის, რაც ვერავინ შეძლო, მე ქვეყანას მიშა მოვაშორეო.



**სოსო ცინცაძე,** პოლიტოლოგი:

— ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა რომ გადაწყვიტა, ულტერნატივო მდგომარეობაში იყო, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არ ჰქონდა საშუალება, ახალი სახეები მოეძებნა, თანაც უკვე გამზადებული იყო მთავარი პროდასავლური ძალა რესპუბლიკელების სახით, რომელსაც კარგად იცნობდა დასავლეთიც და ამერიკაც. ქართველი რესპუბლიკელები ამერიკაში მოქმედ ორივე პარტიაზე მეტი პროდასავლურები და პროამერიკულები არიან, ასე ვთქვათ, რომის პაპზე მეტ კათოლიკობას იჩემებენ. ამერიკელები სექსუალურ უმცირესობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეროვნულ უმცირესობებს, ასეთები არიან რესპუბლიკელებიც. ამიტომ ბევრი საფიქრალიც არ ჰქონდა, საქართველოში ამერიკელების საყრდენი ძალა არსებობდა.

ივანიშვილის გამოუვალ მდგომარეობაში იყო.

**ჩემთვის მადრიდის სამეფო კარის საიდუმლოებად რჩება, რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში. ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანიშვილს უნდოდა დემოკრატიული ფასეულობების დაცვა.** ის ძალიან კარგად იცნობდა იმ მონასტერს, სადაც ნაციონალები „ლოცულობდნენ“... ვერ ვხვდები, რა შავმა კატამ გაირბინა ივანიშვილ-სააკაშვილს შორის, ფაქტია, პირადული შუღლი იყო.

**— რატომ წავიდა ივანიშვილი ხელისუფლებიდან?**

— შესაძლოა, იმედგაცრუება განიცადა, მიხვდა, რას წარმოადგენენ პარტიები. გარდა ამისა, ივანიშვილი მიხვდა, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა, მიხვდა იმასაც, რომ ხალხის ნდობის უვადო კრედიტი არ გააჩნდა, ნდობა არ იყო საბჭოთა ობლიგაციასავით უვადო.

**— არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლით ამერიკელების დაკვეთა შეასულა და ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად იქცა? დღეს, როდესაც ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზე რესპუბლიკელებს ვხედავთ და ყველასთვის მოულოდნელად თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად ინიშნება, ეს არ არის ამერიკელების მოთხოვნა?**

— თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა დარჩება ყველაზე შავ ლაქად ქართული პოლიტიკური ელიტისთვის. **დიახ, რაც ხიდაშელის მიმართ მოხდა, ამერიკული დიპლომატიის საფირმო ნიშანია, ევროპელები ასე არ იქცევიან. ამერიკის ელჩი საჯაროდ ესტუმრა ივანიშვილს და მის კაბინეტში გადაწყდა ხიდაშელის გამინისტრება ისე, რომ ეს ამბავი პრემიერმაც კი ბოლოს შეიტყო.**

**— რა ჰქვია ქვეყნას, რომელშიც ვცხოვრობთ?**

— არშემდგარი სახელმწიფო ვართ. სახელმწიფო, რომელსაც ერთი კაცი მართავს და არა ინსტიტუტები, არშემდგარია. როდესაც ინსტიტუტები მუშაობს, ნაპოლეონიც ვერ შეძლებს ქვეყნის ერთპიროვნულად მართვას. საქმე ის არის, რომ ივანიშვილს არათუ ვალდებულება, თანამდებობაც არ აქვს, თუმცა მაინც მმართველია.

# «ივანიშვილმა ამერიკელების დავალება შეასრულა და მართლაც გამოაცოცხლა ის პარტიები, რომლებსაც პულსი არ ესინჯებოდათ, თანაც ისე, რომ ყველა ამ პარტიის წევრები წამყვან თანამდებობებზე დასვა»



**ვახტანგ მაისაია,** სამხედრო ექსპერტი:

— მსოფლიოში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა გეოპოლიტიკური მიმართულებებისთვის. ამერიკასა და რუსეთს შორის ცივი ომია, თუმცა ამ ვითარებაში საქართველო მკვეთრად პროდასავლურ კურსს ინარჩუნებს. ეს მიმართულება არც სამართლებრივ და არც პოლიტიკურ დონეზე არავის შეუცვლია.

ამერიკელების მიერ სამხედრო წვრთნების ჩატარება, აგრეთვე, ალღუმში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობა მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკას დიდი ინტერესი აქვს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად რეგიონის მიმართ. გავიმეორებ ისევ, რომ ცივი ომი დაწყებულია და რუსეთი და ამერიკა მოწინააღმდეგეები არიან, ისინი უკვე კონფრონტაციის სცენარებსაც ითვალისწინებენ — ამასწინანდელი ინციდენტი შავ ზღვაზე ბრძოლის მოდელირებული ვარიანტი იყო.

გეოპოლიტიკური გადათამაშების სცენარში მოხვდა საქართველო და მეზობელი ქვეყნებიც.

**— ვინ მართავს ჩვენს ქვეყანას და არის კი საქართველო სახელმწიფო?**

— ძალიან რთულია იმაზე საუბარი, როგორი ქვეყანა ვართ. როდესაც სხვა სახელმწიფო შენს აზრს არ იზიარებს, პრეტენზია იმაზე, რომ შედგარი სახელმწიფო ხარ, არ უნდა გქონდეს. ავიღოთ, თუნდაც მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი. როდესაც მძიმე დანაშაულში ბრალდებულ და ძებნილ ადამიანს მეგობარ ქვეყანაში მაღალ თანამდებობაზე ნიშნავენ, ცუდი ფაქტია. ასეთი შემთხვევების დროს ნათლად ჩანს, რანი ვართ და რას წარმოვადგენთ.

**— ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას ვის აკისრებთ?**

— იცით, ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა თავისი არჩევანი და წავიდა პოლიტიკიდან... **დატოვა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ყველა ბერკეტი უჭირავს ხელში იმისთვის, რომ ქვეყანა მართოს, მაგრამ თავს ვერ აბამს. ეს არის ძალა, რომელმაც სამართლიანობა არ აღადგინა. ხალხი ყველაფერს ამერიკელებს აბრალებს, მაგრამ გვესინჯა და დაგვედო უცხოელებისთვის მტკიცებულებები იმ დანაშაულებისა, რომლებიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა და იქნებ ჩვენი მხარე დაეჭირათ, ჩვენმა ხელისუფლებამ ხომ ესეც არ გააკეთა?!**

ობამას ადმინისტრაციას არ უყვარს სააკაშვილი და ის ძალიან შორს გაუშვეს.

**— ახალი ხელისუფლება უყვარს?**

— ამერიკა ითვლება საქართველოს პარტნიორ ქვეყნად. **ამ ქვეყანას საქართველოს მიმართ აქვს გამოკვეთილი პოზიცია და ინტერესებიც. ვფიქრობ, სააკაშვილის მოშორება ობამას ადმინისტრაციის დაკვეთით მოხდა, მათ გარეშე სააკაშვილის მოშორება გაჭირდებოდა.**



**ელიზბარ ჯაველიძე,** აკადემიკოსი:

**— ქართველები მხოლოდ ამერიკის დაკვეთას კი არ ვასრულებთ, არამედ იმ პოლიტიკას ვატარებთ, რომელსაც ეს ქვეყანა მსოფლიოში ახორციელებს. დაკვეთა ერთია, გავალებენ და იძულებული ხარ, შეასრულო, მაგრამ ჩვენები სისხლხორცეულად არიან ჩებმული ამ საოცრად არაკაცთმოყვარე, არაჰუმანური პოლიტიკის გავრცელებაში მსოფლიოს მასშტაბით. უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა მიმდინარეობს ერის, ხალხის, ოჯახისა და სამშობლოს წინააღმდეგ, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. სამწუხაროა, ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ბედს, ხელისუფლებაზე მეტად ამერიკის ელჩი წყვეტს...**

ამბობენ, საბჭოთა კავშირის პერიოდში მოსკოვში წყდებოდა ჩვენი ბედიო, მაგრამ კარგად მახსოვს, კანდიდატურას საქართველოში არჩევდნენ და მოსკოვში მტკიცდებოდა. **დღეს არავინ გვეკითხება, ვინ უნდა დავნიშნოთ... ჩემთვის საშინელება იყო ის, რაც ამერიკის ელჩმა თინა ხიდაშელის მინისტრად დანიშვნისას ჩაიდინა.**

ამერიკა ყველა ქვეყნის პოლიტიკაში ხელს აფათურებს, მაგრამ ის, რაც აქ მოხდა, საშინელებაა. თუმცა **აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რა ჩაიდინა ამერიკამ მსოფლიო ფეხბურთის პოლიტიკაშიც, ეს მთელი სამყაროს თავის მოჭრაა, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო საჯდომის ქვეშ ჰყავთ ამოდებული.**

**— ივანიშვილმა შეასრულა თუ არა ამერიკული დაკვეთა, როდესაც ხელისუფლებაში ურეიტინგო პარტიები მოიყვანა?**

— ივანიშვილის მეტს არავის შეეძლო სააკაშვილის მოშორება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ივანიშვილის გარეშე ვერც რესპუბლიკური პარტია და ვერც ალასანია ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ...

ის, რომ თინა დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, საგანაგაშოა, მაგრამ შეხედეთ, რა ხდება სხვაგან... **სააკაშვილი და მისი „ხელები და ფეხები“ დაინიშნენ თანამდებობებზე, ყველაფერი გასაგებია... ეს იგივეა, მე პეკინის მერად დავინიშნო... ამ ფაქტით ამერიკა გვიჩვენებს, რომ არც უკრაინა ადარდებს და არც საქართველო, უბრალოდ, მსოფლიოს მართვას ცდილობს.** საქართველოში მიმდინარე მოვლენები ამერიკის განსაზღვრულია. **ჩვენი ქვეყანა დენთის კასრზე ზის!**

**ამერიკელებს 2012 წელს ეშინოდათ, რევოლუცია არ მომხდარიყო და სააკაშვილი არ წაელეკა, რადგან ზეგავლენას დაკარგავდნენ...**

**— რა ჰქვია ჩვენს ქვეყანას?**

— ჩვენ არ ვართ ამერიკის შტატი, რადგან მათ, ყველას თავისი უფლებები გააჩნიათ... ამ ლოგიკით თუ გავყვებით, უფრო კოლონიას ვგავართ. **ჩვენი სურვილები და ქართული ინტერესები ვერ განვახორციელეთ და ვერც განვახორციელებთ, თუ ეს სისტემა არ დაინგრევა, სისტემა, რომელიც სააკაშვილის მიერ ამერიკის მითითებით არის შექმნილი. თუ ასე არ მოხდა, არაფერი გვეშველება და სახელმწიფოც ვერ გავხდებით. არსებული სისტემა ხერხემალში ამტვრევს საქართველოს.**

# «ადამიანი, რომელიც ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში მაია ფანჯიკიძეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნავს, თან იტრაბახებს, ჩემი აღმოჩენააო, იდიოტია»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნდა დავფიქრდეთ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია ქართველი კაცისთვის: ევროატლანტიკური სტრუქტურები თუ ქრისტე და ქრისტიანობა, რომელმაც, მიუხედავად ისტორიული ძნელბედობისა, გაგვაძლებინა და დღემდე მოგვიყვანა.“**



# მამა დავით (ლასურაშვილი): რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპულ და ამერიკულ «ფასეულობებს», მით მეტად დავშორდებით ქრისტეს და ეკლესიას

**ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა დავითი (ლასურაშვილი).**

**— მამაო დავით, წინა კვირას მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი იუსტიციის სამინისტროსგან ტრანსგენდერი ადამიანების სქესის შეცვლის აღიარების პროცედურების კანონმდებლობით რეგულირებას ითხოვს. ნანუაშვილის აზრით, ამგვარი წესის არსებობა ე.წ. უმცირესობის წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს, ოფიციალურ დოკუმენტაციაში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერი სწრაფი, ადვილად ხელმისაწვდომი გზით შეცვალონ. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე? რას მივიღებთ რეალურად, თუ კი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება და კანონში შესაბამისი ცვლილება შევა?**

— ღმერთმა ადამიანი შექმნა მამაკაცად და დედაკაცად, აქედან გამომდინარე, იგი სქესს თვითონ ვერ ირჩევს. რაც შეეხება სურვილისამებრ **სქესის გადაკეთებას, ეს არის ძალადობა ღვთის ნებაზე და ასევე, ბუნების კანონებზე, ვინაიდან ბუნების კანონზომიერებაა სწორედ ერთი სქესის მიდრეკა საპირისპირო სქესისადმი, რომელიც ადამიანს უფლისგან მიეცა ოჯახის შექმნისა და გამრავლებისთვის.**

დღეს არაერთი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა თუ სხვა სახის გადახრები ავადმყოფობა არ არის, მაგრამ უნდა ითქვას, — თუკი ადამიანს რამე მსგავსი გადახრების ნიშნები აღმოაჩნდება, მას გარკვეული გამოკვლევები და მკურნალობა უნდა ჩაუტარდეს. ის არის ავად და ჩავარდნილია უმძიმეს ცოდვაში, ამიტომ აუცილებლად სჭირდება როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მკურნალობა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის პროპაგანდა, რომ ეს არ არის არანაირი გადახრა. ეს რომ გადახრაა და ყველანაირი ნორმიდან ამოვარდნა, მსოფლიოს წამყვანმა მეცნიერებმა დიდი ხნის წინათ დაასკვნეს...

**— თუმცა თანამედროვე მედიკოსების თვალსაზრისი აბსოლუტურად განსხვავებულია.**

— საქმე ისაა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ეს პათოლოგია ამოიღო დაავადებათა ნუსხიდან და გამოაქვეყნა დასკვნა, რომ ნებისმიერი სექსუალური გადახრა, რომლებიც მანამდე დარღვევად ითვლებოდა, ბუნებრივ, ნორმალური მოვლენაა. სამაგიეროდ იმავე ჯანდაცვის ორგანიზაციამ სიყვარული შეიყვანა დაავადებათა ნუსხაში და მას — „დაავადება სიყვარულს“, კლასაკლასიფიკაციო ნომერი მიანიჭა. ახლა თვითონ განსაჯეთ, ამ ორგანიზაციის პოლიტიკა არის თუ არა ჯანსაღი და რას შეიძლება იგი ემსახურებოდეს. რა თქმა უნდა, ეს არის გაუკუღმართებული აზროვნება და ნებისმიერი მსგავსი პროპაგანდის უკან იმალება მიზანმიმართული პოლიტიკა...

**— ყველაზე საინტერესო სწორედ ეს პოლიტიკაა. თქვენი აზრით, რა ძალები და ამოცანები დგას ამ ყველაფრის უკან?**

— გაგახსენებთ ერთ ფაქტს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია. **გასულ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი შეხვდა ევროპელ დიპლომატებს და ამ შეხვედრაზე მან პირდაპირ განაცხადა: არ მაინტერესებს თქვენი კულტურა, ყველამ უნდა გაიგოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში პრიორიტეტი არის ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვაო.** ეს მხოლოდ ჯო ბაიდენის მოსაზრება არ გეგონოთ, მან, უბრალოდ, როგორც ზესახელმწიფოს ერთ-ერთმა პირველმა პირმა, გაახმიანა ეს პოზიცია. თუმცა ევროპის ქვეყნებშიც ზოგიერთი მაღალჩინოსანი საჯაროდ აკეთებს იმავე შინაარსის და არანაკლებ თამამ განცხადებებსაც, ზოგიერთი კიდევ თავისი ქმედებით გამოხატავს ამ ყველაფერს... ეს არის დღევანდელი დასავლური პოლიტიკის ამოსავალი წერტილი და **ისინი არც მალავენ, რომ მათი უპირველესი სამიზნე არის ქრისტიანობა. განსაკუთრებით მიუღებელი მათთვის მართლმადიდებლობაა და გასაგებია, რატომაც — მართლმადიდებლობა არის სწორედ ის ჭეშმარიტება, რომელსაც რეალურად ვერაფერს უხერხებენ, ანუ ებრძვიან, მაგრამ უშედეგოდ.**

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში მოხერხდება „მენტალური რევოლუცია?“ ანუ შეძლებენ ადამიანების აზროვნების ძირეულად შეცვლას და დასავლური, ე.წ. ნეოლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას?**



**გვაყენებენ არჩევანის წინაშე — ან უნდა მივიღოთ ის გარყვნილება და ალვირახსნილობა, რაც დასავლეთში ნორმადაა გამოცხადებული, ან გავქრეთ. ეს არის პირდაპირ ზეწოლა ადამიანების ცნობიერებაზე...**

— ჩვენს ქვეყანაში თითქოს გამოცხადებულია, რომ ერთსქესიანთა ქორწინებას უარს ვეუბნებით, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ეს საკითხი აუცილებლად დადგება. ამ ხელისუფლების დროს იქნება თუ მომავალი ხელისუფლების, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ეს საკითხი დადგება და ამის წინაპირობა გახდება სულ ცოტა ხნის წინათ მიღებული **ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც არის ნელი მოქმედების ნაღმი და საფუძველს უმზადებს სხვა უფრო საშიშ მზაკვრობებს.**

**— ქართველი საზოგადოების ცნობიერება უკვე საკმარისადაა „დამუშავებული“ იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ერთსქესიანთა ქორწინების ინიცირება გაბედოს?**

— არ ვამბობ, რომ ეს მოხდება ხვალ ან ზეგ, ან თუნდაც ერთ-ორ წელიწადში, მაგრამ ამ საკითხს აუცილებლად დააყენებენ. კიდევ ვიმეორებ: ევროპული და ამერიკული სტრუქტურები ამას განსაკუთრებით მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვეუბნებიან, რომ ვერ გავხდებით ვერც ნატოს და ვერც ევროკავშირის წევრი; თავის მხრივ, ჩვენი ხელისუფლება გვარწმუნებს, თუ ამ სტრუქტურებში ვერ შევალთ, ჩვენი უსაფრთხოება დაცული ვერ იქნებაო. ეს რას ნიშნავს? — ეს ნიშნავს, რომ **გვაყენებენ არჩევანის წინაშე — ან უნდა მივიღოთ ის გარყვნილება და ალვირახსნილობა, რაც დასავლეთში ნორმადაა გამოცხადებული, ან გავქრეთ. ეს არის პირდაპირ ზეწოლა ადამიანების ცნობიერებაზე...**

**— ამ ყველაფრის ფონზე, ალბათ, ლოგიკურია, დავსვათ შეკითხვა: რას მოგვცემს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია (თუ ამას მართლა მივაღწევთ)? რას მოუტანს ეს საქართველოს?**

— თუ ჩვენ ამ კურსით წავალთ, უნდა ვიცოდეთ, რომ, რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპულ და ამერიკულ „ფასეულობებს“, მით მეტად დავშორდებით ქრისტეს და ეკლესიას. ახლა უნდა დავფიქრდეთ, რომელი უფრო მნიშვნელოვანია ქართველი კაცისთვის: ევროატლანტიკური სტრუქტურები თუ ქრისტე და ქრისტიანობა, რომელმაც, მიუხედავად ისტორიული ძნელბედობისა, გაგვაძლებინა და დღემდე მოგვიყვანა.

**— ფაქტია, რომ ეს კურსი, ანუ ევროინტეგრაცია, ისტორიულ არჩევნადაა გამოცხადებული და ამას საზოგადოების ნებად რაცხავენ.**

— დარწმუნებული ვარ, **თუ საზოგადოებას დეტალურად აუხსნიან, რას მოითხოვს ჩვენგან ეს ინტეგრაცია, რა ცვლილებები განხორციელდება აქ და რას მივიღებთ შედეგად, მოსახლეობის უმეტესობა, ნატოსაც და ევროკავშირსაც, ეტყვის უარს.** ეს კარგად იცის ხელისუფლებამაც, ამიტომ ბევრ რამეს მალავს და ყველაფერზე, ყველა ვალდებულებაზე ხმამაღლა არ საუბრობს...

**— ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება ასოცირების შეთანხმების სამასგვერდიანი დოკუმენტი იყო, რომლის შინაარსიც დღემდე უცნობია. როგორ ფიქრობთ, ასე უჩუმრად მოხერხდება იმ ვალდებულებების შესრულება?**

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ჩვენს ხელისუფლებას სამასი ცარიელი ფურცელი დაუდეს, მოაწერინეს ხელი და შემდგომ ჩაწერეს ის შინაარსი, რომლის შესრულების ვალდებულებაც დააკისრეს სახელმწიფოს...** რა თქმა უნდა, ეს უნდა ყოფილიყო ფართო განხილვის საგანი და დაწყებულიყო დისკუსიები, მსჯელობები. ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, მოსახლეობა არის თუ არა თანახმა იმ პოსტულატებისა, რომლებიც მოცემულია ევროკავშირისა თუ ევროპარლამენტის მიერ, მაგრამ, მგონი, თვითონ ხელისუფლებაშიც არ ჰქონდათ ის დოკუმენტი დამუშავებული, ისე მოაწერეს ხელი. ამან მომავალში შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მოიტანოს და ეს ყველაფერი წინ დახვდება არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკოსს, არა რომელიმე პარტიას ან კოალიციას, არამედ საქართველოს და ქართველ ხალხს. ამიტომაა ეს დოკუმენტი და, საერთოდ, მსგავსი ვალდებულებების აღება საფრთხის შემცველი, მაგრამ საუბედუროდ პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ საფრთხეებს არ ან ვერ ხედავს და ბრმად აფორმებს ყველა შეთანხმებას, მიუხედავად იმისა, მხარს უჭერს ამას მოსახლეობა თუ არა.

**— ხშირად ეკლესიაზეც გვესმის ხოლმე მოსაზრებები, რომ საკმარისად აქტიური არ არის და არ ერევა მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებში. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე, მიგაჩნიათ თუ არა, რომ საპატრიარქოს მეტის გაკეთება შეუძლია? ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ 50-კაციანი „იდენტობა“ და სხვა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები (რომლებსაც ასევე არ ჰყავთ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები) ხელისუფლებაზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ. იმავე სახალხო დამცველის მოთხოვნაც, ტრანსგენდერების სტატუსთზე, მათი პროვოცირებულია; ანტიდისკრიმინაციული კანონის ინიცირებაშიც დიდი როლი შეასრულეს... ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიასაც გაცილებით უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია მიმდინარე პროცესებზე?**

— თავის დროზე, როცა მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, ეკლესიამ მაქსიმალურად იაქტიურა, მაგრამ ისევე, როგორც საფრანგეთში არ გაუწიეს ანგარიში ქუჩაში გამოსულ მილიონზე მეტ ადამიანს, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აპროტესტებდა, აქაც არ გაითვალისწინეს სამღვდელოების აზრი. მეტიც, კათოლიკოს-პატრიარქმა რამდენიმე განცხადება გააკეთა ამ საკითხზე და შემდე ქადაგებიდან მიმართა იმჟამინდელ პრეზიდენტს, ვეტო დაედო კანონპროექტისთვის, მაგრამ მან იმავე საღამოს ხელი მოაწერა. ამის შემდეგ გრიალ-გრიალით დაამტკიცეს ის კანონპროექტი. ასე რომ, არავისთვის უცხო არ არის, საიდან მოდის ეს საკანონმდებლო ცვლილებები; პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს ყველაფერი არის ძალდატანება ევროპისა და ამერიკის მხრიდან და ესენი არიან, უბრალოდ, შემსრულებლები.

რაც შეეხება სახალხო დამცველის ინიციატივას თუ მოთხოვნას, საქართველოს ომბუდსმენი არ ჰყავს. **ის არის კონკრეტული ჯგუფების უფლებების დამცველი და დემოკრატია უმცირესობების დიქტატურად რომ არის წარმოდგენილი, ჩვენთვის ეს მიუღებელია.** მართლმადიდებლური ეკლესია და მასთან ერთად საზოგადოება არავის დიქტატურას არ შეეგუება და არ დაუშვებს, გარკვეულმა მცირე ჯგუფებმა თავს მოახვიოს მისთვის მიუღებელი იდეოლოგია, რომლის მცდელობასაც, სამწუხაროდ, ვხედავთ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება — კონკორდატი და ნებისმიერი ახალი კანონი კონსტიტუციაზე ან საკონსტიტუციო შეთანხმებაზე მაღლა არ უნდა იდგეს. რადგან კონკორდატს ყველა შიგა იურიდიულ კანონზე, აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმებზეც უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. თუნდაც, მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, რომელსაც შალახოს თანხლებით მოაწერეს ხელი და თავი სასაცილოდ გაიხადეს.“

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა დავითი (ისაკაძე):

# თუ ბატონ უჩა ნანუაშვილს სურს, ქალბატონი კონჩიტა გახდეს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ჩვენ ამას თავს ნუ გვახვევს!

**„სერიოზული საკითხები, ვინმე ამერიკელის ან ევროპელის შემოგდებული სურვილების ან ავადმყოფური გადახრების მიხედვით არ უნდა წყდებოდეს“, — ამბობს წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა დავითი (ისაკაძე), რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ ქვეყნისათვის აქტუალურ საკითხებზე ესაუბრა.**

**— მამაო, განათლების სამინისტროს ინიციატივას სკოლებში ახალი საგნის დანერგვის თაობაზე საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება მოჰყვა. საგანს — „მე და საზოგადოება“ ეწოდება, თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სინამდვილეში, აპირებენ, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებს ასწავლონ გენდერული იდენტობა, პიროვნული იდენტობა... განათლების სამინისტროს ინიციატივას საქართველოს საპატრიარქოც გამოეხმაურა. წმინდა სინოდმა იმსჯელა და საგნის სკოლებში დანერგვამდე, პროექტის განხილვაში მონაწილეობის სურვილიც გამოთქვა. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ეკლესიის მონაწილეობა განათლების საკითხებში?**

— დიახ, საპატრიარქომ გააკეთა განცხადება, ვინაიდან, ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა სურთ, ასწავლონ ჩვენს ბავშვებს. თუ ზემოთ ჩამოთვლილი საგნების სწავლება სურთ, ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია და ამ შემთხვევში, ჩვენი, როგორც მშობლების უფლებები ირღვევა. ასევე ირღვევა ჩვენი ბავშვების უფლებები.

**არ უნდა გვკითხონ, რა უნდა ასწავლონ ჩვენს შვილებს სკოლებში?** ასეთი სერიოზული საკითხები, ვინმე ამერიკელის ან ევროპელის შემოგდებული სურვილების ან ავადმყოფური გადახრების მიხედვით არ უნდა წყდებოდეს. ეს საქართველოა, ზნეობის, უძველესი ტრადიციების, კულტურისა და რწმენის ქვეყანა, ამიტომ ქართველი ხალხი, ბუნებრივია, ამას არ დაუშვებს.

**— ეკლესია სკოლებში სექსუალური განათლების წინააღმდეგია. თუმცა, „დემოგრაფიული აღორძინების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად აღმოჩნდა — გამოკითხული გოგონების 80%-მა არ იცოდა, რომ პირველმა აბორტმა შეიძლება უშვილობა გამოიწვიოს. როგორ შეიძლება მსგავსი ინფორმაცია მიიღონ მოზარდებმა?**

— შეიძლება სამედიცინო დაწესებულებებში ან სკოლებში სპეციალური კაბინეტები არსებობდეს, სადაც შევა მოზარდი და თავის პრობლემებზე ან ისეთ საკითხებზე ისაუბრებს, რომლებიც აინტერესებს. მაგრამ ამ თემების აფიშირება, კლასში ფართოდ საუბარი არ შეიძლება, რადგან ეს ყველაფერი ბავშვებში ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევს. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს — მოგეხსენებათ, სკოლებში სექსუალური განათლების დანერგვის წინააღმდეგ ვიბრძოდით.

**— თბილისის სამ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 250 გამოკითხული 18-დან 22 წლამდე სტუდენტი გოგონადან 10%-ზე მეტს 5-6 აბორტი უკვე ჰქონდა გაკეთებული, ხოლო 7%-მა პირველი აბორტი 14 წლისამ გაიკეთა. არსებობს ეჭვი, რომ რეალური რიცხვი გაცილებით დიდია. რატომ მივიღეთ ასეთი საგანგაშო სურათი ქვეყანაში?**

— ეს ყველაფერი აღვირახსნილი ცხოვრების წესის დანერგვისა და პროპაგანდის შედეგია. შეხედეთ, რას გადაცემენ ტელევიზიები ან რა იბეჭდება პრესაში. ნებისმიერი ტოკშოუში გარყვნილების თემაა. მასმედიით აღვირახსნილობის რეკლამირება არ უნდა მიმდინარეობდეს და ახალგაზრდებს ასეთ თემებზე არ უნდა ვესაუბრებოდეთ. პირიქით — ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა ვნერგავდეთ. ის, რაც ახლა ახალგაზრდების თავს ხდება, წინა ხელისუფლების აქტიურობის შედეგია, მათ სურდათ, გაერყვნათ ჩვენი ახალგაზრდობა. თუმცა, დღესაც არიან ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების მსგავსად ფიქრობენ.

ამ თემაზე რამდენიმე საკითხი შეიძლება გავაერთიანოთ: ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება; არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობები ისეთ საკითხებზე, რომლებიც კატეგორიულად შეუთავსებელია ზნეობრივი ადამიანის ცხოვრების წესთან; სახალხო დამცველის ბოლო განცხადება...

**— სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა იუსტიციის მინისტრს ახლახან ახალი ინიციატივით მიმართა და ტრანსგენდერებისთვის ბიუროკრატიული ბარიერების გამარტივება სთხოვა. ვინაიდან, საქართველოში სქესის შეცვლა უფრო ადვილია, ვიდრე მისი დოკუმენტებში დაფიქსირება, რაც ტრანსგენდერებს განათლების მიღებასა თუ სამსახურის დაწყებასი უშლით ხელს. ამ რეკომენდაციის მიხედვით კი, ტრანსგენდერებს მარტივად შეეძლებათ საკუთარი სქესის დოკუმენტებში ჩაწერა. რა პოზიცია ექნება ეკლესიას ამ შემთხვევაში?**



**«როდესაც ქვეყანაში მოსახლეობის 87% მართლმადიდებელია, ჩვენ არ უნდა შეგვეკითხონ აზრს არაფერზე? ან ისე რატომ უნდა მოხდეს, რომ უმცირესობის უფლებების დაცვის მიზეზით უმრავლესობის უფლებები შეილახოს?»**

— ისეთი პიროვნება, როგორიც დღევანდელი სახალხო დამცველია, მნიშვნელოვანი ორგანიზაციის ხელმძღვანელად არ უნდა ინიშნებოდეს. ჩვენ **გვყავს სახალხო დამცველი, რომელიც საქართველოში ტრანსგენდერების ცხოვრების წესის დანერგვაზე ლაპარაკობს, ამაზე მეტი საშინელება რა უნდა იყოს?!** ამით ის არღვევს ჩვენს უფლებებს არღვევს, ის ხომ სახალხო დამცველია, ანუ ჩვენი, ყველას დამცველია და არა ტრანსგენდერების წარმომადგენელი?! ჩვენც ხომ უნდა გვკითხონ, ამ საკითხზე რა აზრის ვართ, გვინდა კი ეს მოხდეს?

თუ ყველა საკითხს ასე მივუდგებით, უახლოეს მომავალში ტრანსგედერი პრეზიდენტი გვეყოლება, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის უფლებას ისიც მოითხოვს. **თუ ბატონ უჩა ნანუაშვილს სურს, ქალბატონი კონჩიტა გახდეს, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ჩვენ ამას თავს ნუ გვახვევს.**

**— მაგრამ, მამაო, ეკლესიის წინააღმდეგობის მიუხედავად, თუ პირი მაინც იცვლის სქესს, აქვს კი მნიშვნელობა, რა ეწერება დოკუმენტში?**

— ასეთი საქციელი არ უნდა წავახალისოთ. ასეთი თემები და ნორმები აუცილებლად უნდა იყოს ეკლესიასთან შეთანხმებული. ვინაიდან, **ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება — კონკორდატი და ნებისმიერი ახალი კანონი კონსტიტუციაზე ან საკონსტიტუციო შეთანხმებაზე მაღლა არ უნდა იდგეს. რადგან კონკორდატს ყველა შიგა იურიდიულ კანონზე, აგრეთვე, საერთაშორისო შეთანხმებზეც უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. თუნდაც, მაგალითად, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, რომელსაც შალახოს თანხლებით მოაწერეს ხელი და თავი სასაცილოდ გაიხადეს.**

**არანაირი საერთაშორისო ნორმა საკონსტიტუციო შეთანხმებაზე მაღლა არ უნდა დადგეს, ვინაიდან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო ეკლესიას თანაბარ სუბიექტად აღიარებს და მის მიერ აღიარებულ სამართლის ნორმებსაც პატივს სცემს.**

**— თუმცა, არც ძველმა და არც ახალმა ხელისუფლებამ ეკლესიის პოზიცია არ გაითვალისწინა — არც რელიგიური გაერთიანებების შესახებ, არც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას და არც სხვა საკითხზე...**

— დიახ, ასე მოხდა და ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ კანონი დაარღვია. ვინაიდან, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმება ნიშნავს, რომ ორ თანაბარ სუბიექტს შორის არის შეთანხმება, რომლებმაც პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სამართალს და უფლებებს, რომლის შელახვის უფლებაც, არც ერთმა სუბიექტმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში არ უნდა დაუშვას.

ამიტომაც ითხოვდა ეკლესია თავისი უფლებების აღიარებასა და პატივისცემას სხვადასხვა კანონზე. ამას გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეკლესია მხოლოდ სასულიერო პირები არ არის. ეკლესია, სასულიერო პირების გარდა, ერის ადამიანებს, მრევლსაც წარმოადგენს. **როდესაც ქვეყანაში, მოსახლეობის 87% მართლმადიდებელია, ჩვენ არ უნდა შეგვეკითხონ აზრს არაფერზე? ან, ისე რატომ უნდა მოხდეს, რომ უმცირესობის უფლებების დაცვის მიზეზით, უმრავლესობის უფლებები შეილახოს?**

**— თუ იუსტიციის სამინისტრო სახალხო დამცველის წინადადებას გაიზიარებს და, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შემდეგი ნაბიჯი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნა იქნება?**

— რა თქმა უნდა, ეს ამის საწინდარია. ჩვენ, სრულიად საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ასეთი ნორმების აღიარება არ მოხდეს, თორემ მალე შეიძლება ნახევარი პარლამენტი ტრანსგენდერი გვყავდეს. და ვის გინდათ ცხოვრება ისეთ სახელმწიფოში, სადაც უკიდურესი გარყვნილების გამოვლინება ხდება?

ეს უკიდურესი გარყვნილებაა, ეს არ არის თავისუფლება. თავისუფლებაზე მოსაუბრეებს ხშირად ავიწყდებათ, რომ თავისუფლებისთვის გარკვეული კულტურაა საჭირო. თანამედროვე ლიბერალებს, როგორც ისინი თავს უწოდებენ, თავისუფლება ესმით როგორც ვნებების გამართლება. ვნებებს კი არ შეუძლიათ ადამიანის სულის დამაყოფილება, ამიტომ ისინი, თვითონ გადაგვარებულნი, პათოლოგიურ ფორმში გადაგვარებას განაგრძობენ. ტრანსგენდეროობაც პათოლოგიური გადაგვარების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამიტომ **სახალხო დამცველმაც და კანონმდებლებმაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრი უნდა გაითვალისწინონ და, ვიდრე ასეთ სერიოზულ საკითხზე მსჯელობას დაიწყებენ, რეფერენდუმი ან პლებისციტი ჩაატარონ. ასეთი სახალხო დამცველი და ასეთი სახალხო დამცველის აპარატი, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ჩვენი ხალხის შეურაცხყოფაა.**

**— ირლანდიაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ვატიკანმა კაცობრიობის მარცხად შეაფასა. ევროპაშიც კი, სადაც ლგბტ ადამიანების უფლებებს განსაკუთრებულად იცავენ, უკვე შეშფოთდნენ...**

— ეს იმიტომ ხდება, რომ უკვე თვითონ კანონმდებლებიც გადაგვარდნენ. თუმცა, ხალხის უმრავლესობა ამ ქვეყნებშიც სხვაგვარად ფიქრობს. მათ თავს მოახვიეს ეს კანონები. ამას ადასტურებს საფრანგეთში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის წინააღმდეგ გამართული მილიონიანი აქცია.

**— თუ საქართველოზე გაცილებით ძლიერ და დიდ ქვეყნებს მოახვიეს თავს, ჩვენ რა შეგვიძლია? როგორ აღუდგებით წინ ამ ყველაფერს?**

— ამ საკითხებზე მოქმედებას უახლოეს მომავალში დავიწყებთ. ჩვენ დღესვე ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ იუსტიციის სამინისტრომ, კეთილი ინებოს და, ხალხის აზრი გაითვალისწინოს.

ერთად უნდა დავდგეთ, ქუჩაში ბევრი ხალხი უნდა გამოვიდეს და, თუ საჭირო გახდა, ასეთი კანონმდებლების თანამდებობებიდან გათავისუფლებაც უნდა მოვითხოვოთ. ჩვენ ასეთი ევროპული და ამერიკული კანონები არ გვინდა, ჩვენ ისეთი კანონები გვინდა, რომელიც საღმრთო კანონებს დაექვემდებარება. **ის ხელისუფალი, რომელიც ასეთ კანონებს იღებს, ჩვენთვის მიუღებელი იქნება და მას ყოველთვის ბრძოლას გამოვუცხადებთ!**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

No passaran!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სააკაშვილს დასავლური სპეცსამსახურები მფარველობენ. ისინი სააკაშვილის მეშვეობით რუსეთს აღიზიანებენ. მათი მეორე გეგმაა, უკრაინის შემდეგ მიხედონ მოლდოვას და შემდეგ საქართველოში გადმოინაცვლებენ. არსებობს მასიური არეულობების, მასშტაბური შეტაკებების გეგმა. სასტუმრო „უკრაინაში" შტაბი აქვთ, სადაც მსჯელობენ, როგორ იმოქმედონ".**



# ტრისტან წითელაშვილი: «თავისუფალი ზონა», ირაკლი წერეთლის დაჯგუფება და ფაშისტური მოძრაობა სააკაშვილის მიერ იმართება

**რას სთხოვს ხელისუფლებას სამხედრო ექსპერტი, გენერალი ტრისტან წითელაშვილი და რა ინფორმაცია აქვს მას ქვეყანაში მოსალოდნელი საბოტაჟის შესახებ — ამ და სხვა საკითხებზე ბატონი ტრისტანი „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება.**

**— რამდენიმე დღის წინათ საინფორმაციო სააგენტო „რია ნოვოსტის" პრესცენტრში საზოგადოებრივი მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს ანტიფაშისტურ კოალიციასთან" ერთად გამართულ პრესკონფერენცია 9 მაისს ვაკის პარკში მომხდარი ინციდენტი გააპროტესტეთ; ამას გარდა, თქვენ „თავისუფალი ზონის" აკრძალვაც მოითხოვეთ. რამ გამოიწვია თქვენი აღშფოთება?**

— 9 მაისს მსოფლიოს ის ქვეყნები აღნიშნავენ, რომლებმაც ფაშიზმის სისასტიკე საკუთარ თავზე გამოსცადეს. ფაშიზმზე გამარჯვებაში საქართველომ უდიდესი წვლილი შეიტანა. ამ ომში საქართველოდან 350 ათასამდე კაცი დაიღუპა და, რაც მთავარია, პირველი პირი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა, ქართველი იოსებ სტალინი იყო, ამიტომ საქართველო ამ დღეს თავის გამარჯვებას ზეიმობს. ჩვენს მოხუც ვეტერანებს კი, რომლებიც ისედაც ცოტანილა შემორჩნენ, იმის მაგივრად, ხელის გულზე ატარონ, შეურაცხყოფენ. **დავინახე, როგორ გამოეყო ვაკის პარკში შეკრებილი ახალგაზრდების ჯგუფს რამდენიმე ახალგაზრდა და ამ მოხუცებს ორდენები ჩამოჰგლიჯა. საბჭოთა კავშირის პერიოდში რა ჯილდოებიც არსებობდა, ეს ხალხი იმით დააჯილდოვეს და ვის აქვს უფლება, ადამიანს ასე მოექცეს და დამსახურებული ორდენები ჩამოჰგლიჯოს?!** მე მივუთითე ახალგაზრდებს, ასე არ მოქცეულიყვნენ, რის შემდეგაც მიყვიროდნენ — მოღალატე ხარო. სიტყვიერ დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

**ვაკის პარკში ეს ადამიანები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად: „თავისუფალი ზონა", ირაკლი წერეთლის დაჯგუფება და ფაშისტური მოძრაობა. სამივე ორგანიზაცია სააკაშვილის მიერ უკრაინიდან იმართება და საკმაოდ კარგად ფინანსდება.**

**— საქართველოში ფაშისტური მოძრაობა უკვე არსებობს?**

— დიახ, **საქართველოში ფაშისტური მოძრაობა ცოტა ხნის წინათ დაფუძნდა. ეს ორგანიზაცია უკრაინული დროშის ქვეშ მოქმედებს და მას სააკაშვილი და უკრაინელი ოლიგარქები მართავენ.**

მხოლოდ ვაკის პარკში მომხდარი ინციდენტი არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი, რომლის გამოც „თავისუფალი ზონის" აკრძალვა მოვითხოვეთ. ამ ორგანიზაციამ საქართველოში არაერთი დანაშაული ჩაიდინა. **„თავისუფალი ზონის" წევრები შეურაცხყოფენ ყველა იმ ადამიანს, რომლებიც დღეს საღად აზროვნებენ და აცხადებენ, რომ ჩვენი ტერიტორიები მშვიდობიანი გზით უნდა დავიბრუნოთ და არა ძალადობითა და იარაღის ჟღარუნით. ამ ორგანიზაციის წევრები ძალადობენ ჟურნალისტებზეც, მაგალითად, ჟურნალისტ ზაზა დავითაიას ორჯერ დაესხნენ თავს და მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში მოხვდა.**

**— „თავისუფალი ზონა" არის ორგანიზაცია, რომლის აკრძალვამაც, შესაძლოა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვიოს. როგორ წარმოგიდგენიათ ამ ორგანიზაციის აკრძალვა ისე, რომ ესეც პოლიტიკურ დევნად არ ჩაითვალოს?**

— **ორგანიზაცია, რომელიც დაკომპლექტებულია შს სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს 26 მაისისა და 7 ნოემბრის აქციების დარბევაში მონაწილე ყოფილი ზონდერებით, არის კრიმინალური ორგანიზაცია, ამიტომ საჭიროა სამართალდამცველმა ორგანოებმა მისი საქმიანობა შეისწავლონ.** პროკურატურას არაერთი ანგარიში მივაწოდე მათი დაფინანსების, სატელეფონო კავშირების ჩანაწერების შესახებ, რომლებშიც კარგად ჩანს, რა დირექტივებს აძლევენ მათ უკრაინიდან, მაგრამ მას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

უამრავი ფაქტი არსებობს უცხოეთის დასარწმუნებლად, თუნდაც ჟურნალისტის ცემის ფაქტი. იმ ადამიანების ექსპერტიზის დასკვნებიც გვაქვს, რომლებსაც „თავისუფალი ზონის" წევრები ჯგუფურად დაესხნენ თავს და მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს. საქართველოს პრემიერმინისტრსაც მივმართე, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ „თავისუფალი ზონა" პროვოკაციებისთვის ემზადება და, ვიდრე სერიოზული პროვოკაცია არ მოუწყვიათ, რომელიც შეიძლება დაპირისპირებასა და სისხლისღვრაში გადაიზარდოს, უნდა აიკრძალოს.

**— ამბობთ, რომ არაერთხელ გაახმაურეთ ეს ფაქტები და ხელისუფლებასაც მიმართეთ, რატომ არ რეაგირებს ხელისუფლება?**

— ვიდრე ხელისუფებაში „ნაციონალების" კადრები იქნებიან, არაფერი შეიცვლება. პროკურატურას არაერთხელ მივაწოდე ინფორმაცია, მაგრამ, ვიდრე იქ **მილენა მითაიშვილის მსგავსი პროკურორები იმუშავებენ, ასეთი ვითარება იქნება.**

**— ვინ არიან ხელისუფლებაში ჩანერგილები?**

— თავდაცვის სამინისტროში ჩანერგილები არიან **კერესელიძე, ურიდია, ფოჩხუა, ჯოხაძე, კბილცეცხლაშვილი. ანალოგიური ვითარებაა შს სამინისტროში, პროკურატურაში, მუნიციპალიტეტებში, მერიასა თუ მთავრობაში.** საბოტაჟს ეს ადამიანები უწყობენ ხელს. დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს ისევ სააკაშვილი მართავს. თავდაცვის სამინისტრო დემორალიზებულია. ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები, ერთსა და იმავე პირებს აწინაურებენ და პრემიებს ურიცხავენ, ხოლო ახალგაზრდა ოფიცრებს წინსვლის საშუალებას არ აძლევენ.

**— რას ფიქრობთ თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნაზე, მოახერხებს ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელებას?**

— არაფერი შეიცვლება. საკითხავია, ნუთუ დღეს ქვეყანაში ისეთი სიტუაცია გაქვს, რომ თავდაცვის მინისტრი ქალი იყოს და, საერთოდ, თავდაცვის სამინისტროში დღეს არის ვინმე პროფესიონალი? ჩვენს სიტუაციაში მყოფ ქვეყანას ჯარი იმ დონეზე მაინც უნდა ჰყავდეს მომზადებული, რომ საჭიროების შემთხვევაში ქვეყნის დაცვა შევძლოთ, თორემ აბსურდია, რომ რუსეთს დავამარცხებთ. რუსეთს დასავლეთი უწევს ანგარიშს და ჩვენ რა შეგვიძლია? ჩვენ სიღრმისეულად უნდა შევცვალოთ ჯარის მომზადების პრინციპები. დღეს ჯარისკაცები საკომენდანტო მომზადებას ავღანეთსა და ერაყში წასასვლელად გადიან, ფართომასშტაბიანი ტაქტიკური სწავლება კი არ ტარდება.

**— ამერიკელებთან ერთობლივი წვრთნებიც ხომ ჩატარდა?**

— ეს ყველაფერი მხოლოდ პიარისთვის იყო გამიზნული. **ეს იყო ამერიკელების მცდელობა, ჩვენს ხარჯზე რუსეთი გაეღიზიანებინა. ახლა იმაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, ნატოს რომელი დანაყოფი შემოვიყვანოთ და ამით მეზობელი ქვეყანა გავაღიზიანოთ, იმ მიმართულებით უნდა ვმუშაობდეთ, რომ რუსეთთან ურთიერთობა დავალაგოთ.**

მინდა ვთქვა, რომ აბაშიძე-კარასინის შეხვედრებმა შედეგი გამოიღო. ჩვენი მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქციის რეკლამა უკვე რეგულარულად გადის რუსეთის ტელეარხებზე. 9 მაისს, როდესაც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში საზეიმო ღონისძიებები ჩატარდა, ქუჩებში გამოტანილი ქართული დროშებიც დავინახე.

ნურავინ დაიჯერებს, რომ ჩვენ ოდესმე ან ნატოს, ან ევროკავშირის წევრი გავხდებით. ეს ზღაპარია, რასაც ამ ორგანიზაციების წევრები უკვე თავადაც გვეუბნებიან.

**— 21 მაისს რიგაში გამართული აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისადმი საქართველოში დიდი მოლოდინი არსებობდა, თუმცა საქართველომ ვიზების ლიბერალიზაციაზე ევროკავშირისგან თანხმობა ვერ მიიღო. იმ მოტივით, რომ ქვეყანა ჯერ მზად არ არის.**

— არც ერთი ქვეყნის ხელმძღვანელობას არ სურს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება. ვფიქრობ, მალე მოვა დრო, როდესაც ეკონომიკურ ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებები პოლიტიკურ ფორმატში გადაინაცვლებს. ჩვენს ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ეს მიმართულება უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდეს, თუმცა არიან ძალები, რესპუბლიკელების თამადობით, რომლებიც დივერსიული და შემოვლითი გზებით ხელისშემშლელ პირობებს ქმნიან.

22 წელიწადია, ერთ ადგილს ვტკეპნით. მოლაპარაკების ათასნაირი ფორმატი იყო შექმნილი, უამრავი სადამკვირებლო მისია მუშაობდა, მაგრამ რა გაგვიკეთა დასავლეთმა — თუნდაც მცირე ტერიტორია მაინც დაგვიბრუნა?

**— „ნაციონალური მოძრაობა" ოთხმა წევრმა დატოვა და ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნის შესახებ განაცხადა. ეს ცვლილებები „ნაციონალების" გეგმის ნაწილია თუ პარტიაში მართლაც სერიოზული განხეთქილებაა?**

— „ნაციონალური მოძრაობა" პოლიტიკური რუკიდან მალე გაქრება, ამიტომ ახლა ტაქტიკა შეცვალეს — ვითომ პარტიაში განხეთქილება აქვთ. ეს სააკაშვილის გეგმის ნაწილია. სააკაშვილი არის ბოროტი ჭკვიანი. „ნაციონალური მოძრაობა" არის სექტა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფად დაიშლება. ამას სამხედრო ენაზე ასე ვუწოდებთ — იქმნება მცირე ტაქტიკური ჯგუფები, რომლებიც წერტილოვან დარტყმებს ახორციელებენ.

**— ზოგიერთის აზრით, ამ პროცესებში ხელისუფლების ხელიც ურევია...**

— კი, ხელისუფლებაც ხელს უწყობს ამ ვითარებას, ოღონდ ის პარტიები, რომლებიც „ნაციონალების" მონათესავედ ითვლებიან, მაგალითად, რესპუბლიკელები, რომლებიც დაუფარავად აცხადებენ, „ნაციონალებში" ვხედავთ ადამიანებს, რომლებთან ურთიერთობა და თანამშრომლობაც მისაღებიაო.

**— მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დაინიშნა. რისთვის სჭირდება უკრაინას ხელისუფლებას ამდენი „ნაციონალი"?**

— უკრაინას საკმაოდ კარგად ვიცნობ, ვინაიდან უკრაინის გენერალურ შტაბში ხუთი წლის განმავლობაში ვმოღვაწეობდი. იქ ბევრი მეგობარი მყავს და დღესაც განვაგრძობ მათთან ურთიერთობას... ეს იყო დასავლეთის სპეცსამსახურების გეგმა, რომლის მიხედვითაც სააკაშვილს უკრაინაშიც ის უნდა გაეკეთებინა, რასაც საქართველოში აკეთებდა. მეტიც, მე გავავრცელე ინფორმაცია, რომ **უკრაინაში დაიწყო ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა და დაჭრილ მეომრებს უკვე საავადმყოფოში საოპერაციოდ დაწვენისაც ეშინიათ.**

**— ბატონო ტრისტან, ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა... გაქვთ დამადასტურებელი ფაქტები?**

— დიახ, მაქვს. ასევე მაქვს ინფორმაცია, რომ უკრაინაში მიმდინარეობს იარაღის კონტრაბანდა, რომელშიც სააკაშვილი ვამხილე.

სააკაშვილს როგორც მშვიდი საქართველო არ აძლევდა ხელს, ასევე არ აძლევს ხელს მშვიდი უკრაინა, ამიტომ უკრაინაში სიტუაციას სპეციალურად ძაბავს.

**— ზოგიერთი ექსპერტის აზრით, „ნაციონალების" საბოლოო მიზანი საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებაა.**

— რა თქმა უნდა, საბოლოო მიზანი ეს არის, რადგან ადამიანები, რომელთა წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, განაჩენია გამოტანილი, უკრაინაში თანამდებობებზე დანიშნეს. თუმცა, ვფიქრობ, უკრაინის ხელისუფლება ამ საკითხში უძლურია, რადგან **სააკაშვილს დასავლური სპეცსამსახურები მფარველობენ. ისინი სააკაშვილის მეშვეობით რუსეთს აღიზიანებენ. მათი მეორე გეგმაა, უკრაინის შემდეგ მიხედონ მოლდოვას და შემდეგ საქართველოში გადმოინაცვლებენ. არსებობს მასიური არეულობების, მასშტაბური შეტაკებების გეგმა. სასტუმრო „უკრაინაში" შტაბი აქვთ, სადაც მსჯელობენ, როგორ იმოქმედონ.**

პირველი ბრიგადის მეთაური **დავით მაყიშვილი**, რომელიც უკრაინაშია სააკაშვილთან, მითითებებს აძლევდა თავდაცვის სამინისტროში მოქმედ ოფიცერ გორგაძეს, რა პროვოკაციები უნდა მოეწყო ქვეყანაში. გორგაძემ სამხედრო ნაწილის ტერიტორიის ბაზაზე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ოფიცრების წინ დაიწყო ყვირილი, — აქ რა გვინდა, როცა ჩვენი ძმები უკრაინაში იღუპებიანო. ეს პირდაპირ მოწოდებაა და დანაშაულია. ჩვენი არაერთგზის აქტიურობის შედეგად, ამ პირს ახსნა-განმარტება ჩამოართვეს.

**— გორგაძე გაათავისუფლეს სამსახურიდან?**

— არა, შვებულებაში გაუშვეს. ყველაფერი ისე შეფუთეს, თითქოს ნასვამ მდგომარეობაში იყო, არადა, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ნასვამი ოფიცრის ყოფნა დანაშაულია, თანაც, ნასვამი იქ ვერ მოხვდებოდა, რადგან შესვლამდე ყველას ამოწმებენ. ეს ფაქტი მოწმობს, რომ სამხედრო პოლიციაში ასეთ ადამიანებს მფარველობენ. ჯარისკაცები რომ მოიწამლნენ, ესეც საბოტაჟი იყო.

სამინისტროში ჩანერგილი 51 თანამდებობის პირის სია თავდაცვის ყოფილ მინისტრ მინდია ჯანელიძეს მივაწოდე, მან რამდენიმე მათგანი სამსახურიდან გაათავისუფლა და გარკვეულ საკითხებზე რაღაც კომუნიკაციაც მოვახერხეთ. ხიდაშელს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი ჯერჯერობით არ გამოუთქვამს. მან თქვა, საკადრო პოლიტიკაში არ ვერევიო, მაგრამ, თუ ეს ჩანერგილი ხალხი არ მოაშორეს, როგორც „ნაციონალები" ელოდებიან, თეთრ რაშზე არა, მაგრამ, შესაძლოა, ერთ დღეს, თბილისში ტანკზე ამხედრებული სააკაშვილი გამოგვეცხადოს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**«საქართველოში ფაშისტური მოძრაობა ცოტა ხნის წინათ დაფუძნდა. ეს ორგანიზაცია უკრაინული დროშის ქვეშ მოქმედებს და მას სააკაშვილი და უკრაინელი ოლიგარქები მართავენ»**

**ანგელა მერკელს პირდაპირ ასე განუცხადებია: „მე კარგად გავეცანი ქართველებს და განსაკუთრებით მომეწონა მათი ანდაზა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ჰოდა, სწორედ ამ ანდაზის თანახმად გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი.**



ბაჩერ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირის ეზოში «შემოიხედე გენაცვალე» გაიხსნება

**რიგის სამიტის ექო, მთელი კვირაა, ვერ მიწყნარდა და, სავარაუდოდ, კიდევ კაი ხანს იქნება ამ სამიტის შედეგები მიამიტ ქართველთა იმედგაცრუება და მწარე მოგონება. ნურავინ იტყვის, რომ რაღაცნაირი „საყოფაცხოვრებო“ ენით ვსაუბრობ და არა ჟურნალისტური სტანდარტით. აკი, თავად გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმაც სწორედ ერთგვარი „ჟიზნენნი“ ჟანრის კინოფილმის სცენარის მსგავსად განაცხადა: „მესმის, რომ საქართველო ახლა ერთგვარ ემოციურ გაუგებრობაშია“.**



სიმართლე გითხრათ, მთლად კარგად ვერ ვხვდებით, რა არის „ემოციური გაუგებრობა“, რადგან ვერაფრით წარმოვიდგინეთ, როგორი შეიძლება იყოს „უემოციო გაუგებრობა“, მაგრამ კანცლერის მიერ ვიზების ლიბერალიზაციაზე უარის თქმის ამ სიტყვებით შეფასებამ აშკარად ასეთი „ჟიზნენნი“ სიუჟეტი მოგვაგონა:

ქალი, რომელსაც ძლიერი ლტოლვა აქვს სიმპათიური მამაკაცის მიმართ... მეორე მხრივ, ღირსეული მამაკაცი, რომელიც ბოროტად არ იყენებს ქალის ასეთ აცანცარებას და ცდილობს, დააბალანსოს ურთიერთობა, კარგად გაიცნოს, გააანალიზოს ყველაფერი და შემდეგ და შემდეგ ძალიან დაფიქრებული და ფრთხილი ნაბიჯი გადადგას... მას ესმის, რომ ემოციური ცანცარის დროს მიღებული ნაჩქარევი გადაწყვეტილება ვნებს ადამიანებს... როგორ დასრულდება ეს მელოდრამა? გიჟური ვნებით, რომელიც ქალის გულს საბოლოოდ დაანგრევს, თუ სწორი და გაზომილ-აწონილი ბედნიერი ნაბიჯით? ამას შაბათ საღამოს ჩვენს ეთერში იხილავთ! — აი, ასეთი ანონსი ნებისმიერი ტელეკომპანიის ეთერში ტრანსლირებულ ტელესერიალს დაამშვენებდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს, ტელესერიალის ანონსი კი არა, საქართველო-ევროპის ურთიერთობის, ფაქტობრივად, რეალური ანალიზია!

**თუმცა, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ იმით ვიმშვიდებთ თავს, რომ, მიუხედავად ასეთი „მძაფრსიუჟეტიანი“ ურთიერთობისა, ევროპის კარი ჩვენთვის მაინც და ისევ ღია ყოფილა!**

„ეს საქართველოსთვის ევროპის კარის მიკეტვას არ ნიშნავს“, — დაგვამშვიდა ანგელა მერკელმა და, რა თქმა უნდა, გაგვიხარდა. ეგ კი არა, ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა სხვა, უფრო დამაიმედებელი ინფორმაციაც მოიპოვა — ხვალ თუ არა ზეგ, ზეგ თუ არა მაზეგ აუცილებლად გავხდებით ევროპული ოჯახის წევრი!

**ანგელა მერკელს პირდაპირ ასე განუცხადებია: „მე კარგად გავეცანი ქართველებს და განსაკუთრებით მომეწონა მათი ანდაზა „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ჰოდა, სწორედ ამ ანდაზის თანახმად გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი.** მანამდე კი ჯერ ვიზალიბერალიზაციის პროცესია წინ!“

ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი დაინტერესდა, თუკი კარი ღიაა, მაშინ ეს „ლიბერალიზაცია“ რაღას ნიშნავს? ბარემ პირდაპირ შევიდეთ და ეგაა!

მაგრამ, როგორც გითხარით, ევროპა ღორსეულად, ჯენტლმენურად იქცევა და ჩვენი ქალურ-ტუტუცური აცანცარებით ბოროტად არ სარგებლობს.

„ამ ღია კარში ჯერ ხომ უნდა შემოიხედოთ? ასე პირდაპირ რომ შემოვარდეთ, ეს, ჯერ ერთი, არც კულტურაა და მეორეც, იქნებ და რამე არ მოგეწონოთ? მერე უკან გავარდნა მოგერიდებათ და გამოვა, რომ იძულებით ხართ იქ, სადაც არ გსურთ. ამიტომ, მოდით, ჯერ კარგად შემოიხედეთ და ისე შემოდით“, — განაცხადა ანგელა მერკელმა.

ასეთი კომენტარების მოსმენის შემდეგ ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი ძალიან შეეჭვდა, რომ კანცლერის ეს სიტყვები რაღაც კონკრეტულ ინფორმაციას ფარავდა. მან მოინდომა და დაადგინა კიდეც, რომ თურმე ანგელა მერკელს ჩუმად დაუზვერავს თბილისი და აქ უნახავს რესტორნების ქსელი „შემოიხედე, გენაცვალე“. სწორედ აქედან დაბადებულა მისი ეს იდეაც, რომ ქართველებმა ჯერ ევროპის ღია კარში უნდა შევიხედოთ, ამიტომ სულ მალე ევროკავშირი დაიწყებს უახლეს პროგრამას საქართველოსთვის, რომლის სახელწოდებაა „შემოიხედე, გენაცვალე“. ეს იქნება ვიზების ლიბერალიზაციის წინა ეტაპი და ქართველების ევროპაში კარგად შეხედვას დაისახავს მიზნად.

**არც არის, ალბათ, ცუდი. მოდით, ჯერ მართლაც კარგად შევიხედოთ და, თუ გაგვისწორდა, ვინ დაგვიშლის? აააააეეეე! თავს მოვაჭრით რუმბივით გასიებულ ევროპას, ჩვენს საკადრის სუფრას თუ არ გაშლის!**

# თინამ «იმედი» აილო, იძახდა წიავ-წიავსა!

**აქ შეიძლება ორი რამ მოგეჩვენოთ გაურკვევლად — როგორ „აილო“ თავდაცვის მინისტრმა „იმედი“, სამხედრო შტურმით თუ რაიმე სხვა ხერხით? და მეორეც — ვინ იძახდა „წიავ-წიავსა“ — თინა თუ „იმედი“?**

სიმართლე გითხრათ, მთლად ზუსტ პასუხებს ამ, როგორც ჩვენს პოლიტიკოს-ჟურნალისტებს უყვართ ხოლმე თქმა, ლეგიტიმურ კითხვებზე ვერც მე გაგცემთ...

რა მეთოდებითაც უნდა მოეხერხებინა დიდ სტრატეგ თინას ტელეკომპანია „იმედის“ „აღება“, ფაქტია: **მთელი გასული კვირის განმავლობაში ეს ტელეკომპანიაცა და თვითონ თინაც ორ ხმაში გაიძახოდნენ „წიავ-წიავს“!**

ნუ იტყვით და, თურმე, **„იმედის“ ორივე „მთავარმა მეთოქშოუემ“ — ეკა ხოფერიამაც და ინგა გრიგოლიამაც ანაზდად გადაწყვიტეს, თავის შოუებში სწორედ თავდაცვის მინისტრზე მოემზადებინათ სიუჟეტები და თანაც, ორივე შემთხვევაში, არა ჟურნალისტურ-ჩაკირკიტებული, არამედ თბილი, ფამილარული, აღფრთოვანებულ-აღტაცებულ-ვაიმეშენგენაცვალე-რამაგარიქალიხარ-გავგიჟდი-გადავირიე-დედაესრავნახე სტილში!**

ეს „წიავ-წიავი“, რაღა თქმა უნდა იმას შეეხებოდა, რა მაგარი თავდაცვის მინისტრია თინა ხიდაშელი, როგორი იდეალური ადამიანი, გულისხმიერი ხელმძღვანელი და კარგი დედა!

ეს გაისმოდა „იმედის“ ორივე „ცენტრალურ“ თოქშოუში!

ცანცარა თინას სამხედრო-სტრატეგიულ მიღწევებზე, მის „გულისხმიერებასა“ და „სამშობლოს სიყვარულზე“ აქამდეც ბევრი ვწერეთ და მოდით, ამჯერად ამას თავი დავანებოთ!

ისედაც ფაქტი იყო, რომ აშკარად **გამწარებულმა და დაბოღმილმა თინამ გადაწყვიტა, სწორედ „იმედის“ შტურმით აღებით გაეცა პასუხი კრიტიკოსებისთვის და თავისი „სტრატეგოსული“ მოკლე ტვინით, ყველა თოქშოუში ერთბაშად გამოჩენით „იზეიმა“ კიდეც „გამარჯვება“...**

**რა გაეწყობა — ამერიკულ-„პიარშიკული“ მოკლე ჭკუა ამის იქით ვერ იხედება...**

არადა, მთავარი სწორედ ის არის, რას ილაპარაკებ ამ „თოქების“ დროს, თორემ გამოჩენით, მიშა რომ ჩანდა ხოლმე, საააკაშვილი, ტელევიზორშიც, მაცივარშიც და ლამის უთოშიც — გამოჩენაც ეგეთი უნდა! მაგრამ რა მოიგო? რაც მეტჯერ გამოჩნდა, მით მეტი ისულელა და მით უფრო დაანახვა ხალხს, რა ბედენასაც წარმოადგენს სინამდვილეში...

## ხიდაშელმა თავისი «სტრატეგოსული» მოკლე ტვინით, ყველა თოქშოუში ერთბაშად გამოჩენით «იზეიმა» კიდეც «გამარჯვება»...



სწორედ ასე ემართება ცანცარა თინასაც!

წეღან ვთქვი, მის მინისტრულ, სამხედრო, ხელმძღვანელურ და სხვა თვისებებზე უკვე ბევრი გვაქვს ისედაც ნათქვამი და ახლა შევეშვათმეთქი! ამჯერად მინდა, მხოლოდ ერთზე შევჩერდე: **თინა-დედაზე!**

ვფიქრობ, მამაკაცის ყველა სხვა დანარჩენი თვისების შესახებ ყველაზე მეტ ინფორმაციას იძლევა ის, რამდენად კარგი მამაა, ხოლო ქალზე და მის თვისებებზე ყველაზე სწორ ინფორმაციას იძლევა ის, თუ რამდენად კარგი დედაა ის...

ამიტომაც, თინას ყველა სხვა ფრაზა თუ „მარიაჟობა, — მე ასეთი კარგი ვარ და ისეთი მაგარი ვარო, —გადამავიწყა მისმა ერთმა ფრაზამ:

„მე ისე გავიზარდე, რომ დედაჩემს არასოდეს უკითხავს ჩემთვის, სად მივდივარ და როდის დავბრუნდები სახლშიო. ზუსტად ასე ვზრდი მე ჩემს შვილებს. არასოდეს ვეკითხები, სად მიდიან და როდის მოვლენ. ეს არის დიდი ნდობა და ეს არის თავისუფლება!“

ჰმ! აქ მცირე პაუზა და უხერხული ჩახველება იგულისხმეთ... ოდნავ გონს მოეგეთ?

ახლა მოდით და ალალად მიპასუხეთ — ამ ფრაზის ავტორი, თუ შეიძლება, იყოს არათუ თავდაცვის, არათუ მინისტრი... არამედ ნებისმიერი სფეროს, ნებისმიერი დონის სახელმწიფო „ჩინოვნიკი“?

პირდაპირ ვიტყვი: ასე მოაზროვნე ადამიანს კერძო სექტროშიც არ გავაჩერებდი ყველაზე უმნიშვნელო მოვალეობის შემსრულებლადაც კი!

ანუ გამოდის, შვილს რომ არ ეკითხები, სად მიდის და როდის მოვა —ეს ყოფილა „თავისუფლება“ და „ნდობა“!

გაითვალისწინეთ, რომ **ამას ამბობს ღია სატელევიზიო ეთერში მინისტრი! ქალი, დედა, რომელსაც ძალიან იოლი შესაძლებელია, უსმენდეს არაერთი არასრულწლოვანი, რომელიც, აი, ამ „წარმატებულ ქალს“ გააიდეალებს და დაუჯერებს, რომ თურმე შვილის ასე ფეხებზე დაკიდება ყოფილა „სწორი აღზრდა“ და მერე საკუთარი მშობლებისგანაც იმავეს მოითხოვს — არ ჰკითხონ, სად მიდის და როდის დაბრუნდება შინ!**

ამას ლაპარაკობს ადამიანი, რომელსაც საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო იურისტად მოაქვს თავი!

**ამას ლაპარაკობენ საქართველოში ადამიანები, უფრო ზუსტად, ადამიანების მსგავსი რაღაც ჯოგი, რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში რატომღაც „ლიბერალებად“ ვიცნობთ (ნამდვილი „ლიბრეალიზმი“ სულ სხვა რამეს გულისხმობს), ხოლო პოლიტიკაში რატომღაც რესპუბლიკელების სახელი მიუთვისებიათ (სინამდვილეში რესპუბლიკელობაც სულ სხვა რამეს გულისხმობს), ორივეს ერთად კი რაღაცნაირად „განათლებული ტიპების“ იმიჯი შეუქმნიათ საკუთარი თავისთვის, „ინტელექტის“ ერთგვარი პრივატიზება მოუხდენიათ და, ვინც მათ ავადმყოფურ იდეებს არ ეთანხმება, ყველას „ბნელსა“ და „ჩამორჩენილს“ ეძახიან უაპელაციოდ...**

ჰოდა, აბა, რაღა საკითხავია, ვინ იძახდა „წიავ-წიავს“ მთელი კვირა — თინა, „იმედი“ თუ ორივე ერთად, ერთ ხმასა და ზუსტად ერთ ტონალობაში?!

ვითომ ამ თემასთან არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც მახსენდება, რომ **ამას წინათ ინტერნეტში განთავსებულ ვიდეოკადრებში ერეკლე დეისაძის ცნობილი, ბავშვების თვალში მამისა და მშობლების როლის დამაკნინებელი და დამამცირებელი „ჰიტის“ — „შენ გავხარ მამას! შენს ახვარ მამას!“ — ჰანგებზე გაბრწყინებული სახით მოცეკვავე პრეზიდენტის ფეხმძიმე მეუღლეც ვიხილეთ! (პირველი ლედია ის თუ მეორე — ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს!) და ვისი „წიავ-წიავი“-ღა შეიძლება გაგვიკვირდეს ამის მერე?!**

GW-იუმორი
მაინც უკეთესი გვერდი
www.geworld.net

**ერთი ქვეყნის რიგითი გუბერნატორი ოფიციალურად ემუქრება სხვა ქვეყანას სახელმწიფო წყობისა და მთავრობის დამხობით! და, სხვათა შორის, როდესაც ასეთ რამეს უცხო ქვეყნის რიგითი გუბერნატორი ამბობს, ამ შემთხვევაში, იმასაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კანონიერი გზით აპირებს სხვა ქვეყნის მთავრობის შეცვლას თუ უკანონოდ!**

# ოდესევსის




# «მეგობარი ქვეყნის» გუბერნატორი სახელმწიფო გადატრიალებით გვემუქრება?

„მეგობარი ქვეყნის“ კონკრეტული, იურიდიული და რეცეპტული განსაზღვრება არ არსებობს საერთაშორისო კანონმდებლობაში.
ქვეყნებს შორის მეგობრობა განისაზღვრება კონკრეტული მოლაპარაკებებით კონკრეტულად ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობაზე, იქნება ეს ეკონომიკური, სამრეწველო, კულტურული, სპორტული თუ სამხედრო სფერო. საზოგადოდ კი, სიტყვა „მეგობრობა“ რასაც ნიშნავს ადამიანურ ენაზე, ყველამ ვიცით. დაახლოებით იმავეს უნდა ნიშნავდეს, ალბათ, ქვეყნებს შორის მეგობრობაც.

კონკრეტულ ურთიერთდახმარებასა და გასაჭირში თანადგომას რომ თავი დავანებოთ, „მეგობარი ქვეყანა,“ სულ ცოტა, შენს საშინაო საქმეებში მაინც არ უნდა ერეოდეს უხეშად და მით უფრო — არ უნდა გემუქრებოდეს!

მგონი, უცნაური არაფერი მითქვამს, ხო?

სამაგიეროდ, **უკრაინისა და საქართველოს „მეგობრობა“ უკვე მართლაც ძალიან უცნაურ ფაზაში შედის...**

აქამდე, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებრივი რეჟიმის წევრებსა და აქტიურ მხარდამჭერებს ამ ჩვენს „მეგობარ“ ქვეყანაში სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე ნიშნავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის საქართველოს შესაბამისი უწყების მიერ სისხლის სამართლის დამნაშავედ და ძებნილად გამოცხადებულიც არაერთი იყო, ჩვენი ქვეყნის ოფიციოზი, ასე თუ ისე, სიმშვიდის შენარჩუნებისა და უკრაინასთან „ურთიერთმეგობრობის“ არგაფუჭებისკენ მოგვიწოდებდა.

კარგი, ჯანდაბას, დანიშნოს ჩვენმა „მეგობარმა“ ქვეყანამ მაღალ თანამდებობებზე ჩვენ მიერ ძებნილი დამნაშავეები და დავხუჭოთ თვალი, ასე ვთქვათ, ხათრის გამო, მაგრამ...

**„ჩვენ აუცილებლად შევცვლით საქართველოში ხელისუფლებას! მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში ვიქნები და რა თანამდებობაზე, ჩემი მთავარი საზრუნავი იქნება საქართველოში ამ უნიათო მთავრობის მმართველობის დასრულება. ჩვენ აუცილებლად მოვახერხებთ ამ ხელისუფლების გაშვებას სახლში!“**

როგორ ფიქრობთ, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს ეს სიტყვები?

რა თქმა უნდა, ყველას, გარდა „მეგობარი“ ქვეყნის ოფიციალური თანამდებობის პირისა!

**არადა, ეს ფრაზა თქვა სწორედ „მეგობარი“ ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორმა და ამავე „მეგობარი“ ქვეყნის მოქალაქემ!**

**დიახ! დიახ! ფრაზა ეკუთვნის ოდესის გუბერნატორს და უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს, რომელიც აი, ასე „მეგობრულად“ გვემუქრება საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობით!**

მან ეს ფრაზა „ქართული“ ტელევიზიის — „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ წარმოთქვა.

**საერთაშორისო დიპლომატიაში, წესით, ასეთ განცხადებებს სერიოზული დიპლომატიური სკანდალი მოსდევს ხოლმე.**

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რა „ყოფილი“ სტატუსით სარგებლობს მუქარის ავტორი, ის ოდესმე პრეზიდენტი იყო თუ დამლაგებელი! მთავრია, რომ **ერთი ქვეყნის რიგითი გუბერნატორი ოფიციალურად ემუქრება სხვა ქვეყანას სახელმწიფო წყობისა და მთავრობის დამხობით! და, სხვათა შორის, როდესაც ასეთ რამეს უცხო ქვეყნის რიგითი გუბერნატორი ამბობს, ამ შემთხვევაში, იმასაც არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კანონიერი გზით აპირებს სხვა ქვეყნის მთავრობის შეცვლას თუ უკანონოდ!**

და რას აპირებს, ნეტავ, უცხო ქვეყნის რიგითი გუბერნატორის ასეთი თავხედური განცხადების პასუხად საქართველოს მთავრობა?

ისევ და ისევ **„მეგობრული ურთიერთბის არგაფუჭებას“?**

ერთი ასეთი ამბავი მახსენდება **ედუარდ შევარდნაძის** დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწეობიდან: როდესაც ის საქართველოში დააბრუნეს მოსკოვიდან, ქვეყანაში დიდი გავლენის მქონე ჯაბა იოსელიანზე თქვა: „ჯაბა ჩემი მეგობარია და ჩვენ ერთად კარგად ვითამაშრომლებთ!“

მოგვიანებით, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც შევარდნაძის ბრძანებით ჯაბა დააპატიმრეს, ჟურნალისტებმა მას შეახსენეს ეს ამბავი. შევარდნაძემ ჩვეული ხუმრობით უპასუხა: **„მე ვამბობდი, რომ ჯაბა არის ჩემი მეგობარი, ის კი არ მითქვამს, მე ვარ მისი მეგობარიო!“**

**ჰოდა, მოდი, საქართველოს მთავრობამაც, ხალხმაც და „ძაანპატრიოტობაზე“ გაქაჩულმა არაერთმა სულელმაც იქნებ კარგად გაარკვიონ — თუ უკრაინა ჩვენი მეგობარია, ჩვენ არ ვართ მისი მეგობარი თუ როგორაა საქმე?!**

**საქართველოს მთავრობამაც, ხალხმაც და «ძაანპატრიოტობაზე» გაქაჩულმა არაერთმა სულელმაც, იქნებ კარგად გაარკვიონ — თუ უკრაინა ჩვენი მეგობარია, ჩვენ არ ვართ მისი მეგობარი თუ როგორაა საქმე?!**

— კაი ერთი, რა! კიტრს რომ ნდობას გამოუცხადებს და ვერ მიხვდება, რომ კიტრია, ხალხი ჰქვია? ბრბოა ეგ, აბა, რა არის?!

GW-იუმორი
მაიჭე უკეთესი მკვერლი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# (არ)დაბრუნება

## ექსკლუზიური ვინ?-ტერვიუ

**რუბრიკაში „ვინ?-ტერვიუ“ ვიწყებთ ერთგვარ კონკურსს, ანუ გამოვაქვეყნებთ ინტერვიუებს ისე, რომ არ დავასახელებთ რესპონდენტის ვინაობას, ხოლო მკითხველმა უნდა გამოიცნოს, ვინ არის ჩვენი რესპონდენტი. ასეთი ტიპის პირველ ვინ?-ტერვიუს გთავაზობთ კაცთან, რომელსაც თავი კიტრი ჰგონია. მართალია, ამოცანა ურთულესია, რადგან საქართველოში ძალიან ბევრს ჰგონია თავი კიტრი, მაგრამ შიგადაშიგ, ჩვენ მიერ დასმულ კითხვებსა და რესპონდენტის პასუხებში არაერთ ძალიან კონკრეტულ მინიშნებასაც წააწყდებით.**

**— გამარჯობა... პატივცემულო რესპონდენტო!**

— ხაი ჟივე!

**— ბატონო?**

— გამარჯობაზე გიპასუხე ჩემებურად.

**— კარგი... მოდი, პირდაპირ დავიწყებ, თქვენზე ამბობენ, რომ თავი კიტრი გგონიათ, ეს მართალია?**

— მგონია კი არა, ვარ! აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი, ყველაზე გრძელი და ყველაზე მწვანე კიტრი ვარ მე!

**— რატომ მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში?**

— კარგი, ეგრე იყოს, დასავლეთ უკრაინაშიც!

**— და მაშინ, რატომ მხოლოდ დასავლეთ უკრანაში? ცოტა არ იყოს, უცნაურ პასუხებს მაძლევთ...**

— კაცო, შენ შარზე ხომ არ ხარ? კიტრი ვარ და გელაპარაკები, ამაზე უცნაური რაღა გინდა?

**— უკაცრავად, პირველად როდის მიხვდით, რომ კიტრი ხართ და არა ადამიანი?**

— ეგ მაშინ იყო, ამ 12-ოდე წლის წინათ, როდესაც ხელში დიდი მწვანე კიტრი დავიჭირე და პარლამენტში შევვარდი...

**— ბოდიში, ეგ მწვანე კიტრი კი არა წითელი ვარდი იყო, ასე მახსოვს...**

— ჰაჰ! ეგ თქვენ, ტუტუც ბრბოს და მასას მოგეჩვენათ წითელ ვარდად, თორემ სინამდვილეში ეგ დიდი მწვანე კიტრი იყო. ხა, ხა, ხა! აი ეგრე ვიცი ხოლმე. კიტრი ვარ და ხალხს ვარდი ვგონივარ... ხი, ხი, ხი...

**— რატომ უწოდებთ ხალხს მასას და ბრბოს? ამ ხალხმა ხომ თქვენ უდიდესი ნდობა და ერთგულება გამოგიცხადათ თავის დროზე!**

— კაი ერთი, რა! კიტრს რომ ნდობას გამოუცხადებს და ვერ მიხვდება, რომ კიტრია, ხალხი ჰქვია? ბრბოა ეგ, აბა, რა არის?!

**— კი, მაგრამ ბრბომ გაბრაზებაც იცის და კიტრის სარზე ჩამოცმაც! არ გეშინიათ?**

— ეგ არაფერი. მეც გადასარევად ვიცი ხოლმე, სად უნდა ვიკიტრაო და რამსიგრძე კიტრად უნდა მოვაჩვენო თავი. აგერ ვიცოდი, რომ მეტი არ გამივიდოდა და გუბერნატორი-კიტრი ვარ!

**— ეგ როგორ?**

— როგორ და ხომ გინახავთ კაი გამართული შუშა კიტრი? და არსებობს ასევე მოხრილი და ხორკლიანი კიტრი. აი, იქ, თქვენთან შუშა კიტრი ვიყავი! აქ უფრო ცოტა მოხრილი კიტრი ვარ, მარა ეგ არფერი, მოვა დრო, ისევ შუშა კიტრი ვიქნები და ბარე ორს გავეჩხირები ყელში!

**— უფ! ისე ლაპარაკობთ, კიტრის მწნილი გამახსენეთ...**

— ვაიმე! მწნილს ნუ მახსენებთ! თქვენ მოგზავნილი ხომ არ ხართ?

**— არა, რატომ? არ გიყვართ კიტრის მწნილი?**



— რას ამბობ! ეგ არის ჩემი კოშმარული სიზმარი. უკვე რამდენიმე თვეა, ყოველ ღამე მესიზმრება, ვითომ შუშის ქილაში მაგდებენ, მხუფავენ და მამწნილებენ... და სულ ოფლში გაწურულს მეღვიძება ხოლმე...

**— მოიცა, გეხუმრეთ და თქვენ ნუთუ მართლა კიტრი გგონიათ თავი?**

— მგონია კი არა, ვარ — მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე დიდი, ყველაზე გრძელი, ყველაზე მწვანე და ყველაზე შუშა კიტრი!

**— და დასავლეთ უკრაინაშიც, ხო?**

— კი, აღმოსავლეთ ევროპაში და დასავლეთ უკრაინაში!

**— უუუჰ! არა, მართლა მაგონებთ მწნილს და რა ვქნა?**

— გაგონებ კი არა, აგერ ამოგიტანე და ხეთქე, რამდენიც გინდა! რა „პახმელია“ გაქვს ამისთანა, გაგისკდა ფაშვი! 5 წუთის წინათ მითხარი მწნილი ამომიტანე მაღაზიიდანო და, სანამ ჩავედი და ამოვედი ისევ ჩაგეძინა? რეებს ბოდავ, რა ევროპა და უკრაინა?

**— შენ გაიხარე! იმდენი დავლიე გუშინ, ახლა ზუსტად არც კი ვიცი, ამ ფრაზას ჩემი ცოლი მეუბნება თუ მეზობელი, მაგრამ, ვინც უნდა იყოს, შენ გაიხარე! ჯერ იმიტომ, რომ ამ მძიმე ნაბახუსევზე კაი გემრიელი კიტრის მწნილი მომიტანე, და მეორე და მთავარი — იმიტომ, რომ, აი, ამ კიტრის ატანა ნაღდად აღარ შემეძლო სიზმარშიც კი!**

## საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ყველა თამაშს მოიგებს



სანდრო ცნობილაძე

**ბევრ სულელსა და გულუბრყვილოს საქართველოსა და პორტუგალიის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის მიმდინარეობისას მომხდარი ამბავი „კურიოზი“ ეგონა. საუბარია, ქართველი კომენტატორის — სანდრო ცნობილაძის მიერ დაშვებულ ვითომ „შეცდომაზე“, როდესაც მან პორტუგალიელების მიერ პენალტის შესრულებისას პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, რომ პენალტს ურტყამს საქართველოს ნაკრები, კერძოდ, კიტეიშვილი!**




სანდრო ცნობილაძემ პორტუგალიელების მიერ გატანილი ბურთი საქართველოს ნაკრების დაწინაურებად გაასაღა და ქართველებს მატჩში ანგარიშის გახსნა მიულოცა!

თავდაპირველად ეს ჩვენც „კურიოზი“ და შეცდომა გვეგონა, მაგრამ, **როდესაც სამი-ოთხი შავკანიანი ფეხბურთელი ერთმანეთს ჩაეხუტა, გოლი მიულოცა და ცნობილაძე კი მაინც ჯიუტად განაგრძობდა — „მივულოცოთ ქართველ ფეხბურთელებს ასე მალე დაწინაურება ამ შეხვედრაში“-ო, უკვე დავწმუნდით, რომ რაღაც სიახლესთან და ხრიკთან გვქონდა საქმე!**

ადამიანმა, და ისიც გამოცდილმა სპორტულმა კომენტატორმა, შეიძლება შეცდომა დაუშვას და ეს შეცდომა მალე გამოასწოროს, მაგრამ, როდესაც იგი მთელი 15 წუთის განმავლობაში დაჟინებით აცხადებს, — საქართველოს ნაკრებმა ბურთი გაიტანა და თამაშს იგებსო, ნუთუ ვერ უნდა მიხვდე, რომ აქ სულ ხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე?!

რა მოვლენაა ეს?

ბოროტი ხმები ამ მოვლენას სულ სხვა რამეს უწოდებენ... მაგრამ ჩვენ მაინც ვეცადეთ და დავადგინეთ ჭეშმარიტება:

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქართულ ფეხბურთში ინერგება სიახლე, რომელიც განაპირობებს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გამარჯვებას ყველა მატჩში! სწორედ ეს ექსპერიმენტი განახორციელა სანდრო ცნობილაძემ ჯერ ახალგაზრდული ნაკრებების შემთხვევაში და, როგორც არც ისე სანდო წყაროები გვატყობინებენ, ფეხბურთის ფედერაცია კმაყოფილი დარჩა!**

მოკლედ, ამიერიდან მეტოქის მიერ გატანილი ყველა ბურთი გამოცხადდება საქართველოს ნაკრების მიერ გატანილად და ჩაეთვლება საქართველოს ნაკრებს!

„ეს ერთადერთი მეთოდია საიმისოდ, რომ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ყველა თამაში მოიგოს და გაგვახაროს!“ — აცხადებენ ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები და იმედით შეჰყურებენ მომავალს. მართალია, ამ მეთოდით ვერც მსოფლიოს და ვერც ევროპის ჩემოიონატების დასკვნით ეტაპებზე ოფიციალურად ვერ გავალთ, მაგრამ მაგას ისედაც ვერ ვახერხებთ, ასეთი მეთოდით კი გულშემატკივარს ცოტა ხნით მაინც გავახარებთო!

**გაიტანე გოლია**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქართულ ფეხბურთში ინერგება სიახლე, რომელიც განაპირობებს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების გამარჯვებას ყველა მატჩში! სწორედ ეს ექსპერიმენტი განახორციელა სანდრო ცნობილაძემ ჯერ ახალგაზრდული ნაკრებების შემთხვევაში და, როგორც არც ისე სანდო წყაროები გვატყობინებენ, ფეხბურთის ფედერაცია კმაყოფილი დარჩა!**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უადგილოა სენატორ მენენდესის ყოფნა იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც ბლატერის გადადგომას მოითხოვდნენ კორუფციაში მონაწილეობის გამო, რადგან თვითონ არის კორუფციაში შემჩნეული — აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო თვლის, რომ მენდესი იღებდა საჩუქრებს, კერძოდ, გადაუხადეს 50 ათასი დოლარი დომინიკის რესპუბლიკაში რამდენჯერმე მგზავრობისთვის. ამის მიუხედავად, მენენდესს სენატორის პოსტი არ დაუტოვებია.**

# მსოფლიოს ჟანდარმმა ცხვირი ფეხბურთშიც ჩაყო

**როდის გადაეჯაჭვა პოლიტიკა სპორტს, ალბათ, არავინ იცის, მაგრამ დღეს წარმოუდგენელია დიდი სპორტი დიდი პოლიტიკის გარეშე. ამას ამტკიცებს ბრალდებები, რომლებიც ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს წაუყენეს ამერიკელებმა — მსოფლიოს ჟანდარმმა აშშ-მა ცხვირი ფეხბურთშიც ჩაყო.**




საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელთა დაპატიმრებამ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიწვია ვნებათაღელვა.

სხვადასხვა მონაცემით, დაპატიმრებულია ფიფას 6-დან 14-მდე წარმომადგენელი, რომელთა გვარებსაც არ ასახელებენ, არც იმას, რა თანამდებობები ეკავათ მათ ამ პრესტიჟულ და გავლენიან საფეხბურთო ორგანიზაციაში.

დაპატიმრებულებს ადანაშაულებენ ქრთამის აღებაში ლათინურ ამერიკაში მარკეტინგული და სპონსორული კონტრაქტების გაფორმებისას. პრეტენზიები 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნის არჩევაზე ჯერჯერობით დამატებითი საბაბია. ამასთანავე, აქცენტით იმაზე, რომ შარშან ფიფამ თვითონ სთხოვა სამართალდამცველ ორგანოებს, ამ საკითხში გარკვეულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ **დაპატიმრებების ინიციატორია აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო, მიმართვა კი მიიღო შვეიცარიის გენერალურმა პროკურატურამ. მთავარი ჩვენება მისცა ფიფას ამერიკელმა წარმომადგენელმა ჩარლზ ბლეიზერმა.**

განსაცვიფრებელი და სახალისოა შვეიცარიის პროკურატურის განცხადება, რომ ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეში ფიგურირებენ, 1990 წლიდან (?!) უთვალთვალებდნენ. გასაკვირია — **მართლა 25 წელი დასჭირდა ამ საქმის გამოძიებას და ეს საკითხი 25 წლის წინათაც აქტუალური იყო?**

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებაში აქცენტი დასმულია კომერციული კონტრაქტების გაფორმებისას აღებულ ქრთამებზე, დასავლური მედიის ყურადღება გამახვილებულია 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების უფლებაზე. ამასთანავე, **არავინ განიხილავს საკითხს, შეიძლებოდა თუ არა ასეთი მოსყიდვით საბოლოო შედეგებზე გავლენის მოხდენა; საკმარისი არის კი მოქრთამვა 6 ან თუნდაც 14 ადამიანისა, რომელთა თანამდებობები ფიფაში საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არ არის?**

თანაც **ოფიციალურად ბრალდება არავისთვის წარუდგენიათ, სასამართლოს ვერდიქტზე ხომ ლაპარაკიც არ არის!**

ეტყობა, ძაღლის თავი სხვა რამეშია დამარხული და ეს ჩანს ამერიკელთა საქციელიდან.

უკრაინაში საომარი მოქმედებების ესკალაციისთანავე ამერიკელმა სენატორებმა — **რობერტ მენენდესმა** და **ჯონ მაკეეინმა** ფიფას კონგრესს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოუწოდებდნენ, არჩევნებში მხარი არ დაეჭირათ **იოზეფ ბლატერის** კანდიდატურისთვის ფიფას პრეზიდენტის პოსტზე, რადგან ბლატერი კვლავაც მხარს უჭერს ფიფას იმ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში რუსეთში უნდა გაიმართოს. გამოდის, რომ **რუსეთს ან დაწესებული ეკონომიკური სანქციები უნდა შეუჩერონ, რომლებსაც მხარს უჭერს ფიფას წევრი ბევრი ქვეყანა, ან 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის უფლება უნდა ჩამოართვან, ხოლო, თუ ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება, ფიფას მოქმედი პრეზიდენტი პოსტიდან უნდა გადააყენონ.** აი ასეთია ლოგიკა იმ ადამიანებისა, რომლებიც მოითხოვენ, პოლიტიკა ცხვირს არ ჰყოფდეს სპორტში. არადა, აშშ და მისი მოკავშირეები, უკვე დიდი ხანია, ამას აკეთებენ.

ფიფას პრეზიდენტის გარშემო ატეხილი სკანდალის ფესვები უფრო ღრმაა და მას რომ ჩავწვდეთ, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადა უნდა გავიხსენოთ. ეს ოლიმპიური თამაშები ისტორიაში შევიდა, არა მხოლოდ იმით, რომ ტერორისტებმა ისრაელელი სპორტსმენები მძევლებად აიყვანეს და დახოცეს, არამედ ფინალური საკალათბურთო მატჩით აშშ-სა და სსრკ-ს შორის.

სტაჟიან გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, რომ ამ მატჩში, რომელშიც ქართველი კალათბურთელები — **ზურაბ საკანდელიძე** და **მიხეილ ქორქიაც** მონაწილეობდნენ, საფინალო სასტვენამდე 3 წამით ადრე ანგარიში იყო 50:49 ამერიკელთა სასარგებლოდ. ბურთი საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ, მაგრამ, ვიდრე კალათში ტყორცნიდნენ, გაისმა სირენის ხმა. მაყურებლები და ამერიკელი კალათბურთელები მოედანზე გაცვივდნენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ საკალათბურთო მოედანზე მყოფმა მსაჯებმა ყურადღება არ მიაქციეს წამზომს და საბჭოთა კალათბურთელების შეტევის დაწყება თამაშში ბურთის შეყვანამდე აღნიშნეს — თვით ამერიკელი სპეციალისტებიც კი აღიარებდნენ, რომ სირენა აშკარად სამი წამით ადრე ჩაირთო, ამიტომ მატჩი განახლდა. დარჩენილი იყო სამი წამი. ამ დროში კი საბჭოთა კალათბურთელებმა ბურთის ჩაგდება მოახერხეს და პირველად მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა კალათბურთში.

**ბლატერს აკრიტიკებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩუმად უნდა იყვნენ და რომლებსაც ბრალდებულის როლი უფრო შეეფერებათ, ვიდრე მოსამართლის. თანაც, მტკიცებულებები იმისა, რომ რუსეთმა მილიონები დახარჯა ფიფას მაღალჩინოსნების მოსასყიდად, არ არსებობს. ეს აშშ-ის საელჩომ რუსეთში ოფიციალურად აღიარა**


1972 წ. მიუნხენი. სსრკ-ისა და აშშ-ის კალათბურთელთა შეხვედრის ბოლო წამი

აღსანიშნავია ის, რომ ადამიანი, რომელსაც წამზომისთვის უნდა ედევნებინა თვალყური, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და შეცდომა დაუშვა, იყო **იოზეფ „ზეპ“ ბლატერი**, მომავალში ფიფას პრეზიდენტი. ანუ, იოზეფ ბლატერი ჯერ კიდევ 43 წლის წინათ აღმოჩნდა აშშ-სსრკ-ის პოლიტიკური და სპორტული დაპირისპირების ეპიცენტრში.

კიდევ ერთი რამ არის საინტერესო: **როდიდან გახდა ამერიკელებისთვის ფეხბურთი კალათბურთზე, ბეიბოლსა და ამერიკულ ფეხბურთზე პოპულარული, ძია სემმა აქაც რომ ცხვირი ჩაყო?!**

გარდა ამისა, რბილად რომ ვთქვათ, **უადგილოა სენატორ მენენდესის ყოფნა იმ ადამიანთა რიგებში, რომლებიც ბლატერის გადადგომას მოითხოვდნენ კორუფციაში მონაწილეობის გამო, რადგან თვითონ არის კორუფციაში შემჩნეული — აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო თვლის, რომ მენდესი იღებდა საჩუქრებს, კერძოდ, გადაუხადეს 50 ათასი დოლარი დომინიკის რესპუბლიკაში რამდენჯერმე მგზავრობისთვის. ამის მიუხედავად, მენენდესს სენატორის პოსტი არ დაუტოვებია.** სხვათა შორის, სენატორი მენენდესი აშშ-ში სომხური ლობის მთავარი რუპორია, სწორედ მან წარუდგინა აშშ-ის სენატს რეზოლუცია №339, რომელიც აშშ-ის მთავრობას მოუწოდებს, აღიაროს „სომხეთის გენოციდი“.

რა გამოდის: **ბლატერს აკრიტიკებენ ის ადამიანები, რომლებიც ჩუმად უნდა იყვნენ და რომლებსაც ბრალდებულის როლი უფრო შეეფერებათ, ვიდრე მოსამართლის. თანაც, მტკიცებულებები იმისა, რომ რუსეთმა მილიონები დახარჯა ფიფას მაღალჩინოსნების მოსასყიდად, არ არსებობს. ეს აშშ-ის საელჩომ რუსეთში ოფიციალურად აღიარა:** „გამოძიება არაფრით არ არის დაკავშირებული რუსეთთან, რომელიც 2018 წელს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს. რუსეთი საერთოდ არ არის მოხსენიებული მრავალგვერდიანი მოხსენების ტექსტში, რომელიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა“, — ნათქვამია რუსეთში აშშ-ის საელჩოს ოფიციალურ განცხადებაში.

აი, რა განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ფიფას წარმომადგენლების დაპატიმრებაზე: „ჩვენ ვიცით იმ ზემოქმედების თაობაზე, რომელიც ხორციელდებოდა ბლატერზე იმ მიზნით, რომ რუსეთისთვის აეკრძალათ 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება. ბლატერის პრინციპული პოზიცია ასეთია: სპორტი და პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა იყოს გამიჯნული. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ სპორტმა დადებითად უნდა იმოქმედოს პოლიტიკაზე და გახდეს მოედანი დიალოგისთვის, შერიგებისთვის. და ეს აბსოლუტურად სწორი პოზიციაა. რაც შეეხება დაპატიმრებებს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად გამოიყურება, დაპატიმრებები ხომ ამერიკული მხარის მოთხოვნით მოხდა?! და ვინ დააპატიმრეს? — საერთაშორისო ორგანიზაციის მაღალჩინოსნები. **შეიძ-** ►

## ცნობისთვის:

**აშშ-მა თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის სპორტი 1980 წელსაც გამოიყენა, როცა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა განაცხადა, რომ ამერიკელი სპორტსმენები უარს ამბობენ მოსკოვის ოლიმპიადის თამაშებში მონაწილეობაზე. ამერიკელთა გავლენით 50-ზე მეტმა ქვეყანამ ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის ოლიმპიადას. მიზეზი იყო 1979 წელს სსრკ-ის ჯარების შეჭრა ავღანეთში, თუმცა იმ ქვეყნებს, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას, უარი არ უთქვამთ 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ 1983 წელს ამერიკელები კარიბის ზღვის კუნძულ გრენადაზე შეიჭრნენ (სამხედრო ოპერაცია „მძვინვარების ამოხეთქვა“ — Urgenr Fury) და დაამხეს გრენადის იმჟამინდელი ხელისუფლება, ქვეყნის პრემიერმინისტრი მორის ბიშოპი კი დახვრიტეს.**

**2001 წელს აშშ-მა ომი დაიწყო ავღანეთთან, რომელიც დღემდე გრძელდება, მაგრამ ამერიკულ ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის ზამთრის ოლიმპიადისთვის, რომელიც 2002 წელს გაიმართა, ბოიკოტი არავის გამოუცხადებია.**

**„მედიის მიზანია, რომ მოხდეს ქართული სულის, მისი რეალური გამოხატულების, ანუ ქართული კულტურის გადაცემა თაობიდან თაობაში. ქართული ენა უნდა შენარჩუნდეს, როგორც ეს გააკეთეს ფერეიდნელმა ქართველებმა, თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა“.**

ფორუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლება, მათგან რომელიმემ მართლაც დაარღვია კანონი, მაგრამ ამასთან აშშ-ს არაფერი ესაქმება. და, თუკი რაღაც მოვლენა მოხდა, ეს არ მომხდარა აშშ-ის ტერიტორიაზე, ამიტომ აშშ-ს ეს საქმე არ ეხება.** ეს არის აშშ-სკიდევ ერთი მცდელობა, თავისი იურისდიქცია გაავრცელოს სხვა სახელმწიფოებზე. ეჭვიც არ მეპარება, ეს არის მცდელობა, არ დაუშვან ბატონი ბლატერის ხელახალი არჩევა ფიფას პრეზიდენტის პოსტზე, რაც საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციობის პრინციპის უხეში დარღვევაა.

ამასთანავე, შეერთებული შტატების პროკურორმა, როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს, უკვე განაცხადა, რომ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ამ წევრებმა ჩაიდინეს დანაშაული. **თითქოს პროკურორმა არ იცის, რომ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ადამიანი დამნაშავეა თუ არა — ეს უნდა დამტკიცდეს სასამართლოში და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი, ჰქონდა თუ არა აშშ-ს ამ პირების ექსტრადიციის უფლება, რადგან აშშ-მა მოქმედებები სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აწარმოა“.**

ვლადიმერ პუტინის ამ განცხადებიდან ორიოდე დღეში **უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ მიხეილ სააკაშვილისა და სენატორ ჯონ მაკკეინის პირადი მიმოწერა გაასაჯაროვა და პუტინის ნათქვამის სიმართლე დაადასტურა.** გთავაზობთ ამ მიმოწერის თარგმანს:

**„სააკაშვილი:** — როდის დაიწყება მოწოდება?

**მაკკეინი:** — ვცდილობ, მძიმე ტექნიკა მოგაწოდოთ, მაგრამ ჯერ არ არის მზად, ჩვენი კომპანიები ცდიან. როგორც ვთქვი, ვოვას (პუტინს) დედას... მას სურს, პიარი გაიკეთოს მსოფლიო თასის დროს.

**სააკაშვილი:** — რაზე ლაპარაკობ, ვერ მივხვდი.

**მაკკეინი:** — ჩვენმა ბიჭებმა უკვე იმუშავეს ფიფას მაღალჩინოსნებთან, რუსული ქრთამი გამოჩნდება და ჩვენ ამის შესახებ განვაცხადებთ.

**სააკაშვილი:** — შესანიშნავია. შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაც გაუქმდეს?

**მაკკეინი:** — ეს სულელი ტ...ი ბლატერი გზას გვილობავს. თუმცა, თუ ჩაერევა და ეცდება ისევ ხელმძღვანელობას, ვერ გავა. ამ პოზიციაზე უკვე გვყავს ჩვენი კაცი.

**სააკაშვილი:** — ის (პუტინი) გაბანძდება მსოფლიოში, თუ მსოფლიოს თასი რუსეთში აღარ ჩატარდება.

**მაკკეინი:** — მართალი ხარ! მოგვიანებით ვისაუბროთ რიგის შესახებ და, სხვათა შორის, თვალი არ მოაშორო პეტერს (პოროშენკოს) თორემ ჩვენი გეგმები არ იმუშავებს.

**სააკაშვილი:** — ო'კ, სერ ჯ.“

**ფიფას გარშემო ატეხილი სკანდალი კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-ის სწრაფვას, ყველა და ყველაფერი დაუმორჩილოს თავის ინტერესებს და მსოფლიოზე იბატონოს.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# დიასპორა, რომელიც გავიხსენეთ

**ჩვენმა მკითხველებმა უთუოდ იციან, რომ 27-29 მაისს თბილისში გაიმართა ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილი პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი დევიზით „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. თურმე ყოფილა ასეთი დღეც საქართველოში — დიასპორის დღე. დიასპორა, საქართველოდან გახიზნული ქართველები, თავიანთი პრობლემებით ისე მოედო ახლო და შორეულ საზღვარგარეთს, რომ ქვეყნისა და მისი ხელისუფლების საზრუნავი და თავსატეხი გახდა.**



**«ჩვენი აუდიტორიაც სავსე რომ არ არის ჟურნალისტებით, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ჩაიწერონ ინტერვიუები, მოიპოვონ მასალები სტატიების დასაწერად; ის, რომ სამინისტროს წარმომადგენელი თავისი საქმიანობის პრეზენტაციის შემდეგ გაიქცა ამ შეკრებიდან, მეტყველებს, რომ ხელისუფლება, მედიაც ეფემერულადაა დაინტერესებული ემიგრანტების პრობლემებით»**

დედაუნივერსიტეტში გამართულ ოფიციალურ გახსნაზე, რომელსაც მთავრობის თითქმის ყველა წევრი დაესწრო პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით და სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია II-მაც დასდო პატივი, მისულიყო, გამომსვლელებმა საყურადღებო სიტყვები წარმოთქვეს: მოკლე ანგარიშები დიასპორასთან საურთიერთობო საქმიანობის შესახებ და წინადადებები — საპერსპექტივო.

ჩვენებმაც ილაპარაკეს, ჩვენთან აკრედიტებულმა დიპკორპუსის წარმომადგენლებმაც და საერთაშორისო (მათ შორის, საფინანსო) ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც.

პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** დღევანდელ საქართველოზე, ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და ქართულ დიასპორასთან ურთიერთობის გაუმჯობესების ახალ ინიციატივებზე გაამახვილა ყურადღება.

**უწმინდესის** შეფასებით, უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ ეხმარება სახელმწიფო დიასპორას; დაგვლოცა ჩვენც და ისინიც, ვინც გახიზნულია სამშობლოდან.

თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა **ლადო პაპავამ** ფორუმის მონაწილეებს შეახსენა, რომ დიასპორის მიერ ყოველწლიურად საქართველოში გამოგზავნილი ფული მილიარდ დოლარზე მეტია; ეხმარებიან თავიანთ ოჯახებს იმ სოციალური უთანასწორობის დაძლევაში, რომელიც ასე მკვეთრია ჩვენს რეალობაში.

დაჯილდოების ცერემონიაც გაიმართა: ცალკეული პიროვნებებისა და ჯგუფურიც — ადგილობრივი და უცხოეთის ორგანიზაციების გამორჩეულ ხელმძღვანელებს თანადგომა და აქტიური მხარდაჭერა დაუფასეს.

ესეც საჭიროა.

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა **გელა დუმბაძემ** მედლები გადასცა მათ. ჯილდოების დამადასტურებელ ფირმანებს თავიდან დავბეჭდავთ (დამზადებული დოკუმენტების ხარისხი დაუწუნებია ბატონ მინისტრს) და მოგვიანებით გამოგიგზავნითო.

ყველაფერი იყო ჩინებული, სიდინჯითაც გამორჩეული და ემოციურობითაც, გულწრფელობითაც, რაც ასე იშვიათია ამგვარი ღონისძიებებისთვის.

საქმიანი იყო პეტრე მელიქიშვილის სახელობის დარბაზში გამართული თემატური პლენარული სხდომა, რომელიც წარმართა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო სამინისტროს თანამშრომელმა **სოფო ბოჭორიშვილმა.** მოხსენებები იყო საქმიანი და ლაკონური, ეს მომხსენებლების — **ნინო ცხოიძის, ნუგზარ რუხაძის, მაია ქვარცხავას, ელგა ფოლადაშვილის** დამსახურება იყო.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა ცნობილი ჟურნალისტი და პედაგოგი ნუგზარ რუხაძე:**

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ არ უნდა მოხდეს არც ერთი ემიგრაციის, მათ შორის, ქართული ემიგრაციის რომანტიზება.

ადამიანი ცხოვრობს იქ, სადაც მას უნდა.

**— ან გარემოება აიძულებს.**

— დიახ. ვერავინ დამისახელებს ბოლო 30 წლის განმავლობაში ემიგრანტებს (გარდა სამშობლოდან წასული კარგი ქართველი ქალისა, რომელიც უცხოეთიდან გამოგზავნილი თავისი ნაშრომი ფულით ეხმარება ოჯახს), რომლებიც უსასყიდლოდ დაეხმარნენ საქართველოს.

**ჩვენი აუდიტორიაც სავსე რომ არ არის ჟურნალისტებით, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ჩაიწერონ ინტერვიუები, მოიპოვონ მასალები სტატიების დასაწერად; ის, რომ სამინისტროს წარმომადგენელი თავისი საქმიანობის პრეზენტაციის შემდეგ გაიქცა ამ შეკრებიდან, მეტყველებს, რომ ხელისუფლება, მედიაც ეფემერულადაა დაინტერესებული ემიგრანტების პრობლემებით.**

**— ამ აუდიტორიის გადასახედიდან ასე ჩანს.**

— გეთანხმებით, მაგრამ მე სხვა მასშტაბები მაქვს მხედველობაში. ჩვენი მთავრობა სისხლხორცეულად რომ იყოს დაინტერესებული, უნდა იქცეოდეს ისე, როგორც აზერბაიჯანის მთავრობა, რომელიც ასობით მილიონს გაიღებს ამ საქმისთვის.

საქართველოში ასეთი ფული არ არის. ამის გარეშე კი ვერ გაერთიანდება საქართველოს მთავარი სხეული და ემიგრაცია.

**საქართველოში უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანი უცხოეთში რომ დასაქმდება, უკან არ დაბრუნდება, თუ უკეთეს სამსახურს არ შევთავაზებთ.**

**— საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ეს-ესაა განაცხადა, რომ, წლევანდელი მაჩვენებლის მიხედვით, უმუშევრობა საქართველოში 2,2 პროცენტით შემცირდა და ბოლო 11 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.**

— კარგია, მაგრამ მე უკეთესი სამსახურის შეთავაზებაზე ვლაპარაკობ.

(ესპანეთში მშენებლობაზე მომუშავე ქართველმა მითხრა, რომ 1800 ევროს მიხდიან და საქართველოში 300 ლარზე როგორ ჩამოვიდე?! — ჟურნალისტ ნინო ცხოიძის რეპლიკა. იგი მრავალ ქვეყანაშია ნამყოფი და კარგად იცნობს გადახვეწილი ქართველების ყოფას).

— არავინ ჩამოგვივა ტყუილად, — **განაგრძობს ბატონი ნუგზარი,** — ამაზე ოცნება დავივიწყოთ! წასულია და იქაურობას შეგუებულია. სიტუაციის რომანტიზება ზედმეტი და არაფრის მომცემია.

ჩვენი მცდელობა მიმართულია იმისკენ, რომ არ დავკარგოთ ქართველ ერს მოცილებული მისი ეს ორგანული ნაწილი.

მასშტაბია საჭირო!

**— მედიის მონაწილეობა ამ ურთულეს საკითხში როგორ გესახებათ?**

— მედიის მიზანია, მოხდეს ქართული სულის, მისი რეალური გამოხატულების, ანუ ქართული კულტურის გადაცემა თაობიდან თაობაში. ქართული ენა უნდა იქნეს შენარჩუნებული, როგორც ეს გააკეთეს ფერეიდნელმა ქართველებმა, თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა.

**ქართული ენა არ უნდა ჩაქრეს!**

**ენაზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ იდენტურობის შესანარჩუნებლად ამაზე ძლიერი ინსტრუმენტი ბუნებაში არ არსებობს.**

გელა დუმბაძეს, რომლის მსგავსი ინტელიგენტი მინისტრი საქართველოში არ მეგულება, შესაძლებლობა რომ ჰქონდეს, გამოსცემდა ლექსიკონებს, სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურას გამიზნულად ჩვენი ემიგრაციისთვის.

**— ისევ სახსრების არქონა?**

— სამწუხაროდ, ასეა. დასასრულ, სრულად უნდა გამოვიყენოთ ქართველში არსებული სამშობლოს მწვავე განცდა, მისი უძლიერესი, ამაღლებული პოეტური ენა, ენა რუსთაველისა და გალაკტიონის, როგორც უმთავრესი ინსტრუმენტები ქართული სულის შენარჩუნების და, ამასთანავე, — მატერიალური შესაძლებლობა. აი, ამაზე უნდა იმუშაოს ჩვენმა მასმედიამ, ყველამ იპოვოს ამ საშვილიშვილო საქმეში თავისი ადგილი.

* * *

**ჩვენს მკითხველებს საერთო შთაბეჭდილება რომ შეექმნას პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმის მასშტაბზე, გეტყვით, რომ პლენარულ სხდომებზე განიხილეს აქტუალური თემები, რომლებიც დიასპორასთან ურთიერთობის სფეროში დგას: საემიგრაციო ეკონომიკა და ინვესტიციები, დიასპორული ორგანიზაციები საზღვარგარეთ; ისტორიული დიასპორა, სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ.**

**არმაზ სანებლიძე**

ამბავი




## რუსეთმა ლატვიიდან და ესტონეთიდან თევზეულის იმპორტი აკრძალა

**რუსული მედია რუსეთის ვეტერინალური და სანიტარული ზედამხედველობის სამსახურზე დაყრდნობით იუწყება, რომ აკრძალვის მიზეზი ესტონური და ლატვიური კომპანიების მიერ რეგულაციების სისტემატიური დარღვევა გახდა.**

რუსეთმა ლატვიურ და ესტონურ არაერთი პროდუქტის იმპორტზე დააწესა შეზღუდვები. ლატვია და ესტონეთი ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მხარს უჭერენ.



ხვალ იყო ომი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კონტრრევოლუციამ ეგვიპტეში და ჯერ კიდევ დაუმხობელმა სირიამ ჩაფუშეს აშშ-ის გეგმა, რომლის მიზანი იყო დესტაბილიზაციის უზარმაზარი რკალის შექმნა ცენტრალური აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკის გავლით ახლო და შუა აღმოსავლეთისკენ, შემდეგ — ცენტრალური აზიის მიმართულებით (ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომია და სხვ.).**

# ომი, რომელსაც ვერ ვამჩნევთ:

# პლანეტას მესამე მსოფლიო ომის ცეცხლი ეკიდება

**მაშინ, როცა არცთუ შორეულ საზღვრებთან ომები მძვინვარებს, ობივატელს ჰგონია, რომ მშვიდობიან ეპოქაში ცხოვრობს. ომი დაწყებულია. უმნიშვნელოვანესი მოვლენები ახლო და შუა აღმოსავლეთში ვითარდება. სადაცაა, კარს მოადგება სამხრეთ კავკასიას, ჩვენ კი ტაშფანდურა შოუებს ვაწყობთ და ვილაც გადაგვარებულების სექსუალური ორიენტაციის დაკანონების კამათში ვართ ჩართულები „ბროშკიანი“ ტელეწამყვანების კარგად დაფინანსებული მონდომებით. ხოლო საქართველოს ერთ-ერთ სამხარეო ცენტრში ვაწყობთ აქციას „მიშა სჭირდება საქართველოს“... სააკაშვილს კი პოროშენკო ოდესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ამწესებს (!). რუსეთის რეაქცია: „შაპიტოს ცირკი გრძელდება. საწყალი უკრაინა“...**




## „არაბული გაზაფხულიდან“ დიდ ომამდე

ექსპერტთა აზრით, „არაბული გაზაფხულის“ მიზანი იმთავითვე იყო ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში საერო რეჟიმების დამხობა. თუ საკითხის ისტორიას ჩავუღრმავდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ საერო რეჟიმების რღვევა შუა აღმოსავლეთის ტერიტორიაზე დაიწყო აშშ-ის აგრესიით ერაყის წინააღმდეგ 2003 წელს. აქაური რევოლუციის მამოძრავებელ ძალად წარმოდგენილი ალიანსის — აშშ-ისა და ყატარისა და საუდის არაბეთის — მიზნები განსხვავებული იყო.

საუდელებს სურდათ, გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა სუნიტურ სამყაროში, ყატარი ისწრაფვოდა თავისი ძლიერების განმტკიცებისკენ ერრიადის უკანა პლანზე გადაწევის გზით და აქტიურად უჭერდა მხარს ძმებ-მუსლიმებს.

**სუნიტური მონარქიები ცდილობდნენ, ხელისუფლების სათავეში მათ კონტროლს დაქვემდებარებული ისლამისტების მოყვანას, მასების რადიკალიზაციის გზით საერო ხელისუფლების რელიგიური ხელისუფლებით შეცვლას, არაბულ სახალიფოში არაბული სამყაროს ინტეგრაციას და ა.შ.**

ყატარი, ამასთან ერთად, ცდილობდა საკუთარი ენერგეტიკული ამოცანების გადაწყვეტას —სირიის გავლით გაზსადენის გაყვანას ევროკავშირისკენ, მაგრამ დამასკო, როგორც ირანის მოკავშირე, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ამ ჩანაფიქრს.

**აშშ-ის ინტერესი, ანალიტიკოსების აზრით, გაცილებით პროზაული იყო. ამერიკას სჭირდებოდა რეგიონის ქაოსიზაცია და დიდი ომისთვის მისი მომზადება. ამასთან, ახლადშექმნილი სახელმწიფოები სრულად უნდა დამორჩილებოდნენ ვაშინგტონის და არა მისი არაბი მოკავშირეების კონტროლს.**

მაგრამ სიტუაცია სხვაგვარად განვითარდა. „არაბული გაზაფხულის“ კვალზე ჯერ კიდევ ოკუპირებული ერაყის ციხეებიდან გამოვიდნენ სადამის პარტია “ბაასის” ყოფილი ფუნქციონერები და ჰუსეინისდროინდელი ერაყის შეიარაღებული ძალების ოფიცრები, რომლებიც შემდგომ „ისლამური სახელმწიფოს“ მთავარ ძალად და ხერხემლად იქცნენ. შემოიკრიბეს ათასი ჯურის ისლამისტები, შეარბილეს მათ შორის არსებული წინააღმდეგობანი და უზრუნველყვეს სისტემის მდგრადობა.

**აშშ დაინტერესებული იყო შუა აღმოსავლეთში ომის არეალის გაფართოებით და მიაღწია კიდეც მიზანს უთავბოლო დაბომბვებით, ქობანის მახლობლად იარაღის „შეცდომით“ ჩამოყრით, „ისლამური სახელმწიფოსთვის“ იარაღის დაუფარავად მიყიდვითა და ტერორისტების დაფინანსებით.**

**აშშ თავის მიზნებსა და მისწრაფებას არ დათმობს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება სწორედ მის ინტერესებშია, თუნდაც იმიტომ, რომ დაასუსტოს თავისი გეოპოლიტიკური კონკურენტები და ნულამდე დაიყვანოს თავისი სახელმწიფო ვალი**

## როცა გეგმები რეალობას ასცდა

ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ **კონტრრევოლუციამ ეგვიპტეში და ჯერ კიდევ დაუმხობელმა სირიამ ჩაფუშეს აშშ-ის გეგმა, რომლის მიზანი იყო დესტაბილიზაციის უზარმაზარი რკალის შექმნა ცენტრალური აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკის გავლით ახლო და შუა აღმოსავლეთისკენ, შემდეგ — ცენტრალური აზიის მიმართულებით (ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომია და სხვ.).**

აღნიშნული ტერიტორია უნდა გადაქცეულიყო ისლამისტების ერთგვარ სატრანზიტო დერეფნად, ისინი დაუბრკოლებლად უნდა გადაადგილებულიყვნენ ქვეყნიდან ქვეყანაში, ანუ იმ წერტილში, რომელსაც ახალი ომი მოითხოვდა. **ლიბია, რომელიც სამოქალაქო ომშია ჩაძირული და დაკარგული აქვს უნარი, შეაჩეროს თავის ტერიტორიაზე აფრიკელი ლტოლვილები, გამოდგებოდა ევროპის დასუსტების იარაღად, მაგრამ მისი ძალა აშკარად საკმარისი არ იყო.**

ამერიკა ყოველთვის ამჯობინებს მოწინააღმდეგის ბოლომდე ჩაწიხვლას და არა თავისი გეგმების შეცვლას. ამიტომ ჩანაფიქრის განხორციელება მძიმე არტილერიისა და თვითმფრინავების თავდასხმებით განაგრძო.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ **ვაშინგტონის პროგრამა მინიმუმი ითვალისწინებდა ირანის, როგორც შიიზმის ბურჯის განადგურებას შემდგომში ნავთობის მისეული საბადოების განაწილების მიზნით, პროგრამა მაქსიმუმის მიხედვით კი უნდა დაწყებულიყო ცენტრალური აზიის ქაოსიზაცია და ახალი მსოფლიო ომი.**

ამ ვარაუდის ლოგიკა შემდეგია:

ცენტრალური აზიის რეგიონი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევრაზიული ბალკანეთი. ამ რეალობას ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტები ქმნის.

**1. საზღვრები ავღანეთსა და პაკისტანს შორის, ე.წ. ტომების ზონაში, პრაქტიკულად არ არსებობს. ტომები კბილებამდეა შეიარაღებული, ხოლო ავტომატ „კალაშნიკოვიდან“ სროლა პატარა ბავშვებსაც შეუძლიათ.**

**2. ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს შორის საზღვარი საბოლოოდ დადგენილი არ არის არც რუკებზე, არც რეალურად ადგილზე. სასაზღვრო კონფლიქტები აქ დიდი ხანია, ჩვეულებრივ საქმედ იქცა.**

**3. ტაჯიკეთსა, ყირგიზეთსა და უზბეკეთს შორის ბჟუტავს კონფლიქტი მდინარეების წყლის თანაბრად განაწილების გამო.**

**4. ტაჯიკეთს, ყირგიზეთსა და უზბეკეთს ერთმანეთში ვერ გაუნაწილებიათ სუბრეგიონის გული — ფერღანის ველი.**

**5. ტაჯიკეთი სუსტად აკონტროლებს მთიანი ბადახშანის ავტონომიურ ოლქს, რომელიც ესაზღვრება როგორც ავღანეთს, ასევე, მუსლიმებით დასახლებულ ჩინეთის ნაწილს — სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონს. მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი კონტრაბანდის, მათ შორის, ნარკოტიკების ცენტრია.**

**6. საზღვარი ტაჯიკეთსა და ავღანეთს შორის დაახლოებით 1300 კილომეტრია, გადის მთებზე, დუშანბეს კი მისი სათანადო დაცვა არ შეუძლია.**

**7. ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რესპულიკაში ცხოვრების დონე უკიდურესად დაბალია, ისლამისტური იატაკქვეშეთი კი მეტ-ნაკლები ძალითაა წარმოდგენილი.**

ასეთი რეალობა ქაოსის შექმნის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული რეგიონი ესაზღვრება ჩინეთს, ინდოეთსა და რუსეთს — აშშ-ის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. ამიტომაა, რომ ცენტრალური აზიის საომარ ველად გადაქცევა, სამივე ქვეყანაზე ერთდროულად დარტყმას უდრის. რუსეთისთვის ეს დარტყმა შეიძლება კატასტროფულიც კი აღმოჩნდეს. **მესამე რაიხის ოცნება იყო უზარმაზარი ფრონტის გახსნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთამდე ცენტრალური აზიის გავლით.**

**დღეს ამ ფრონტის ევროპული ნაწილი ▶**

▶

მოვლენა

## პენტაგონის შეფმა ერაყის ჯარები ბრძოლისუუნარობაში დაადანაშაულა

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა ერაყის სამთავრობო ჯარები უმოქმედობაში დაადანაშაულა მას შემდეგ, რაც „ისლამური სახელმწიფოს“ შენაერთებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.** პენტაგონის ხელმძღვანელის თქმით, ერაყის ჯარებს საბრძოლო სული და ომის სურვილი არ გაჩნიათ. როგორც კარტერმა CNN-ის ეთერში ქალაქ რამადის დაცემის კომენტირებისას განაცხადა, სამთავრობო ჯარები მოწინააღმდეგეს რიცხობრივად ჯაბნიდნენ, თუმცა ეს ბრძოლების შედეგებზე არ ასახულა. მისი თქმით, ამ ბრძოლებმა ნათელი გახადა, რომ ერაყელ ძალოვანებს „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ომი და საკუთარი თავის დაცვა არ სურთ.



ხვალ იყო ომი...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-სგან, როგორც დასუსტებულ მსოფლიო ჰეგემონისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება მისი უკანასკნელი შემოტევის გაძლებაა. არ უნდა მივცეთ მას ახალი, სისხლისმღვრელი ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

**◀ ცეცხლის ალშია გახვეული, ცენტრალური აზია კი დანაღმულია. სამხრეთ კავკასიაში ჯერჯერობით დამუხრუჭებულია აზერბაიჯან-სომხეთის მორიგი ომი.**

## მსხვერპლი თავს იცავს

შესაძლო მსხვერპლი, ანუ ის ქვეყნები, რომლებსაც აშშ ასეთად განიხილავს. პეკინს, მოსკოვს, ნიუ-დელისა და თეირანს კარგად ესმით, ამერიკისა და არაბული მონარქიების მზაკვრული ჩანაფიქრი და მცდელობას არ აკლებენ ცენტრალური აზიის სტაბილიზაციისა და ერთმანეთის მხარდასაჭერად.

ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში განლაგებულია რუსეთის შეიარაღებული ძალების ბაზები; თურქმენეთს, რომელიც ნეიტრალიტეტს დეკლარირებს, საკუთარი თავდაცვის საქმე აშშ-ს და სხვადასხვა კერძო სამხედრო კორპორაციისთვის აქვს მინდობილი; უზბეკეთი თავის თავს თვითონვე იცავს.

ეს ერთი დაპირისპირებული მხარეა.

ახლა მეორეს გადავხედოთ.

**ცენტრალური აზიის შუაგულში აშშ-ს მიერ გაკონტროლებული ავღანეთი მდებარეობს, რომელშიც საყრდენ ბაზებზე დაბანაკებულია ამერიკულ-ნატოური კონტინგენტი. მისი რეალური ფუნქცია ოთხი კომპონენტისგან შედგება: ოფიციალური ქაბულის საქმიანობის თვალთვალი; ნარკოტიკებით ვაჭრობისა და ნარკოდოლარების განაწილების კონტროლის შენარჩუნება; თალიბებისა და „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლთა ტრანსფორმაციის პროცესის უზრუნველყოფა და დაცვა (წინააღმდეგობის გაუწევლობა); ავღანეთის, როგორც პლაცდარმის შენარჩუნება ირანის, ინდოეთის, რუსეთისა და ჩინეთის საზღვრებთან ახლოს.**

ამასობაში არც რუსეთია გულხელდაკრეფილი, რომელიც ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის თავდაცვის კომპონენტს ამზადებს და აძლიერებს. ამ ქვეყნების სპეცსამსახურების დასახმარებლად რუსეთი და ჩინეთი ერთობლივად იღვწიან.

ჩინეთი ძირითადად ეკონომიკური კომპონენტითაა დაკავებული: იგი გახდა ტაჯიკეთის ეკონომიკის პირველი ინვესტორი, ხოლო ყირგიზეთს ფეხზე დადგომაში ეხმარება რუსეთი და ყაზახეთი. პაკისტანმა მფარველად ჩინეთი მიიწვია და უარი თქვა აშშ-ზე. საპასუხოდ ჩინეთმა დაუყოვნებლივ უძღვნა ავიაგამანადგურებლების ესკადრილია და მზად არის რესპუბლიკის ეკონომიკაში ჩადოს 46 მილიარდი დოლარი. ამასთანავე, ისლამაბადი იძულებულია, ებრძოლოს თავის „შვილებს" — თალიბებს, რომელთა ნაწილი მტრის — „ისლამური სახელმწიფოს" — ბანაკში გადაბარგდა.

**ირანი იბრძვის ერაყში, რუსეთი კი ერაყის სამხედრო ძალებს ეხმარება სამხედრო ტექნიკით. ეგვიპტე იქცა ბუფერად, რომელიც განაცალკევებს ყოფილ „ალ ქაიდას" ისლამურ მაღრიბში და ყოფილ „ბოკო ჰარამს" ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისგან.** მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ირანისა და საუდის არაბეთის დაპირისპირება.

## მონადირე შეიძლება მსხვერპლი გახდეს: ირანისა და საუდის არაბეთის ჰიბრიდული ომი

**აშშ-მა, რომლის ინტერესები ემთხვევა ერ-რიადის ინტერესებს, გადაწყვიტა, ირანი ჯერ დაასუსტოს სანქციებით, შემდეგ პირდაპირ ან ირიბად ჩაითრიოს მეზობელი ქვეყნების შეიარაღებულ კონფლიქტებში.**

სანქციები მუშაობს, მაგრამ სწრაფ ეფექტს არ იძლევა: მართალია, ირანმა დაკარგა ნაწილი მოგების, რომელიც ნავთობის ექსპორტს მოჰქონდა, მაგრამ არ დაშლილა, არ დანაწევრებულა და შეეგუა ცხოვრების ახალ პირობებს.

**საუდის არაბეთის, ყატარისა და აშშ-ს მიერ შექმნილი „ისლამურ სახელმწიფოს" მიზანი ნათელია: არაბული მონარქიებისა და ვაშინგტონის მტრების განადგურება ახლო და შუა აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. კონკურენტი მხოლოდ ერთია — ირანი. თურქები „ისლამურ სახელმწიფოს" ქურთების დასასუტებლად და ოსმანთა იმპერიის დაშლის შემდეგ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად იყენებენ.**

„ისლამური სახელმწიფოს" მოქმედების არეალი მოიცავს სირიას, ლიბანსა და ერაყს. სირია ირანის მოკავშირეა, ლიბანში შიიტურ "ჰეზბოლას" ძლიერად აქვს გადგმული ფესვები, ერაყი, რომელიც განაწილებულია ქურთებს, სუნიტებსა და შიიტებს შორის, ესაზღვრება ირანს და როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

ომები ამ ქვეყნებს შორის ასუსტებს თეირანს და აიძულებს, ჩაერთოს კონფლიქტებში. თავის რესურსებს მოკავშირეთა სამხედრო დახმარებაზე, მათთვის სამხედო სპეციალისტებისა და ინსტრუქტორების, ასევე, ლტოლვილთა განთავსებაზე ფლანგავს.

„ისლამური სახელმწიფოსთან" საბრძოლველად შექმნილ კოალიციაში ირანიც მიიწვიეს, მაგრამ თეირანმა უარი თქვა. უეფექტო იყო მისი განცხადება, რომლის თანახმად „ისლამური სახელმწიფოს" მოთარეშეებს აეკრძალა ირანის საზღვართან 40 კილომეტრზე ახლოს მისვლა.



**ექსპერტთა აზრით, აშშ-ისგან, როგორც დასუსტებული მსოფლიო ჰეგემონისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება მისი უკანასკნელი შემოტევის გაძლებაა. არ უნდა მივცეთ მას ახალი, სისხლისმღვრელი ომის გაჩაღების შესაძლებლობა, რადგან აქედან სარგებელს მხოლოდ მისი ორგანიზატორები მიიღებენ**



**ყატარის თალიბები თანდათან გადაგვარდნენ «ისლამური სახელმწიფოს» სამხედრო დანაყოფებად და ქაბულიდან 60 კილომეტრის დაშორებით განლაგდნენ**

**სიმშვიდე არ სუფევს ავღანეთთან და პაკისტანთან ირანის საზღვრებზე — ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლებში რეგულარულად იღუპებიან ირანელი მესაზღვრეები.** ერაყის ტერიტორიაც ბრძოლის ველად იქცა.

სამხრეთის საზღვრებს აკონტროლებს აშშ-ის მე-5 ფლოტი და არაბული მონარქიების სამხედრო ძალები.

სიმშვიდეა სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქმენეთის საზღვრებზე, თუმცა ამ ფონზეც შეიძლება წარმოიქმნას პრობლემები, რომელთა მიზეზი შეიძლება გახდეს გაზისა და ნავთობის მშენებარე მილსადენები (მაგალითად, ჩინეთის მიერ თურქმენეთისკენ). ეს არც ყატარს აძლევს ხელს. მდგომარეობის გართულების შედეგად გამორიცხული არ არის თურქმენეთს გამოსტაცონ გაზის საბადო გალკინიში, რასაც ისლამისტები ტერორისტების ხელით განახორციელებენ: **ყატარის თალიბები თანდათან გადაგვარდნენ „ისლამური სახელმწიფოს" სამხედრო დანაყოფებად და ქაბულიდან 60 კილომეტრის დაშორებით განლაგდნენ. თურქმენეთის სასაზღვრო დაცვა უსუსტესია (მესაზღვრეები არაერთხელ გაქცევიან პროვინცია ფარიაბის თალიბებს). რეალურად ისახება ისლამური გაერთიანებული კონტინგენტის ლაშქრობა თურქმენეთის წინააღმდეგ.**

ასეთ შემთხვევაში ისლამისტების მორიგი მსხვერპლი იქნება **უზბეკეთი.** საზღვრის ავღანურ-უზბეკური მონაკვეთი ტაშკენტის მიერ საგულდაგულოდ დაცულია, მაგრამ კიდევ დასაცავია საზღვარი თურქმენეთთან, რომლის სიგრძე 1621 კილომეტრია და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.

ჯერჯერობით კი აშხაბადი თავისი უსაფრთხოების დაცვას და ჩინეთზე დამოკიდებულების მინიმიზებას აშშ-სთან მოლაპარაკების გზით ახერხებს. ამერიკა თურქმენეთს ავღანეთის საზღვრის დაცვაში დაეხმარება. ე.ი. თურქმენეთი აშშ-ზე დამოკიდებული ხდება. ეს უკანასკნელი ამ ქვეყანაში ფეხის მოკიდების კვალზე გააძლიერებს თავის პოზიციებს კასპიის რეგიონში.

**თუ აშშ გადაწყვეტს თურქმენეთის დანგრევას (რისი გაკეთებაც არ გაუჭირდება), ირანის ჩრდილოეთი ასევე ფრონტისპირა ზონად იქცევა. თუ თალიბების კრიტიკული მასა „ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლებად გადახალისდება, დესტაბილიზაციის რისკი მრავალგზის გაიზრდება და ირანი ალყაში მოექცევა.**

**ეს საფრთხე ირანში კარგად აქვთ გასიგრძეგანებული, და ლოგიკური იქნება, თუ თეირანი დაარტყამს ერ-რიადს.**

## შემდეგ რა იქნება?

**აშშ თავის მიზნებსა და მისწრაფებას არ დათმობს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღება სწორედ მის ინტერესებშია, თუნდაც იმიტომ, რომ დაასუსტოს თავისი გეოპოლიტიკური კონკურენტები და ნულამდე დაიყვანოს თავისი სახელმწიფო ვალი.**

**კავშირი ირანსა და აშშ-ს შორის წარმოუდგენელია. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ ბირთვული პროგრამების საკითხზე მოლაპარაკების წარმატება არ ნიშნავს თეირანის ვაშინგტონთან დაახლოებას.**

**რუსეთისთვის ირანი, ისევე, როგორც ჩინეთისთვის, სირია და ერაყი, სამხრეთ საზღვრებზე უსაფრთხოების სისტემის ელემენტია.**

**შემდეგ. ჩინეთის კაპიტალის ექსპანსია გაგრძელდება. რუსეთიცა და ჩინეთიც განახორციელებენ ღონისძიებებს რეგიონში თავიანთი მოკავშირეებისა და პარტნიორების გასაძლიერებლად, მსოფლწესრიგის კონტურების შესანარჩუნებლად აღნიშნულ რეგიონში.**

**ამ პროცესებს აშშ ყოველმხრივ წინ აღუდგება.**

**ექსპერტთა აზრით, აშშ-სგან, როგორც დასუსტებულ მსოფლიო ჰეგემონისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება მისი უკანასკნელი შემოტევის გაძლებაა. არ უნდა მივცეთ მას ახალი, სისხლისმღვრელი ომის გაჩაღების შესაძლებლობა, რადგან აქედან სარგებელს მხოლოდ მისი ორგანიზატორები მიიღებენ.**

მოკლედ



## რუსეთი ირანს საზენიტო რაკეტებს მიაწვდის

**სარაკეტო კომპლექსების მოწოდება პირველსავე შესაძლებლობის შემთხვევაში განხორცილდება, — ეს განცხადება ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხოსეინ ამირ აბდოლახიანმა რუს კოლეგასთან — მიხაილ ბოგდანოვთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ გააკეთა.** სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის — ოლეგ ბოჩკარევის განაცხადებით, ირანისთვის C-300-ების მიწოდების გადაწყვეტილება პირადად ვლადიმერ პუტინმა მიიღო. მისივე თქმით, ირანისთვის სპეციალურად ახალ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს ააწყობენ.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო და მოისმინო პრიმიტივიზმამდე დასული, ეროვნული თავმოყვარეობის არმქონე ადამიანების ფრაზები, რომლებიც ასე შიშვლად არის წარმოდგენილი რევაზ გაბაშვილის მოგონებებში. ერთს კი ვფიქრობ: რა უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას ან თუნდაც იოსებ სტალინს, ბოლომდე ემხილებინა ადამიანები, რომლებმაც უფკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა სამ წელიწადში?! საქართველო ჯიჯგნა ათასი ჯურის გადამთიელმა. ხელისუფლებამ გაძარცვა ეკლესია-მონასტერები, მდიდართა ოჯახები და საზღვარგარეთ გაიქცა.

# სტალინი და მენშევიკური მთავრობა

## ნაწილი III

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №18-19 (300-301)

**ქართველი უკლონისტების წინააღმდეგ ბრძოლა სტალინს ორმაგად აღიზიანებდა. უმცროს-უფროსობის ტრადიციებსა და სემინარიულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდილი სტალინი ვერ წირავდა თავის პარტიულ ამხანაგებს და, მით უმეტეს — ქართველებს, მათ შორის, ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას, რომლებიც არც პოლიტიკურად და არც ვაჟკაცობით კოჭებამდეც ვერ სწვდებოდნენ სტალინს. არც ფილიპე და არც მიხა სტალინის ტოლ-სწორნი არ იყვნენ — ეს იცოდა სტალინმა, მაგრამ არ იცოდნენ არც ერთმა და არც მეორემ. საქართველოში ისინი სრულუფლებიანი „სტალინები“ იყვნენ, თავიანთი „დამსახურებიდან“ გამომდინარე. ამიტომ მათ მიერ, მენშევიკებთან ერთად, ფეხქვეშ გაგდებული ილია ჭავჭავაძის სახელის „წამოყენება“ არც სტალინისათვის იყო იოლი საქმე, მაგრამ სტალინის უძლეველობა, მის მოთმინებასა და ნებისყოფაში იყო.**



**«მე ვამტკიცებ, — განაგრძობს რევაზ გაბაშვილი, — ჟორდანია არ იყო სახელმწიფო კაცი, მას ეგონა, რომ სახელმწიფოს შექმნა, შენახვა და დაცვა შეიძლება ცარიელი სიტყვებითაც, ნაცარქექიული მოკვარახჭინებით; და მეორეც: ნ. ჟორდანიას თავისი საკუთარი ჯარისა ყოველთვის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა (რ. გაბაშვილი. «დაბრუნება», ტომი მესამე, გვ. 231)**

1930-იან წლებში, როდესაც მოწინააღმდეგეთა და მოღალატეთა მრავალათასიან ლაშქარს ბოლო მოუღო და პოზიციები გაიმაგრა, თავისი „მამობილის“ საფლავს მიაკითხა. სხვადასხვა აუცილებლობიდან გამომდინარე, 1934 წელს სტალინის ინიციატივით საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობა გაიმართა. ყრილობის ტრიბუნიდან საქართველოს წარმომადგენლის — **მალაქია ტოროშელიძის** წარმოსათქმელი სიტყვა სტალინის მიერ შემუშავებული სქემით იქნა აგებული, ხოლო ილია ჭავჭავაძეზე გასაკეთებელი განცხადებები უშუალოდ სტალინის ხელით იქნა ჩაწერილი.

აი ისინიც:

***„ილია ჭავჭავაძე 1860-იანი წლების უდიდესი ფიგურაა, რომელიც თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ძლიერ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე თვით უკანასკნელ ხანებამდე“.**

***„ამ ორი მომენტის — ეკონომიკურისა და ეროვნულის — მჭიდროდ გადაკვანძვა საფუძვლად უდევს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას. იგი ნაციონალისტია და, როგორც ასეთი, ოპოზიციაში უდგას მთავრობას, რომელიც არ ცნობს არავითარ ნაციონალურს“.**

***„ილია ჭავჭავაძის შემოქმედებამ თავადაზნაურობას კი არ გაუწია სამსახური, არამედ თავადაზნაურობის მოწინააღმდეგეებს“.**

***„თუმცა ილია ჭავჭავაძე არ წარმოადგენს გლეხობის ინტერესებისათვის მებრძოლს, მაგრამ ის ღრმა სიმპათიით უყურებს, აიდეალებს მას, აწერს მას საუკეთესო თვისებებს და თვლის მას ყველა სათნოების განსახიერებად“.**

***„რათა შევაჯამოთ ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი კრძალვით უყურებს და მის შესაფერისად მაღალ პრინციპულ სიმაღლეებზე აჰყავს ყოველი საკითხი, რომელსაც ეხება. Lლიტერატურული ასპარეზი ილია ჭავჭავაძემდე თითქმის არ არსებობდა, წინანდელი ეპოქის მწერლობისათვის ლიტერატურა ან უბრალო თავშესაქცევი იყო (მაგ., საქეიფო ლექსები), ან პოეტის პირადი განწყობილების გამოხატულება, რომელიც უნდა გაეზიარებინა მის რამდენიმე ახლობელ მეგობარს. ილია ჭავჭავაძისათვის კი ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოღვაწეობაა და ამ დარგში იგი ფრიად სასტიკია და მომთხოვნი, როგორც თავის მიმართ, ისევე სხვებისადმი“.**

მოხსენებამ ყრილობაზე ფურორი მოახდინა, იგი სტალინის ბრძანებით რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა მოსკოვში, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1936 წლის 4 სექტემბერს **გაზეთმა „პრავდამ“ ილია ჭავჭავაძეს უწოდა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარულესი მოღვაწე“.**

**1937 წლის 9 მაისს გაზეთ „კომუნისტში“** დაიბეჭდა ოფიციალური მასალა „ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის“. გაზეთი მკითხველს აცნობდა, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ილია ჭავჭავაძის იუბილის აღსანიშნავად. და იქვე იყო ჩასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა.

**„ლიტერატურულმა საქართველომ“** გამოაქვეყნა ცნობა ილიას იუბილისათვის მიძღვნილი მწერალთა კავშირის პლენუმის ჩატარების შესახებ. ქალაქები და რაიონები ემზადებოდნენ დიადი თარიღის აღსანიშნავად, რასაც უამრავი საგაზეთო სტატია ეძღვნებოდა. გამოქვეყნდა ცნობა, რომ საიუბილეო საღამოები ჩატარდა მოსკოვსა და ლენინგრადში.

**1937 წელს საიუბილეოდ გამოიცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული (ხუთი ტომი),** რომელიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი კრემლის ბინის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა იმ წიგნებს შორის, რომლებსაც თითქმის ყოველდღიურად იყენებდა სიცოცხლეში იოსებ სტალინი. დაიწერა უამრავი მეცნიერული ნაშრომი და მხატვრული ნაწარმოები ილიას შემოქმედებაზე. აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. საქართველო ზეიმობდა ილიას იუბილეს. დუმილს ინარჩუნებდა დამარცხებული ფილიპე მახარაძე თავის ვიწრო წრესთან ერთად. ზოგიერთმა მათგანმა ძველ „ბელადს“ უღალატა და ილიას ქება-დიდება დაიწყო. ფილიპე მახარაძე მიხვდა, რომ დამარცხდა და დანებდა.

**„ასე დასრულდა ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის, ილიას გზის გმოზის სამარცხვიონო ისტორია. ყოველივე ეს აუცილებლად მოხდებოდა, მაგრამ გაცილებით გვიან. 1934-1937 წლებში, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა მოსკოვში ხელისუფლებისათვის დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლა მიმდინარეობდა, ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად დაფასება, თითქოს აუხსნელ მოვლენას წარმოადგენდა. სინამდვილეში ყველაფერი ლოგიკური, კარგად გააზრებული გახლდათ, საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა იყო ის დიდი საგანძური, რომელიც იოსებ სტალინს მორალურ უფლებას აძლევდა, ზემოდან დაეხედა თავისი იდეური და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის, დიდი და პატარა „ბელადებისათვის“ და ამაყად ეთქვა: „მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ — რჩეულნი“ (მათე. 22-14)**



ილია ჭავჭავაძე

**(ვახტანგ გურული. „მეფე მამა“, გვ. 200).**

აქვე მინდა, შეგახსენოთ **ნოე ჟორდანიას** ნათქვამი: **ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრება, სირცხვილის, დაგმობისა და უარყოფის გარდა, სხვა არაფრის ღირსი არაა“.** სწორედ ნოე ჟორდანიას მიერ აღწერილი სურათია წარმოდგენილი ამჟამინდელ საკანონმდებლო ორგანოში, როგორც ჩვენი ეროვნული ღირსება და მისაბაძი მაგალითი.

**რევაზ გაბაშვილი** არის ცნობილი ქართველი მწერლის — **ეკატერინე გაბაშვილის** უფროსი ვაჟი, რომელიც 1882 წელს დაიბადა. 1902 წელს მან თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია დაამთავრა და სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. 1905 წელს, როდესაც რევოლუციის ექომ ევროპასაც მიაღწია, რევაზ გაბაშვილი საქართველოში დაბრუნდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1906 წელს არალეგალურად გაემგზავრა პეტერბურგში და სწავლა კვლავ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ 1911 წელს სასწავლებლიდან გარიცხეს. ამ დღიდან რევაზ გაბაშვილი დაუკავშირდა ქართულ რევოლუციურ მოძრაობას და მათთან ერთად გაატარა მთელი სიცოცხლე. რევაზ გაბაშვილმა რთული და ქარტეხილებით სავსე ცხოვრება გაიარა, დაწყებული რევოლუციური მოძრაობით, დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვითა და ემიგრაციით დამთავრებული. „სიმართლე და მხოლოდ სიმართლე“ — ეს იყო რევაზ გაბაშვილის დევიზი სიცოცხლის ბოლო წუთამდე, რისთვისაც მას არაერთხელ მიუღია არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ფიზიკური შეურაცხყოფაც, მაგრამ არასოდეს გატეხილა და 1959 წელს მიუნხენში გამოაქვეყნა მოგონებათა 340-გვერდიანი წიგნი „რაც მახსოვს“. Bბატონმა რევაზმა თავისი წიგნით ბევრს დაუფრთხო ძილი, ხოლო ბევრი კი „სიზმრიდან“ გამოიყვანა. **რევაზ გაბაშვილის, როგორც თვითმხილველისა და უამრავი ქარტეხილგამოვლილი კაცის გულწრფელი ნაამბობი, ანალიზი და შეფასებები უდიდესი მონაპოვარია, როგორც ისტორიისათვის, ისე თითოეული ჩვენგანისათვის, ვისაც აინტერესებს თავისი ქვეყანა და თავისი ქვეყნის წარსული. ამიტომ მინდა, ჩემი დღევანდელი საგაზეთო წერილის დარჩენილი ადგილი, სწორედ ბატონ რევაზ გაბაშვილის დანახულსა და განცდილს დავუთმო:**

***„სოციალიზმზე და რევოლუციაზე შეშლილი საქართველოს მეთაურობა, სრულიად უგულველჰყოფდა ეროვნულ საკითხებს და ძალათი ახდენდა, იწვევდა რევოლუციას, როცა არავინ წინააღმდეგობას არ უწევდა ამ რევოლუციას — მშვიდობიანი წესით — საქართველოში. სულ ღია კარებში იჭრებოდნენ, რამდენადაც ეს შეეხებოდა სოციალურ საკითხებს და მთელი მათი რევოლუციონური ენერგია შინ (და გარედაც) იხარჯებოდა ეროვნულ- სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბების წინააღმდეგ.**

**... და ესეთი დამანგრეველი, მცარცველი სულისკვეთება შერჩათ, სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც, — ბოლომდე. რევოლუციონური კი არა, ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, ყაჩაღურ-რევოლუციონური ფსიქოზი არასოდეს გამონელებიათ.**

***სად დაიმალება ისეთი მაგალითები, როგორც ტრაპიზონისა და საერთოდ დიდი ომის, რუს-ოსმალოს ფრონტიდან ნაცარცვი აურაცხელი ქონება (სამხედრო და სხვაც), რომელიც საქართველოს „ბიუჯეტად“ ეყოფოდა“ და მე თუ „ცარცვას“ ვეძახი, სწორედ იმიტომ, რომ სოციალისტურმა პარტიებმა და კერძო პირებმა დაირიგეს, და არა — სახელმწიფოს გადასცეს. მათი „კოოპერატივები“ და კერძო ვაჭრები ჰყიდნენ და მდიდრდებოდნენ, ჩამოტანილ შაქრით, ფქვილით, რძის კონსერვებითა და ათასი სხვა რამ სანოვაგითა და საქონლით.**

**...აქ თუ ახდილი ცარცვა-ყაჩაღობა ხდებოდა, ეგრეთ წოდებული „ზემ-გორის“ უთვალავი ქონება — კარავ-უნაგირ-ლურსმიდან დაწყებული, ფართლეულ-ფქვილ-კონსერვებით გათავე-** ▶

**„ლიტერატურული ასპარეზი ილია ჭავჭავაძემდე თითქმის არ არსებობდა, წინანდელი ეპოქის მწერლობისთვის ლიტერატურა ან უბრალო თავშესაქცევი იყო (მაგ., საქეიფო ლექსები), ან პოეტის პირადი განწყობილების გამოხატულება, რომელიც უნდა გაეზიარებინა მის რამდენიმე ახლობელ მეგობარს. ილია ჭავჭავაძისათვის კი ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოღვაწეობაა და ამ დარგში იგი ფრიად სასტიკია და მომთხოვნი, როგორც თავის მიმართ, ისევე სხვებისადმი“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ბული — ისე საიდუმლოდ ქრებოდა, ზურგით, ცხენით, ურმით, ვაგონებით წაღებული, რომ ორიოდე თვის შემდეგ სადგურიდან მუშტაიდამდე მთებად დაყენებული მდიდარი საწყობები, უდაბნოს მოგაგონებდათ. თბილისის სამხედრო საწყობები — დაუშრეტელი (რადგან ნახევარ-მილიონზე მეტი ჯარის ამუნიციისა იყო) ისე დაცარიელდა, რომ შემთხვევით გადარჩენილიდან (ან ვერ მიგნებულიდან), 1921 წლის ომის შემდეგაც ბოლშევიკებს დარჩათ 17 000 ახალი თოფი (ქუთაისში 300 ხელუხლები ტყვიის — მფრქვეველი. ) და... „მთავრობამ“(?) ყურები გამოუჭედა ქვეყანას: იარაღი არა გვქონდა და ჯარი როგორ უნდა შეგვექმნა ან რითი შეგვეიარაღებია“-ო (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 206).

მენშევიკები და მენშევიკური მთავრობის ბოგინის პერიოდი არა მხოლოდ ოციანი წლების, საერთოდ, მეოცე საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში სამარცხვინო წლებია. ეს ის მენშევიკური მთავრობაა, რომელიც 1990-იან წლებში „დამოუკიდებლობამოპოვებულმა“ საქართველოს რესპუბლიკამ, ქართველი ხალხის საუბედუროდ და სამარცხვინოდ, დიდ წინაპრად აღიარა.

***„მე ვამტკიცებ, — განაგრძობს რევაზ გაბაშვილი, — ჟორდანია არ იყო სახელმწიფო კაცი, მას ეგონა, რომ სახელმწიფოს შექმნა, შენახვა და დაცვა შეიძლება ცარიელი სიტყვებითაც, ნაცარქექიული მოკვარახჭინებით, და, მეორეც: ნ. ჟორდანიას თავისი საკუთარი ჯარისა ყოველთვის უფრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 231).**

*„არმიის შექმნა ურთულესი საქმეა. ჩვენ ამჯერად ეს პრობლემა არ გვაინტერესებს, გვინდა, შევჩერდეთ მხოლოდ არმიაში სოციალური საკითხის გადაჭრის ისტორიაზე. ი. სტალინის მიერ არმიის სოციალური ფუნქციის სწორად განსაზღვრა, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცვის მექანიზმის შემუშავება გახდა ერთ-ერთი უმთავრესი პირობა მსოფლიოში უძლიერესი არმიისა და ფლოტის შექმნისა (ვ. გურული. „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ. 62).

რევაზ გაბაშვილი 1921 წლის ომის მონაწილე და თვითმხილველია. ის ზუსტად გადმოგვცემს იმ მოვლენებს, რომლებიც იმხანად თბილისის შემოგარენში განვითარდა.



რევაზ გაბაშვილი



ნოე ჟორდანია

**«1934-1937 წლებში, უაღრესად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა მოსკოვში ხელისუფლებისათვის დაუნდობელი და სისხლიანი ბრძოლა მიმდინარეობდა, ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად დაფასება თითქოს აუხსნელ მოვლენას წარმოადგენდა. სინამდვილეში ყველაფერი ლოგიკური, კარგად გააზრებული გახლდათ, საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა იყო ის დიდი საგანძური, რომელიც იოსებ სტალინს მორალურ უფლებას აძლევდა, ზემოდან დაეხედა თავისი იდეური და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის, დიდი და პატარა «ბელადებისათვის» და ამაყად ეთქვა: «მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ — რჩეულნი (მათე. 22-14) (ვახტანგ გურული. «მეფე მამა», გვ. 200)**

## „ტაბახმელის „ფრონტზე“

მივედი „ფრონტზედ“. პრტყელ ბექობზე იდგა ოთხი პატარა სამთო ზარბაზანი; დახატულივით ლამაზი ვაჟკაცი ოფიცერი ჩრდილელი ბრძანებლობდა ამ „ბატარეას“. არც კი მოუხედია ჩემკენ, როცა ზოგიერთმა ნაცნობმა ხელქვეითმა მისმა სალამი მომცა. ამ დროს ხევის გადაღმა მარჯვენა მხარეს, გორაზედ გამოჩნდა მწყობრად მომავალი ნაწილი. აცნობეს და მაშინათვე გაჩნდა ა. ჩხეიძე. გაიხედა დურბინდში და უბრძანა: „გახსენით ცეცხლი!“. გამიკვირდა ორი რამ: ჯერ ერთი, მხოლოდ სამი ზარბაზანი ისროდა და მეოთხე პირდაღებული იდგა ჩუმად, მეორე, — ვის ესვრიან, იქნება ჩვენები არიან? რომ ვკითხე ჩემ ყოფილ მასწავლებელს („გიმნასტიკისა“) ჩხეიძეს, მიპასუხა: ამ სამ ზარბაზნისთვისაც ძლივს გვყოფნის ყუმბარები, იშვიათი სროლისათვის და ზედმეტი ხალხი რისთვის მოვაცდინოთ აქ დგომოთაო? და, რაც შეეხება სროლას, — აქეთ რა უნდათ, რომ მოდიან, ასეთი ბრძანება შტაბს არ გაუცია და თვითონ გამოარკვიონ, მტრები არიან, თუ მოყვარენიო.

უკვე ბინდდებოდა და წამოსვლისას მითხრა: ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა და უთხარით თბილისში, ყუმბარები მოგვაწოდონ, რამდენი ხანია, ვეხვეწებით, გვპირდებიან და არსადა სჩანს; მესამე დღეა, ახალგაზრდებს ამ სიცივეში არც ცხელი საჭმელი უნახავთო.

იმ საღამოსვე წერილობითი „პატაკი“ წავიღე თბილისის შტაბში, საცა მხოლოდ თევზაძე დამხვდა. სიტყვიერადაც ავუხსენი მდგომარეობა და მხრები აიწია: „რა ვქნათ, ხალხი არა გვყავს, მაგრამ ხვალვე ვეცდები, ერთი კამიონი ყუმბარა და ერთი კამიონი საჭმელი გაუგზავნო მაინც“-ო.

მეორე დღეს, როცა ტაბახმელაზე უკვე სამნი ავედით — მე, გიორგი ამირეჯიბი და საშა ჩხეიძე — სამივენი „შტაცკი“ და თოფიანები, მოგვიხდა უპატრონო დაჭრილი და დაუჭრელი ტყვეების მოგროვება თბილისში წამოსაყვანად, რისთვისაც გზაში დავიჭირეთ თბილისიდან მომავალი მანგლისელი რუსის ცარიელი „დროგი“.

ექვსი დაჭრილი და ერთი დაუჭრელი ტყვე დავალაგეთ დროგზე, ერთ მოკლულ ქართველ ოფიცერთან ერთად და გიორგი და საშა გამოჰყვნენ. მე გავბრუნდი „ფრონტზე“.

ერთმა დახურულმა კამიონმა გაგვიარა, გულში ვიფიქრე: „ყოჩაღ თევზაძე, მაინც მოუხერხებია რაღაც!“. მაგრამ, შტაბში რომ მივედი, შემომჩივლეს: „ყუმბარებისა და საჭმელის მაგიერ, შეცდომით(?) ერთი კამიონი ძველი შინებით მოგვივიდა“-ო; და საწყალი გაყინული იუნკრებიც ისევ ცივი ჭადით ილოღნებოდნენ“ (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 323)



საქართველოს მენშევიკური მთავრობა

## „სოღანლუღის „ფრონტზე“

**დავინახე ღენერალი გ. მაზნიაშვილი, აჩქარებით გამოსული ზემოაღნიშნულ „შტაბის“ შენობიდან, რაღაც დაკეცილი ქაღალდის ნაგლეჯის ქნევით ჰაერში: „აბა, ჩქარა, ერთი ცხენი მიშოვეთ, შიკრიკი უნდა გაიგზავნოს შავნაბადაზე!“**

შეიქნა რაღაც ჩოჩქოლი... „სადა გვყავს ცხენები? — „აგერ ცხენები“ ... “ეგ გვარდიისაა, ჯარს არ ეკუთვნის“ და სხვ.

ჩემი თვალით ვხედავდი ათიოდე მშვენიერ ცხენს, დაბმულს შორიახლოს ფარდულში, ფრუტუნით ქერსა და თივას რომ სჭამდნენ, მაგრამ, მტკვრის გაღმა და გამოღმა რამდენიმე ვერსის ფრონტის სარდალს, ღენერალ გიორგი მაზნიაშვილს, არა მარტო შიკრიკისათვის, თავისათვისაც არა ჰყავდა ცხენი.... რომ „ეკუნკუნლნა“, — ზაქარია გურულების „სტრატეგიული“ ტერმინოლოგიით რომ ვილაპარაკოთ.

გაიმართა ხვეწნა-ჭიდილივაჭრობა ფრონტის უფროსისა და გვარდიის „წარმომადგენელის“ შუა და რის ვაი-ვაგლახით „კომპრომისით“ გათავდა: გვარდიელის ცხენზე შესხდნენ ორნი — ერთი გვარდიელი და ერთი ჯარისკაცი, შიკრიკი მაზნიაშვილისა საჩქარო ქაღალდით და წავიდნენ“ (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტომი მესამე, გვ. 326.)

## ბათუმი

**„საჯავახოს ხიდთან გროვდება მთელი ჩვენი ჯარი და გვარდია... დიდი, გადამწყვეტი ბრძოლა იქ მოხდება... მართლაც მოსჩანდა აქა-იქიდან მომავალი ნაწილები (მერე გავიგეთ, რომ 13 000 მეომარი შეიკრიბა გ. მაზნიაშვილის მეთაურობით; რაც არ მომხდარა მთელი ომის განმავლობაში ამდენი მეომრის ერთად თავმოყრა). ყურდაცქვეტილნი ველოდით ბათუმში საჯავახოს ბრძოლების ამბავს. ელვასავით ხმა რომ გავარდა, ზარბაზნების ჭექა-ქუხილის მაგიერ: „მთავრობამ ზავი ჩამოაგდო ბოლშევიკებთან... ჩვენი ჯარი გადადის მათს განკარგულებაში“-ო: ?!?!?!...**

**„ჟორდანია ხომ თავის უმეწეობას აბრალებს მხედრობას, მინისტრებს, ოპოზიციას... რეპლიკებსაც კი; და ახლა სხვები ნახეთ:**

**ნოე რამიშვილი იმეორებდა ბათუმში, სტამბოლში და პარიზშიაც: „მთავრობამ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის, მაგრამ ხალხმა არ ივარგა“-ო. ვალიკო ჯუღელმა ხომ არაერთხელ წარმოსთქვა ჩვეულებრივი „სიბრძნე“: ჩვენ ვიცოდით, რომ დავმარცხდებოდით, მაგრამ წინააღმდეგობის გაუწევლად და უპროტესტოდ ხომ არ დავნებდებოდით“-ო (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტ.3. გვ. 344-346)**

**„რადა ღირს, თუნდ ბატონ კოწია გვარჯალაძეს „გამოსვლა“ ჯერ კიდევ „ეროვნულ საბჭოში“, დორბლით პირზე: „თავადაზნაურობა სულ უნდა ამოიჟლიტოს“-ო, ან ვალიკო ჯუღელის მინაწერი პარიზიდან თბილისში: „... სხვას თუ ვერაფერს მივაღწიეთ, თავად-აზნაურობა ხომ გავანადგურეთ“-ო; ან თვით ნოე ჟორდანიას ქებათა ქება აგრარული ტერორის, პარიზის რუსულ გაზეთში?!**

**სხვადასხვა სახელწოდებისა და „ფასონის“ ცარცვაგლეჯაზედ ხომ გაჩერებაც არ ღირს, რადგან შეუჩერებელი იყო და „დამთავრდა“(?) საეკლესიო, სამუზეუმო, სახელმწიფო თუ კერძო ქონების გატაცებით... სტამბოლსა და პარიზში გასაბაზრებლად“ (რ. გაბაშვილი. „დაბრუნება“, ტ.3. გვ. 354).**

**„ჯერ კიდევ სტამბოლში, „პარიზის კონფერენციამდე“, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის სხდომის წინასწარზედ — გრიგოლ ალშიბაიამ შემოიტანა პროექტი: „რადგან გურიამ (?) დალუპა საქართველო, ეხლა სამეგრელომ უნდა გადაარჩინოს იგი, განსაკუთრებით შექმნილ სამინისტროთი“-ო.**

**ქართული სათვისტომოს მრავალრიცხოვან კრებაზე ბატონმა აკაკი ჩხენკელმა შემოიტანა ანალოგიური პროექტი: „უნდა შეიქმნას „კომიტეტი“ 11 პირისაგან“ (ამდენი პარტია და ჯგუფი იყო უკვე მაშინ) და სიაც წარმოადგინა:**

**ნაც-დემოკრატებისაგან — კედია, ცხაკაია, გვაზავა; სოც-დემოკრატებისაგან — ჩხენკელი, სალაყაია; სოც-ფედერალისტებისაგან — ფირცხალავა; სოც-რევოლუციონერებიდან — გობეჩია: თეთრ-გიორგელთაგან — კედია და სალია. როცა ვუსაყვედურე „ასეთი ალშიბაიასებური შერჩევა“ ერთ-ერთ თათბირზედ, ცოტა დაიბნა და... „სრულიად არ მიფიქრია მაგაზედ, შემთხვევით მოხდა“-ო. და მეორე დიდი ომის დროს ხომ „ამაღლებულმა“ მიშა კედიამაცა მრეხვა: „ქართლი და სამეგრელო ძველებურად (?) უნდა შევერთდეთ და გურულები უნდა გავდევნოთ“-ო (რ. გაბაშვილი, „დაბრუნება“. ტ.3. გვ 357).**

შეუძლებელია, მშვიდად წაიკითხო და მოისმინო პრივიტივიზმამდე დასული, ეროვნული თავმოყვარეობის არმქონე ადამიანების ფრაზები, რომლებიც ასე შიშვლად არის წარმოდგენილი რევაზ გაბაშვილის მოგონებებში. ერთს კი ვფიქრობ: რა უშლიდა ხელს საბჭოთა ხელისუფლებას ან თუნდაც იოსებ სტალინს, ბოლომდე ემხილებინა ადამიანები, რომლებმაც უფსკრულამდე მიიყვანეს ქვეყანა სამ წელიწადში?! საქართველო ჯიჯგნა ათასი ჯურის გადამთიელმა. ხელისუფლებამ გაძარცვა ეკლესია-მონასტერები, მდიდართა ოჯახები და საზღვარგარეთ გაიქცა.

შედეგ წერილებში მენშევიკური მთავრობისა და მასზე მიტმასნილი ინტელიგენციის საქმიანობაზე უნდა გესაუბროთ.

**გაგრძელება იქნება**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აბუ ომარ აშ-შიშანი წარმომავლობით საქართველოდანაა და იმ ყველაზე გამოცდილ ბოევიკთა შორისაა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. დატოვა რა საქართველოს არმიის რიგები, აშ-შიშანი სირიელ ტერორისტებს შეუერთდა.**

# «ისლამური სახელმწიფოს» მეთაურები

**ერაყის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა დაიწყეს „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურების შესახებ ცნობების გამოქვეყნება. ამ პირებთან დაკავშირებით ერაყის ხელისუფლებისა და აშშ-ის კონტროლით გამოძიება მიმდინარეობს, რომელიმე მათგანის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიწოდებისთვის ინფორმატორი დასაჩუქრდება.**

### აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი

**მისი სრული სახელია იბრაჰიმ ავად იბრაჰიმ ალიაალ-ბადრი ას-სამარი. ეს ადამიანი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მთავარ ხელმძღვანელად ითვლება. გასულ წელს ალ-ბაღდადიმ თავი „ისლამური სახელმწიფოს“ ემირად გამოაცხადა და მოითხოვა, მის წინაშე ფიცი დაედოთ ტერორისტთა სხვა ექსტრემისტულ დაჯგუფებებს.**

**აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ბაღდადში, ქალაქ სამარას ახლოს მდებარე დასახლებაში 1971 წელს დაიბადა. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ იგი ტერორისტების სიაში შეიყვანა და 10 მილიონი დოლარის დააწესა ჰონორარი დააწესა ნებისმიერისათვის, ვინც მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა.**

სადამ ჰუსეინის დიქტატურის პერიოდში ალ-ბაღდადის ძმა ერაყის არმიაში მსახურობდა და საკუთარი მოვალეობების შესრულებისას დაიღუპა, მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ ამჟამინდელმა ლიდერმა ვერ შეძლო ჯარში წასვლა ჯანმრთელობის დაკავშირებული პრობლემების გამო. ამის ნაცვლად მან ჩააბარა ბაღდადის უნივერსიტეტში, ყურანმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც მაგისტრატურაც დაამთავრა.

ალ-ბაღდადი ხელმძღვანელობდა „ალ ქაიდას“ ყველა სამხედრო ოპერაციას ერაყში და ამ ორგანიზაციის მიერ მოწყობილი მრავალი მსხვილი ტერორისტული აქტის ორგანიზატორად ითვლებოდა. ყველაზე ცნობილი მის მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან გახდა ბაღდადის მეჩეთ უმ-ალ-კურაზე თავდასხმა 2011 წელს. ტერაქტის შედეგად დაიღუპა ერაყის პარლამენტის დეპუტატი ხალიდ ალ-ფახდავი.

ბრიტანული გამოცემა „Guardian“-ი იტყობინებოდა, რომ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი „ისლამური სახელმწიფოს“ საწინააღმდეგო კოალიციის ავიადარტყმის შედეგად ერაყში დაიჭრა. გამოცემა ასევე აზუსტებდა, რომ მეთაური ხერხემლის არეში იყო დაჭრილი და ამის გამო მას დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია.

### აბუ ალა ალ-აფრი

ეს „ისლამური სახელმწიფოს“ კიდევ ერთი სახიფათო მეთაურია. მისი ნამდვილი სახელია აბდულ რახმან მუსტაფა. წინათ იგი ასრულებდა აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის მოადგილის მოვალეობას, მაგრამ „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერის დაჭრის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია, რომ აბუ ალა ალ-აფრიმ მისი ადგილი დაიკავა.

ალ-აფრი ერაყში, მოსულიდან 80 კილომეტრით დაშორებულ ალ-ხაზარის რაიონში დაიბადა. ცნობილია, რომ გარკვეული დროის განმავლობაში იგი სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა. 1998 წელს ალ-აფრი გაემგზავრა ავღანეთში, ხოლო 2004 წელს აბუ მუსაბა აზ-ზარკავისადმი შეფიცვის შემდეგ მას მოსულიში „ალ ქაიდას“ ძალების მეთაურობა დაევალა.

აბუ უმარ ალ-ბაღდადის გარდაცვალების შემდეგ „ალ ქაიდაში“ მისი კანდიდატურა განიხილებოდა ერაყში ამ დაჯგუფების რაზმების მეთაურის თანამდებობაზე, მაგრამ საბოლოო ჯამში ალ-აფრი „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს გადავიდა.

### აბუ ალი ალ-ანბარი

ეს ადამიანი „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ ერთ იმ მეთაურთაგანია, რომლებიც სირიაში იბრძვიან. იგი სათავეში უდგას სირიული არმიის, „სირიის თავისუფალი არმიის“ სახით მოქმედი შეიარაღებული ოპოზიციისა და „ჯაბჰატ ან-ნუსრას“ წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს. სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ალ-ანბარი ერაყის არმიის მეთაურობის შემადგენლობაში შედიოდა. კორუფციაში ბრალდების შემდეგ იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა დაჯგუფება „ჯეიშ ალ-ისლამი“ ერაყში და ამავე ქვეყანაში „ალ ქაიდას“ შეერთებოდა.

### აბუ სულეიმან ან-ნასერი

ამჟამად ეს ადამიანი „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო საბჭოს უდგას სათავეში. აღნიშნულ თანამდებობაზე აბუ იმან ალ-არაკის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა, ეს უკანასკნელი კი 2014 წელს აშშ-ის მიერ ერაყზე განხორციელებულ საჰაერო შეტევას ემსხვერპლა. აბუ სულეიმან ან-ნასერის კიდევ ერთ თანამდებობად ითვლება „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო მინისტრობა. ეს პოსტი მან მას შემდეგ ჩაიბარა, რაც 2010 წელს ქალაქ ტიკრიტზე აშშ-ისა და ერაყის ერთობლივი შეტევის შედეგად აბუ აიუბა ალ-მესრი და აბუ უმარ ალ-ბაღდადი გამოასალმეს სიცოცხლეს.

ან-ნასერის ნამდვილი სახელია ნაამან სულეიმან მანსურ აზ-ზეიდი. ასევე ცნობილია, რომ გარკვეული დრო მან ბასრაში, სამხედრო ბაზა „ბუკაში“, პატიმრობაში გაატარა. 2011 წელს გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერაყის უსაფრთხოების სპეცსამსახურებმა ქალაქ ხიტში მისი ლიკვიდირება შეძლეს, მაგრამ ინფორმაცია არ დადასტურდა.



**აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ბაღდადში, ქალაქ სამარას ახლოს მდებარე დასახლებაში 1971 წელს დაიბადა. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ იგი ტერორისტების სიაში შეიყვანა და 10 მილიონი დოლარის დააწესა ჰონორარი დააწესა ნებისმიერისათვის, ვინც მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას მიაწვდიდა**



### აბუ მუჰამედ ალ-ადნანი

ეს ადამიანი არის ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ოფიციალური წარმომადგენელი. მისი სრული სახელია ტახა სობხი ფალახა. ალ-ადნანი 1977 წელს სირიის პროვინცია იდლიბის პატარა ქალაქ ბანშში დაიბადა. 2005 წლის 31 მაისს ერაყზე თავდასხმისას ის შეიპყრეს კოალიციის ჯარებმა, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს.

2014 წელს გაჩნდა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ალ-ადნანი აბუ ბაქრა ალ-ბაღდადს უდებს ფიცს. იგი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც განაცხადა, რომ ნიგერიულმა ტერორისტულდა დაჯგუფებამ „ბოკო-ჰარამმა“ „ისლამურ სახელმწიფოს“ შეჰფიცა ერთგულება. დასავლეთ აფრიკაში მოქმედი ყველა ტერორისტისაგან ალ-ადნანიმ იგივე მოითხოვა.

### აბუ ომარ აშ-შიშანი

იგი წარმომავლობით საქართველოდანაა და იმ ყველაზე გამოცდილ ბოევიკთა შორისაა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. დატოვა რა საქართველოს არმიის რიგები, აშ-შიშანი სირიელ ტერორისტებს შეუერთდა. მისი დამსახურებების სიაში შედის ისეთი მეამბოხე დაჯგუფებების ხელმძღვანელობა, როგორიცაა „კატიბატ ალ-მუჰაჯირი“, „ჯეიშ ალ-მუჰაჯირი“ და „ალ-ანსარი“.

2013 წელს აშ-შიშანმა ჩაიბარა „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარების მეთაურობა სირიის ჩრდილოეთით; კერძოდ, ალეპოში, რაკაში, ლატაკიასა და იდლიბში, ხოლო იმავე წლის ბოლოს ამავე ტერიტორიაზე „ისლამური სახელმწიფოს“ ემირად დაინიშნა. ეს ბოევიკი სირიაში მებრძოლ „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ საველე მეთაურად ითვლება.

2014 წლის 24 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აბუ ომარ აშ-შიშანის სახელი ტერორისტების სიაში ჩაწერა და ხუთი მილიონი დოლარი დააწესა ჯილდოდ, ვინც მისი დაკავებისთვის გამოსადეგ ინფორმაციას მიაწვდის. უკვე მრავალჯერ გავრცელდა ცნობა აშ-შიშანის გარდაცვალების შესახებ, მაგრამ ინფორმაცია ყოველთვის მცდარი აღმოჩნდა.

### აბუ ვაჰიბი

ეს ადამიანის ისლამური სახელმწიფოს მეთაურია ერაყის პროვინცია ანბარში. მისი სრული სახელია შაკირ ვაჰიბ ალ-ფადავი ად-დალიმი. არსებული მონაცემებით, იგი 1986 წელს დაიბადა. მას ეკისრება პასუხისმგებლობა 2013 წელს სირიული სატვირთო მანქანების ზოგიერთი მძღოლის მკვლელობის გამო. აბუ ვაჰიბი იყო ერთ-ერთი იმ 110 პატიმრიდან, რომელთაც 2012 წელს ერაყის ციხეებზე „ალ ქაიდას“ თავდასხმების შედეგად გაქცევა შეძლეს. ამ ბოევიკის შესახებ ინფორმაციისათვის პროვინცია ანბარის ხელისუფლებამ ჯილდოდ 50 000 დოლარი დააწესა.

### ჰუსეინ ბილალ ბოსნიჩი

ისლამური სახელმწიფოს ეს გამოჩენილი მეთაური ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სალაფიტური მოძრაობის ერთ-ერთ წევრად ითვლება. ბოსნიჩი 1972 წელს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ჩრდილოეთით დაიბადა. იგი ცნობილი გახდა იმით, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აგროვებს ადამიანებს, რომელთაც „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მსახურება სურთ.

ჯერ კიდევ ბავშვობაში იგი ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა გერმანიაში, სადაც სალაფიტების მოძრაობის წევრი გახდა. 1992-ში ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ომის მიმდინარეობისას იგი სამშობლოში დაბრუნდა და ბოსნიური არმიის ერთ-ერთ ბატალიონს შეუერთდა.

### ტარიკ ბინ ატ-ტაჰირ ბინ ალ-ფალიხ ალ-ავნი ალ-ჰაზრი

იგი ტუნისის მოქალაქეა და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთ პირველ წევრად ითვლება. ტარიკ ალ-ჰაზრი ცნობილია „თვითმკვლელთა ემირის“ სახელითაც, რადგან სწორედ ის გახლდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში თვითმკვლელი ტერორისტების მონაწილეობით განხორციელებული ასობით ტერაქტის ორგანიზატორი. ასევე, მის მოვალეობებში შედის ტერორისტების სწავლება და მათი სირიაში გაგზავნა. ცნობებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ტარიკ ალ-ჰაზრის დაკავებისთვის, ამერიკის ხელისუფლება ჯილდოდ სამ მილიონ დოლარს გადაიხდის.

### უცხოური დაჯგუფებების მეთაურები

ზოგიერთი მეთაური განეკუთვნება უცხოეთის ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებმაც ერთგულება შეჰფიცეს „ისლამურ სახელმწიფოსა“ და აბუ ბაკრ ალ-ბაღდადს პირადად. სწორედ მათ შორისაა **აბუ ბაკრ შეიხუ**. ეს ადამიანი ტერორისტული დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ ხელმძღვანელად ითვლება ნიგერიაში და ასევე სათავეში უდგას „ისლამური სახელმწიფოს“ რაზმებს დასავლეთ აფრიკაში. შეიხუ „ბოკო ხარამს“ 2009 წლიდან უდგას სათავეში.

ავღანელი ჟურნალისტი **აბდურაჰმან მუსლიმდუსტი** გარკვეული დროით, როგორც ცნობილია, გუანტანამოს ციხეში იყო გამოკეტილი. 2014 წლის დასასრულს იგი „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურად დანიშნეს ავღანეთსა და პაკისტანში.

არსებული ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი **აბუ ალ-ბარა ალ-აზდი** იემენის მოქალაქეა. „ისლამური სახელმწიფოს“ ჯარების მიერ ლიბიის ქალაქ დერნას ხელში ჩაგდების შემდეგ იგი ამ ქალაქის ემირად დანიშნეს. ამჟამად ალ-აზდი შეთავსებით ქალაქის უზენაესი მოსამართლეცაა.

**Afkar News**

გაზსადენი „თურქეთის ნაკადი“ გაივლის თურქეთის, საბერძნეთის, მაკედონიისა და სერბეთის ტერიტორიებზე და რუსეთის გაზს ევროკავშირის ქვეყნებს მიაწვდის. რუსული პროექტისთვის დაბრკოლებების შექმნის მიზნით ვაშინგტონი ძალისხმევას არ იშურებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მაკედონიაში გადატრიალების მოწყობის ამერიკული მცდელობა ჩაიშალა

**მაკედონიაში გააუვნებლეს ტერორისტული დაჯგუფება, რომლის ორგანიზატორები, სულ მცირე, რვა თვის განმავლობაში დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ. ამით აღიკვეთა ვაშინგტონის მიერ 17 მაისისთვის დაგეგმილი გადატრიალების მორიგი მცდელობა. გადატრიალების მიზანი ის იყო, რომ ქვეყანაში ქაოსს დაესადგურებინა და ევროკავშირის ქვეყნებამდე რუსული გაზსადენი ვერ გაეყვანათ.**




მაკედონიის პრემიერმინისტრმა **ნიკოლა გრუევსკიმ** ანტიტერორისტული ოპერაციის დასრულება გვამცნო.

მაკედონიის პოლიციამ 9 მაისის დილას დაიწყო იმ შეიარაღებული დაჯგუფების გაუვნებელყოფის ოპერაცია, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრა ტერორისტული თავდასხმის მიზნით.

ოპერაციის დაწყებამდე მშვიდობიანი მოსახლეობა ევაკუირებულ იქნა.

**მას შემდეგ, რაც ბოევიკებმა ცეცხლი გახსნეს, დაიწყო ორმხრივი სროლა, რომლის შედეგადაც 14 ტერორისტი და სამართალდამცავი ორგანოების 8 წარმომადგენელი დაიღუპა, მრავალი დაიჭრა, 30 ადამიანი კი ტყვედ ჩავარდა.**

მაკედონიის პოლიცია კარგად იყო ინფორმირებული ამ ოპერაციას დაიწყებამდე. შინაგან საქმეთა მინისტრის — ივო კოტევსკის თქმით, 17 მაისისთვის (სკოპიეში ალბანელი მოსახლეობის მანიფესტაციის დროს) ტერორისტები ფართომასშტაბიანი ოპერაციისათვის ემზადებოდნენ.

დადგინდა, რომ ყველა ბოევიკი UCK-ს (კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის) წევრი იყო. მათ შორის იყვნენ:

**სამი უკშინი**, იგივე „მეთაური შევარდენი“, რომლის ოჯახმაც ისტორიული როლი შეასრულა UCK-ში.

**რიჯაი ბეი**, რამუშ ხარდინაჯას (ნარკომოვაჭრე, UCK-ის სამხედრო წინამძღოლი, შემდომში კი კოსოვოს პრემიერმინისტრი. იგი ორჯერ გაასამართლა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ სამხედრო დანაშაულებისათვის, მაგრამ გაამართლეს, რადგან 9 მთავარი მოწმე სასამართლო პროცესის მსვლელობისას იქნა განადგურებული) ყოფილი პირადი მცველი.

**დემ შეხუ**, ალბანური პარტია BDI-ს დამკფუძნებლისა და მოქმედი ხელმძღვანელის — ალი ახმეტის პირადი მცველი.

**მირსად ნდრესაჯი**, იგივე „ნატოს მეთაური“, UCK-ის 132-ე ბრიგადის მეთაურის — მალიკ ჰდრესაჯის შვილიშვილი.

**ამ ოპერაციის ხელმძღვანელები და მათ შორის ფადილ ფეჯზულახუც (დაიღუპა ოპერაციისას) სკოპიეში აშშ-ის ელჩთან — პოლ უოჰლერსთან დაახლოებული პირები იყვნენ.**

პოლ უოხლერსი გახლავთ ამერიკელი დიპლომატის — ლესტერ უოხლერსის შვილი, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლურ პროპაგანდაში და კინემატოგრაფიის საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელობდა. თავად პოლ უოხლერსი, სამხედრო საჰაერო ძალების ყოფილი მფრინავი, კონტრდაზვერვის სპეციალისტია. იგი გახლდათ სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრის (დიპლომატების დაცვისა და მათი თვალთვალის სამსახური) დირექტორის მოადგილე.

**მიუხედავად იმისა, რომ მაკედონია ნატოს წევრი არ არის, იენ სტოლტენბერგი კუმანოვოს ოპერაციას თვალს ადევნებდა.**

**იმისათვის, რომ დამკვეთებზე რაიმე ეჭვი არ დარჩენილიყო, ნატოს გენერალური მდივანი შტურმის დამთავრებამდე გამოვიდა მიმართვით, არა იმისათვის, რომ განეკითხა ტერორიზმი და მხარდაჭერა გამოეხატა მაკედონიის კანონიერი ხელისუფლებისათვის, არამედ იმისათვის, რომ ტერორისტული დაჯგუფება კანონიერ ეთნიკურ ოპოზიციად წარმოედგინა.**

სტრომიცას ყოფილ გუბერნატორს — ზორან ზაევს ბრალი დასდეს სავაჭრო ცენტრის მშენებლობის მფარველობაში და კორუფციის გამო დააკავეს. პროტესტის ნიშნად მისმა პარტიამ პარლამენტი დატოვა. საბოლოო ჯამში იგი შეიწყალა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრანკო გრვენკოვსკიმ, რომელიც იმ პერიოდში მის პარტიას ედგა სათავეში. 2013 წლის ივნისში კი იგი SDSM-ის თავმჯდომარედ აირჩიეს.

## იმისათვის, რომ დამკვეთებზე რაიმე ეჭვი არ დარჩენილიყო, ნატოს გენერალური მდივანი შტურმის დამთავრებამდე გამოვიდა მიმართვით, არა იმისათვის, რომ განეკითხა ტერორიზმი და მხარდაჭერა გამოეხატა მაკედონიის კანონიერი ხელისუფლებისათვის, არამედ ტერორისტული დაჯგუფება კანონიერ ეთნიკურ ოპოზიციად რომ წარმოედგინა

2015 წლის იანვარში მაკედონიაში აღკვეთილ იქნა სოციალ-დემოკრატი ზორან ზაევის სასარგებლოდ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. ოთხი ადამიანი დააკავეს, ზაევს პასპორტი ჩამოართვეს, დასავლურმა პრესამ კი „ავტორიტარული რეჟიმისადმი მიდრეკილების“ გაკიცხვა დაიწყო.

ზაევს სახალხოდ დაუჭირეს მხარი აშშ-ის, ბრიტანეთის, გერმანიისა და ნიდერლანდების ელჩებმა, მაგრამ დღეისათვის სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ყველა კვალი აშშ-ისკენ მიდის.

17 მაისს ზაევის სოციალ-დემოკრატიული პარტია SDSM-ს მანიფესტაცია უნდა მოეწყო. საჭირო იყო 2000 ნიღბის დარიგება, რათა პოლიციელებს მანიფესტანტებს შორის ტერორისტები ვერ ამოეცნო. მანიფესტაციის დროს ნიღბებქვეშ დამალული შეიარაღებული ფორმირება თავს დაესხმოდა სხვადასხვა დაწესებულებას და დაიწყებდა ფსევდორევოლუციას.

**სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელი მილ მაშევიჩი ჯორჯ სოროსის ფონდის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების ყოფილი თანამშრომელია.**

იმის გასაგებად, თუ რისთვის დასჭირდა ვაშინგტონს მაკედონიაში ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლა, უნდა გავიხსენოთ გაზსადენებისთვის ომი. მსოფლიო პოლიტიკა არის დიდი საჭადრაკო დაფა, რომელზეც ნებისმიერი ფიგურის სვლა სხვა ყველა ფიგურაზეც ახდენს გავლენას.

**გაზსადენი „თურქეთის ნაკადი“ გაივლის თურქეთის, საბერძნეთის, მაკედონიისა და სერბეთის ტერიტორიებზე და რუსეთის გაზს ევროკავშირის ქვეყნებს მიაწვდის. რუსული პროექტისთვის დაბრკოლებების შექმნის მიზნით ვაშინგტონი ძალისხმევას არ იშურებს**: თურქეთში მხარს უჭერს სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას პრეზიდენტ ერდოღანის საწინააღმდეგოდ; საბერძნეთში 8 მაისს მან გაგზავნა ენერგეტიკული რესურსების ბიუროს დირექტორი ამოს ხოშსტეინი, რათა ხელისუფლებისგან გაზპრომთან შეთანხმებაზე უარის თქმა მოეთხოვა; სერბეთში აამოქმედა ტერიტორიის ნაწილების კონცესიის გეგმა, რომელიც უნგრეთისთვის ვოევოდინის გადაცემის საშუალებას იძლევა.

თურქული ნაკადი უნგრეთსა და ავსტრიას გაივლის და ბოლოს მოუღებს აშშ-ის ალტერნატიულ გეგმას ევროპისთვის ირანული გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით.

warandpeace.ru




## ევროკავშირმა 7 ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო

**ევროკავშირმა 7 ქვეყანასთან უვიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. ცერემონიაზე, რომელიც ბრიუსელში გაიმართა, ვიზალიბერალიზაცია სენტ ლუსიამ, დომინიკის თანამეგობრობამ, გრენადამ, სენტ ვინსენტმა და გრენადინმა, ვანუატუმ, სამოამ, ტრინიდადმა და ტობაგომ მიიღეს.** ახალი სავიზო რეჟიმით ამ ქვეყნების მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებში, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები აღნიშნულ ქვეყნებში 180-დღიან პერიოდში 90 დღით დარჩენას შეძლებენ. უვიზო მიმოსვლისათვის ევროკავშირისა და ხელმომწერი ქვეყნების მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ჩვეულებრივი, დიპლომატის, ოფიციალური პირის ან სპეციალური პასპორტი.



## ერაყი რამადის იერიშისთვის ემზადება

**ირანული სააგენტოს ცნობით, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ აღებული ქალაქ რამადის გათავისუფლებაში 80 ათასზე მეტი ერაყელი მოხალისე მიიღებს მონაწილეობას.** სამხედრო ოპერაციაში ერაყის სამთავრობო ჯარები და პოლიციაც მონაწილეობს. გარდა ამისა, სახმელეთო ოპერაციას მხარდაჭერას აღმოუჩენს ანტიისლამისტური კოალიციის საბრძოლო ავიაცია. შეგახსენებთ, რომ მაისში ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებს მიაღწია — შეავიწროვა სირიისა და ერაყის სამთავრობო ჯარები და სირია-ერაყის საზღვარზე სრული კონტროლი დაამყარა. ტერორისტულმა დაჯგუფებამ სირიაში ქალაქი პალმირა აიღო, ხოლო ერაყში ყველაზე დიდი პროვინციის — ანბარის დედაქალაქი რამადი დაიკავა და 500-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე სიკვდილით დასაჯა.



მოკლედ



## ნიკოლა სარკოზის პარტიას რესპუბლიკელები დაერქმევა

**საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ თავის პარტიას სახელი შეუცვალა. პარტიას კავშირი სახალხო მოძრაობა ამიერიდან რესპუბლიკელები ერქმევა.**

აღნიშნულ ინიციატივას საფრანგეთის მთავარი ოპოზიციური პარტიის წევრების 83 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფრანგეთში დებატები მოჰყვა. კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ყველა ფრანგი რესპუბლიკელია და სარკოზის პარტიისთვის ამ სახელის დარქმევა არასწორია. ამასთან, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, თითქმის 70 პროცენტი ფიქრობს, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს უფლება, დაირქვას რესპუბლიკელი.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ადამიანთა უფლებების ის თემები, რომლებზეც დღეს მიანიშნეს გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა, ასახავს საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციებისა და სტანდარტების მრავალრიცხოვან დარღვევას, რომლის ფესვები გადგმულია აშშ-ის სისტემურ რასისტულ პოლიტიკაში“.




# საყოფაცხოვრებო რასიზმი და პოლიციის თვითნებობა — სადამდე მივიდა ამერიკა

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-მა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოზე წარადგინა თავისი მეორე უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა, რომელიც ქვეყანაში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მდგომარეობას ასახავს. დოკუმენტმა კრიტიკა დაიმსახურა.**



კერძოდ, უკმაყოფილება გამოიწვია აშშ-ში სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის არარსებობამ, გუანტანამოს ჯერ კიდევ დაუხურავმა ციხემ; ვაშინგტონის უარმა, შეერთებოდა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას; პატიმრებთან და მიგრანტებთან ცუდმა მოპყრობამ; ასევე, ქვეყნის ძირძველი მოსახლეობის აზრის გათვალისწინებაზე უარის თქმამ.

რასობრივი სიძულვილის საფუძველზე ბალტიმორში, კლივლენდში, ფერგიუსონში, სტატენ-აილენდში, ჩიკაგოში, სამხრეთ კაროლინაში, ვაშინგტონში, ოკლენდში, ნიუ იორკსა და ატლანტაში მომხდარმა მკვლელობებმა ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. **პოლიციელთა აღვირახსნილობა საყოფაცხოვრებო რასიზმთან ერთად ამერიკაში №1 პრობლემად რჩება.** პოლიციის მხრიდან ძალის არაპროპორციულად გამოყენება, რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენა და რასობრივ საფუძველზე დანაშაულთა მატება, ასევე, მაქსიმალური უკმაყოფილების საბაბი გახდა გაეროს წევრი ქვეყნების მხრიდან.

მთელმა რიგმა ქვეყნებმა პირდაპირ შესთავაზეს აშშ-ს, განიხილოს და აღმოფხვრას მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ტრაგიკული მოვლენები ფერგიუსონსა და ბალტიმორში.

**აშშ-ის სამართლებრივი სისტემა რეფორმასა და განახლებას საჭიროებს, რათა ქვეყანამ შეძლოს, ბოლოს და ბოლოს, შეწყვიტოს იმ ჭეშმარიტების უარყოფა, რომ ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, როგორიც რასიზმია. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევს არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანობა გაუხსნელი საქმეებისთვის“ ერთ-ერთი დამაარსებელი ჯენის მაკდონალდი.**

„ადამიანთა უფლებების ის თემები, რომლებზეც დღეს მიანიშნეს გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა, ასახავს საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციებისა და სტანდარტების მრავალრიცხოვან დარღვევას, რომლის ფესვები გადგმულია აშშ-ის სისტემურ რასისტულ პოლიტიკაში“, — დასძინა მან.

რით და როგორ გასცემს პასუხს აშშ ამგვარ ბრალდებებს, დრო აჩვენებს. მაგრამ ახლა უკვე გასაგებია, რომ აშშ-ის შიგა პოლიტიკამ საკუთარი თავი ამოწურა. პოლიციური თვითნებობის დაუსჯელობა სულ უფრო მეტად ითრევს ქვეყანას მასობრივი მღელვარებების მორევში და ქაოსში.

**ანგარიშის განხილვისას გაეროს საბჭოს წევრებმა აშშ-ს შეახსენეს, რომ იმ რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომელიც აშშ-ს მისცეს 2010 წელს პირველი მოხსენების განხილვისას, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.**

აშშ-ის მიმართ პრეტენზიების სია ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში საკმაოდ გრძელი აღმოჩნდა, თუმცა ამერიკული დელეგაცია მზად იყო კრიტიკისთვის. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოში აშშ-ის ელჩმა კეიტ ჰარპერმა განაცხადა:

„ჩვენ ვთვლით, რომ ნებისმიერი ხალხისთვის სასარგებლოა სარკეში საკუთარი თავის დანახვა. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს პრობლემა, ადამიანის უფლებათა საბჭოში წარსადგენი პერიოდული ანგარიშისათვის სერიოზული მზადება პრობლემების გადაჭრის საქმეში წინ წაწევის საშუალებას იძლევა“.

**პოლიციელთა აღვირახსნილობა საყოფაცხოვრებო რასიზმთან ერთად ამერიკაში №1 პრობლემად რჩება**




საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცათ მსოფლიოს ათობით ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლებს, მათ შორის მათაც, ვისაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რეგულარულად ადანაშაულებს დემოკრატიული უფლებების დარღვევაში. აქტიურად გამოდიოდნენ ჩინეთი, ყაზახეთი, ჩადი და სხვ. რუსულმა მხარემ წარმოადგინა 9 პუნქტისგან შემდგარი კრიტიკული სია:

„მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ნამდვილად არასაკმარისი ყურადღება გამოიჩინა იმ რეკომენდაციების მიმართ, რომლებიც წინა მიმოხილვითი ანგარიშის მოსმენის შემდეგ მისცეს. ასევე კონსტატირებას ვახდენთ, რომ უკანასკნელ წლებში ადამიანების უფლებებთან დაკავშირებით მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა. აშშ-ის ხელისუფლებისთვის აუცილებელია, მიიღოს სასწრაფო ზომები შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად“.

სხვა ყველაფერთან ერთად, რუსეთმა აშშ-ს რეკომენდაცია მისცა, შეწყვიტოს უცხოელების გაუსამართლებლად ხოცვა უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით და გამოიძიოს ნაშვილებ ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის ყველა შემთხვევა. ამერიკელებმა ორივე თემა უკომენტაროდ დატოვეს. სამაგიეროდ, აშშ-ის ხელისუფლება მომზადებული აღმოჩნდა პოლიციელთა თავნებობასთან დაკავშირებული პრეტენზიების მიმართ, რომელთაც ამ განხილვისას თავს ნამდვილად ვერ აარიდებდნენ უკანასკნელი მოვლენების გათვალისწინებით. უკანასკნელი თვეების მანძილზე სამართალდამცავთა ქმედებები მთელ რიგ შტატებში შავკანიანი ამერიკელების სიკვდილის მიზეზი გახდა. აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა ჯეიმს კადოგანმა განაცხადა, რომ ამერიკა თანმიმდევრულად იბრძვის პოლიციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

„ბოლო ექვსი თვის მანძილზე ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა სამართალდამცავი ორგანოების 400 წარმომადგენელი. როდესაც თავს იჩენს სისტემური პრობლემები, იუსტიციის სამინისტრო იძიებს და ცვლილებები შეაქვს არსებულ პრაქტიკაში. მიმდინარე წლის მარტში ჩვენ გამოვაქვეყნეთ ანგარიში, რომელშიც საუბარია მისურის შტატში, ფერგიუსონში პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციულ მიდგომაზე“.

**არცთუ მცირე კრიტიკა გამოიწვია სიკვდილით დასჯის გამოყენებამ. „ამნისტი ინტერნეიშენელის“ მონაცემების თანახმად, ამ მაჩვენებლის მიხედვით, აშშ მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა ჩინეთის, ირანის, საუდის არაბეთისა და ერაყის შემდეგ.** იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა დევიდ ბიტკოვერმა თავის გასამართლებლად მოიშველია დადებითი სტატისტიკა: სისრულეში მოყვანილი სასიკვდილო განაჩენების რაოდენობამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რეკორდული მინიმუმი შეადგინა.

„ჩვენი პირველი მიმოხილვითი ანგარიშის შემდეგ სიკვდილით დასჯა გაუქმდა სამ შტატში. და მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის ეს ზომა ჯერ კიდევ მოქმედებს 33 შტატში და დაიშვება ფედერალური ხელისუფლების მიერ, შარშან სიკვდილმისჯილების განაჩენი სისრულეში მოიყვანა მხოლოდ შვიდმა შტატმა. სულ სისრულეში მოყვანილ იქნა 35 სასიკვდილო განაჩენი.

გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე არსებული ციხე ისევ უფლებადამცველების ყურადღების ცენტრშია. ბარაკ ობამამ ჯერ კიდევ პირველი საპრეზიდენტო კამპანიისას დადო პირობა, რომ დახურავდა ამ ციხეს, თეთრ სახლში გადასახლების შემდეგ კი ხელი მოაწერა შესაბამის განკარგულებას. პრაქტიკულად ამის გაკეთება არც ისე იოლი აღმოჩნდა — არ არსებობს ადგილი, სადაც გუანტანამოს პატიმრებს გადაიყვანენ. მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მათი რაოდენობის მხოლოდ განახევრება მოხერხდა. ახლა გუანტანამოს ციხეში 122 პატიმარი ჰყავთ. წამებასთან დაკავშირებითაც ამჟამინდელი ადმინისტრაცია საერთაშორისო საზოგადოების მხარეს იჭერს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მერი მაკლაუდმა განაცხადა:

**„ჩვენ ზღვარს გადავედით, საკუთარი ფასეულობების საწინააღმდეგოდ ვმოქმედებდით და საკუთარ თავზე ვიღებთ ამის გამო პასუხისმგებლობას. უკვე მივიღეთ ზომები, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთგულებას იმ პრინციპისადმი, რომლის თანახმადაც წამების აკრძალვა ყველა ქვეყანას ეხება და გარემოებებზე არაა დამოკიდებული“.**

მიუხედავად ამისა, უფლებადამცველები ითხოვენ, პასუხისგებაში მიეცნენ ისინი, ვინც ამერიკული კანონების დარღვევით წამების ბრძანებებს გასცემდა. მაგრამ ამაზე ადმინისტრაცია ვერ თანხმდება. ვერ გადაწყდა ვერც საკვანძო საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიცირების საკითხი. როგორც აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ეს დამოკიდებულია ქვეყნის ხელისუფლების საკანონმდებლო შტოზე.

cont.ws. Радио ООН

მსოფლიო

## ბილ გეითსი: ინფექციური დაავადებები კაცობრიობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს



ბილ გეითსი, რომელმაც „მაიკროსოფტის“ უფროსის პოსტი დატოვა და საქველმოქმედო და კვლევით პროექტებს ახორციელებს, პრესასთან გლობალურ საფრთხეებზე ალაპარაკდა. გეითსის აზრით, კაცობრიობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ინფექციური დაავადებები, რომლებსაც შეუძლია, დედამიწის მოსახლეობა საოცარი სისწრაფით შეამციროს. ამ საკითხის შესასწავლად გეითსმა შექმნა სპეციალური კვლევითი ჯგუფი, რომელმაც შესაძლო ინფექციური კატასტროფის მოდელირება მოახდინა. თუ მოვლენები არასახარბიელოდ განვითარდა, პროგნოზის მიხედვით, პირველი ასი დღის განმავლობაში ვირუსი 770 000 ადამიანს იმსხვერპლებს, 250 დღეში კი მსხვერპლი 33 მილიონ მოსახლემდე გაიზრდება. სამაგიეროდ, ატომური ომის შანსი გეითსმა მინიმალურად შეაფასა და დასძინა, რომ, მინიმუმ, უახლოეს ათწლეულში მსგავსი რამ არ მოხდება.


Turnham Primary Foundation School
Home-School Agreement

Pupils will:
■ Follow the Golden Rules to ensure the safety of themselves, other children and adults
■ Be truthf... and honest and respect other child...
■ Be tolerant of others whatever their race, colour, gender, class, ability, physical challenge, faith, sexual orientation or lifestyle and refrain from using racist or homophobic or transphobic language in school.

იმ „ვალდებულებების“ სიაში, რომლისთვისაც სამი წლის ბავშვებს უნდა მოეწერათ ხელი, შედის პარაგრაფი, რომლის თანახმადაც აღსაზრდელები ტოლერანტულები უნდა იყვნენ „სხვა ადამიანების სექსუალური ორიენტაციისა და ცხოვრების წესის მიმართ და თავი შეიკავონ რასისტული, ჰომოფობიური და ტრანსფობიური გამონათქვამებისგან დაწესებულებაში“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საბავშვო ბაღმა სამი წლის ბავშვებს მოსთხოვა, არ გამოიყენონ «ტრანსფობიური ენა»

**ტურნჰემის (ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთი რაიონი) საბავშვო ბაღმა ახალი ნაკადის სამი წლის აღსაზრდელებისგან მოითხოვა, ხელი მოეწერათ შეთანხმებისთვის, რომელიც შეიცავს ვალდებულებას, არ დაუშვან ტრანსფობიური გამონათქვამები.**



**ლონდონის ორ ქრისტიანულ სკოლაში, მშობლების საჩივრების თანახმად, ბავშვებს «შეუფერებელ» კითხვებს უსვამდნენ რასისა და სექსუალობის თაობაზე და, «არასწორი» პასუხების შემთხვევაში, შეუწყნარებლობაში ადანაშაულებდნენ**

**იმისათვის, რომ საბავშვო ბაღში მიიღონ, ბავშვი ვალდებულია, პირობა დადოს, რომ თავს შეიკავებს ჰომოფობიური და რასისტული გამონათქვამებისგან და შემწყნარებელი იქნება სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციებისა და სხვა ადამიანთა ცხოვრების წესის მიმართ.** ყველა ბავშვმა თავისი სახელი უნდა დაწეროს ბეჭდვითი ასოებით, რათა ამგვარად დაადასტუროს, რომ ესმის „პასუხისმგებლობა“, რომელიც დაწესებულებაში მიღებას უკავშირდება.

საბავშვო ბაღის დირექტორმა **სელინა შარპმა** შეთანხმების ტექსტი გაუგზავნა ყველას, ვინც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში განაცხადი შეიტანა. შეთანხმებას ხელი უნდა მოეწეროს სასწავლო წლის დაწყებამდე.

ტუნჰემის საბავშვო ბაღსა და ახალი აღსაზრდელის სახლს შორის შეთანხმების ტექსტში წითელი ფერით გამოყოფილ პუნქტში აღნიშნულია, რომ ბავშვი ვალდებულებას იღებს, „იყოს ტოლერანტული სხვების მიმართ, მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, სქესისა, სოციალური წარმომავლობისა, შესაძლებლობებისა, ფიზიკური ნაკლოვანებებისა, აღმსარებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა და ცხოვრების სტილისა; თავი უნდა შეიკავოს რასისტული, ჰომოფობიური ან ტრანსფობიური გამონათქვამებისგან საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე.

გასაგებია, რომ ამგვარი ქმედებისას საბავშვო ბაღის აღმზრდელები ხელმძღვანელობდნენ სურვილით, ბოლო მოუღონ ტრანსექსუალების, სხვადასხვა ნაკლოვანების მქონე ადამიანებისა და სხვადასხვა კულტურის წარმოადგენელთა მიმართ წინასწარ ავად განწყობას, მაგრამ პასუხად მათ მშობლების აღშფოთების ტალღა დაიმსახურეს. მშობლები ამბობენ, რომ მათი შვილები არ არიან ვალდებულნი, სამი წლის ასაკში ესონდენ რთული საკითხები ესმოდეთ.

დოკუმენტი მიიღო ყველა მშობელმა, რომლებსაც სურდათ, რომ სექტემბრიდან ბავშვი ტუნჰემის საბავშვო ბაღში მიეყვანა. ხელშეკრულების თანდართულ ტექსტში იყო შემდეგი სტრიქონები:

„ჩვენ მივიჩნევთ, რომ ნებისმიერ ბავშვს შეუძლია და ვალდებულია, გამოამჟღავნოს თავისი პოტენციალი სრულად. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება, თუ ჩვენი თანამშრომლები, მშობლები და ბავშვები გააცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას და ერთობლივად ისწრაფიან ერთი და იმავე მიზნისაკენ, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ხელშეკრულებაში სკოლასა და სახლს შორის“.

**იმ „ვალდებულებების“ სიაში, რომლისთვისაც სამი წლის ბავშვებს უნდა მოეწერათ ხელი, შედის პარაგრაფი, რომლის თანახმადაც აღსაზრდელები ტოლერანტულები უნდა იყვნენ „სხვა ადამიანების სექსუალური ორიენტაციისა და ცხოვრების წესის მიმართ და თავი შეიკავონ რასისტული, ჰომოფობიური და ტრანსფობიური გამონათქვამებისგან დაწესებულებაში“.**

მაგრამ შეთანხმებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა მოხდება ამ წესების დარღვევის შემთხვევაში.

ერთ-ერთმა დედამ განაცხადა: „ჩემი ბიჭი სამი წლისაა, მისგან კი მოითხოვენ, არ დაუშვას ტრანსფობიური გამონათქვამები. როგორ ავუხსნა ჩემი სამი წლის ბავშვს, რომ ხელი უნდა მოაწეროს მოთხოვნებს, არ გააკეთოს რაღაც, როდესაც მან ჯერ ფერადი ფანქრების გამოყენებაც კი არ იცის რიგიანად? თავზარდაცემული ვარ იმის გამო, თუ რამდენად ბიუროკრატიულია ეს საბავშვო ბაღი“.

საბოლოოდ საბავშვო ბაღმა მშობლებსა და ბავშვებს ბოდიში მოუხადა უადგილო მოთხოვნების გამო.

ტუნჰემის საბავშვო ბაღს ხელისუფლება აფინანსებს, მაგრამ სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე პასუხისმგებელ ჩინოვნიკებს ამ სკანდალზე საუბარი სულაც არ ეხალისებათ. მათგან ერთ-ერთი, რობერტ მარი, აცხადებს, რომ აღსაზრდელის სახლსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის „ფორმატის შეცვლის“ თაობაზე საქმის კურსში არ იყო. მისი განცხადებით, მის შარპი დროებით დირექტორად დაინიშნა ყუნჰეიმში. „მინდა, გულწრფელად მოვიხადო ბოდიში საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობის სახელით“, — დასძინა მან.

ტოლერანტული აღზრდის აუცილებლობის გაგების პრობლემა გამწვავდა შარშან, ბირმინგემში განვითარებული მოვლენების შემდეგ. მაშინ რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფებებმა სცადეს, საკუთარი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იმ სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებშიც მუსლიანი ბავშვები დადიან.

მაგრამ მას შემდეგ ბრიტანეთის მრავალ სკოლაში მდგომარეობა საპირისპირო მიმართულებით გადაიხარა. ლონდონის ორ ქრისტიანულ სკოლაში, მშობლების საჩივრების თანახმად, ბავშვებს „შეუფერებელ“ კითხვებს უსვამდნენ რასისა და სექსუალობის თაობაზე და, „არასწორი“ პასუხების შემთხვევაში, შეუწყნარებლობაში ადანაშაულებდნენ.

ერთი ათი წლის გოგონა შემმოწმებელმა ინსპექტორებმა ისტერიკამდეც კი მიიყვანეს შეკითხვებით იმის თაობაზე, „ხომ არ გრძნობს თავს სხვის სხეულში გამომწყვდეულად“...

MixedNews

# ნავთობზე დაგეშილი აშშ-ის გემები

**ბოლო პერიოდში თეთრი სახლი დიდ ყურადღებას უთმობს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში განლაგებული ქვეყნების ტერიტორიების პრობლემებს. ამჯერად პენტაგონი იმუქრება, რომ სამხრეთ ჩინეთის ზღვაში შერეკავს მთელ ფლოტს ავიამზიდებით, სარაკეტო კრეისერებითა და სუბმარინებით. მიზეზი? — სპარტლის ციცქნა სადავო კუნძულები, რომელთა ნაწილის საკუთრებად გამოცხადებაც სურს ჩინეთს და უკვე აქტიურადაა დაკავებული ამ პრობლემის მოგვარებით. აშშ პეკინს მოუწოდებს, შეწყვიტოს საზღვაო საზღვრების გაფართოება, მაგრამ ჩინეთი შეახსენებს, რომ ეს მისი ძირძველი ტერიტორიაა.**



ერთი შეხედვით ეს პატარა კუნძულები ტურისტებისთვის ნამდვილი სამოთხეა. პლაჟებზე თეთრი ქვიშაა, ამ ქვიშაზე თამაშ-თამაშით გადარბიან ლაჟვარდოვანი ტალღები, სანაპიროზე მდგომთ კი სახეზე ზღვის მსუბუქი ნიავი ელამუნებათ.

მაგრამ ტურისტების ნაცვლად იქ სამხედროები ცხოვრობენ. ეს ხელოვნური კუნძულებია. პეკინი რიფებზე უზარმაზარ ქვიშის მასებს აფენს, რათა არქიპელაგის კუნძულების რაოდენობა გაზარდოს. საერთო ფართობი ახლა 5 კვადრატულ კილომეტრზე ნაკლებია. მიუხედავად ამისა, სპრატლიზე პრეტენზიებს გამოთქვამს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ლამის ყველა ქვეყანა: ვიეტნამი, ბრუნეი, მალაიზია და ფილიპინები.

ვაშინგტონსაც ანერვიულებს ჩინეთის მიერ ახალი მიწის შექმნის მცდელობა. შტატები შიშობენ, რომ ხელოვნური კუნძულები ჩინეთს დაეხმარება უფრო განვითარებული სათვალთვალო სისტემების დამონტაჟებაში და ჩინეთის ფლოტის გადაიარაღების ადგილებად იქცევიან. აშშ-მა განაცხადა, რომ არ აღიარებს ხელოვნურ კუნძულებს ჩინეთის სუვერენულ მიწად. ხოლო როდესაც გაირკვა, რომ შესაძლოა, იქ ნავთობიც იყოს, ამერიკელებმა საერთოდ დაკარგეს მოსვენება.

მდგომარეობა იძაბება. **დიალოგის ადეკვატურად წარმოება, ძალისა და იარაღის დემონსტრირების გარეშე, თეთრ სახლს, როგორც ჩანს, აღარ შეუძლია. პენტაგონი მთელი სერიოზულობით სთავაზობს თეთრ სახლს ჩინეთის მიერ სადავო წყლებში გაშენებული ხელოვნური კუნძულებისკენ თვითმფრინავებისა და გემების გაგზავნას.**

აღსანიშნავია, რომ პენტაგონის გეგმების შესახებ ცნობილი გახდა არა ოფიციალური პირების, არამედ ავტორიტეტული უცხოური გამოცემისგან.

„აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა თავის თანაშემწეებს სთხოვა, გააანალიზონ ვარიანტები, მათ შორის კუნძულების თავზე სამხედრო საჰაერო ძალების თვითმფრინავების ფრენები, დააკვირდნენ და გაგზავნონ შშ-ის საბრძოლო გემები „რიფების“ 12 მილის მომცველ ზონაში, რომელიც შექმნა ჩინეთმა და შემდგომ საკუთარ ტერიტორიად გამოაცხადა სპრატლის კუნძულების სახელით ცნობილ რაიონში. თეთრი სახლის მიერ გამართლების შემთხვევაში, ეს ქმედებები პეკინისთვის იქცევა სიგნალად, რომ აშშ არ ეთანხმება ჩინეთის მოთხოვნებს და კუნძულებს განიხილავს საერთაშორისო წყლებისა და საერთაშორისო საჰაერო სივრცის სახით“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.

ამრიგად, აშშ ჯერჯერობით მხოლოდ ნიადაგს სინჯავს და აკვირდება, თუ რა რეაქცია ექნება პეკინს გაბრაზების შემთხვევაში.

პეკინს რეაქცია არ დაუყოვნებია. აშშ-ს ნათლად და გასაგებად აუხსნა: წაიყვანეთ თქვენი ფლოტი ჩვენი საზღვრებიდან შორს, საკუთარი აზრი კი თქვენთვის შეინახეთ, არ გირჩევთ „ხმლით“ ჩარევას სამხრეთ ჩინურ ზღვაში.

საინტერესო დეტალი: სპრატლის კუნძულებზე, როგორც კვლევებმა აჩვენა, ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგებია. ეს ფაქტი ცეცხლზე ნავთს ასხამს. მით უფრო, რომ ყველამ მშვენივრად ვიცით, თუ როგორ უყვართ ამერიკელებს ნახშირწყალბადები.

სავარაუდოდ, რეალურ დაპირისპირებამდე საქმე არ მივა, ყოველ შემთხვევაში — ამჯერად. თეთრი სახლისთვის ახლა უბრალოდ წამგებიანია პეკინთან ურთიერთობის გართულება. ამას მრავალი მიზეზი აქვს, პირველ რიგში — ეკონომიკური; ამიტომ **აშშ-ს მოუწევს, ენას კბილი დააჭიროს, საკუთარი სამხედროები კი ყაზარმებში დატოვოს. შეტაკება არ მოხდება. ყველას მშვენივრად ესმის, რომ ამ შეტაკებას წარმოუდგენელი შედეგები მოჰყვება.**

შესაძლოა, ამერიკელებს ამგვარი მუქარისკენ იმან უბიძგა, რომ ჩინეთის გემები რუსეთის გემებთან ერთად ატარებდა სამხედრო წვრთნებს ხმელთაშუა ზღვაში. და რუსეთ-ჩინეთის ძალის დემონსტრირების საპასუხოდ აშშ-მა, შესაძლოა, თავადაც აჩვენოს საკუთარი ძალები.

თუმცა ვაშინგტონში ბევრს ძალიანაც აძლევს ხელს ახალი ალიაქოთი, შეიძლება ზღვაზეც — ჟანრის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად: აფეთქებებით, ნაპერწკლებითა და სხვა სპეცეფექტებით; ცხადია, როგორც ყოველთვის, „სამართლიანობისა და დემოკრატიის აღდგენის“ მიზნით.

cont.ws

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინ იფიქრებდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, რომ სამშობლოს მტრებისა და შარაგზის ყაჩაღების დასჯა გაუჭირდებოდათ ჩვენს რჩეულ „რაინდებს“, მაგრამ, როგორც კი ერთი შეუბღვირეს დამარცხებულთა ოკეანისგაღმელმა ძიებმა, მაშინვე ჩაისველეს.**

# ჩვენს ხელისუფლებას არ ეშინია ხალხის და ამიტომაც არ სცემს პატივს!

**პოლიტიკა ბინძური საქმეაო, — ამბობენ და სჯერა კიდეც ბევრს. არც გაემტყუნებათ, რადგან პოლიტიკაში, ძირითადად, მართლაც უზნეო და ხელმოცარული ადამიანები მიდიან და, აბა, მათგან რა სიკეთეს უნდა ველოდოთ?! ხედავს ამას ხალხი და სჯერა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.**

## ლაჩარი პოლიტიკოსები და მათი ბოროტი დამრიგებლები

თავისთავად პოლიტიკა ბინძური საქმე არ არის. მისი სიწმინდე იმაზეა დამოკიდებული, როგორი ხელებით კეთდება. ერთი დასახელების კერძი შეიძლება სასარგებლოც იყოს და სასიამოვნოც, მავნეც და უგემურიც, იმის მიხედვით, როგორია მზარეული. ასეა პოლიტიკაშიც: თუ კაცი თავისი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება და ხალხის სამართლიანი მოთხოვნების აღსრულებას თავდადებით ცდილობს, ბინძური საქმის მკეთებელი კი არა, ეროვნული გმირი გახდება უთუოდ; ხოლო ის, ვინც მოსყიდულია და სხვისი მიზნების განსახორციელებლად ირჯება სამშობლოს საზიანოდ, ბინძურიც არის და ცოდვის მორევში ყელამდე ჩაძირულიც. ამაში საბოლოოდ და მყარად დაგვარწმუნა „ნაცბანდის“ („ნაციონალური მოძრაობის“) ცხრაწლიანმა ბოგინმა და დიდი და პატარა დაგვრაზმა მისი უღლის გადასაგდებად. ბედად, წინამძღოლიც გამოგვიჩნდა და 2012 წლის 1 ოქტომბერს ტრიუმფით ავედით გამარჯვებულის კვარცხლბეკზე...

**ავედით ვითომ?!**

ავირჩიეთ **უზენაესი საბჭო,** ანუ პარლამენტი და ჩვენმა დეპუტატებმა გულზე მჯიღის ბრაგუნისა და „ჯოს-ჯოს“ ძახილის გარდა რომ არაფერი იცოდნენ, ამიტომ ყოფილმა თუ იმდროინდელმა ქურდებმა და ჯიბგირებმა ისე დაამხეს ქვეყანა თავზე, რომ იმ უბედურებს ისევ მიტინგზე ეგონათ თავი.

შემდეგ ავირჩიეთ **ხელისუფლება იმდროინდელი „მსოფლიო პოლიტიკოსის“** მეთაურობით და ჩვენ მიერ არჩეულ „პოლიტიკოსებს“, თავიანთი გამოხეული ნიფხვების დაკერების გარდა, არაფერი ახსოვდათ (დაიკერეს კიდეც).

**მესამედ ავირჩიეთ და... ჩვენიანები რომ გვეგონა, ეროვნულობის ტყავში გახვეული მამალი ანტიეროვნულები** აღმოჩნდნენ და თავიანთი უცხოელი ძიების დახმარებით ჩვენი ამოძირკვა მოინდომეს ჩვენსავე სამკვიდროდან.

მერე იყო ის, რაც უკვე ვთქვი: ჩვენი ძირფესვიანად ამომგდებლების ჯავრით აღვსილებმა, ახალდმოვლენილი „ბელადის“ დაძახილზე ერთბაშად ვიხუვლეთ, „ნაციონალების“ ანუ **ანტინაციონალი ხელისუფლება დავამხეთ და ქვეყნის ხელმძღვანელობა ვანდეთ პოლიტიკოსებს, რომლებიც... ქვეშაფსიები გამოდგნენ.**

როდის ნახეთ ჩასველებულებიო? — იკითხავს, ალბათ, ვინმე. როდის და როგორც კი სავარძლებში მოკალათდნენ და ქვეყნის მართვა სცადეს. მას შემდეგ სულ ჩასველებულები არიან. რატომ? საშარდე ბუშტის პრობლემა აქვთ თუ... არა, არა! შიშით იფსამენ, აი, ისე, კურდღლებს რომ ემართებათ მულტფილმ „ჩხიკვთა ქორწილში“.

შიში უბედურებაა, მით უფრო ცხოველური შიში. ცხოველური შიში რომელია და, აი, ის, ხმაური რომ შემოესმება ცხოველს და ისე გაიქცევა, რომ არ იცის, იმ ხმის გამომცემი საშიშია თუ არა მისთვის. მაგალითად, ლომი ბრდღვინვით რომ გამოენთება სავანაში, ცხოველები კისრიტეხით გარბიან, მათ შორის, ჟირაფებიც. არადა, ჟირაფს წინა ფეხის ჩარტყმით შეუძლია, სიცოცხლეს გამოასალმოს ცხოველთა მეფე, მაგრამ რად გინდა?! გარბის უბედური და მდევრის ლუკმა ხდება...

**ვინ იფიქრებდა 2012 წლის 1 ოქტომბერს, რომ სამშობლოს მტრებისა და შარაგზის ყაჩაღების დასჯა გაუჭირდებოდათ ჩვენს რჩეულ „რაინდებს“, მაგრამ, როგორც კი ერთი შეუბღვირეს დამარცხებულთა ოკეანისგაღმელმა ძიებმა, მაშინვე ჩაისველეს.**

მაინც როგორ შევარჩიეთ ამნაირი ქვეშაფსიები, ყველას ერთად როგორ მოგვივიდა იაღლიში? ბევრს ვფიქრობ ამაზე და ერთ დასკვნამდე მივდივარ: **ჩვენმა ოკეანისგაღმელმა „კეთილისმყოფელებმა“ მაგრად გვაჭამეს: რომ გვეგონა, — ჩვენს ხელისუფლებას ვირჩევთო, თურმე იმათ შეურჩევიათ თავიანთი ახალი „ძაღლიშვილები“.**

კარგი რეჟისორები კი ყოფილან ის ოხრები, უნდა ვაღიაროთ — სრულიად ერი გაგვაბითურეს!

პირველივე დღეებში გამოჩნდა, ვინც იყო ახალი ბელადი, მაგრამ მაშინ ვერ მივხვდით (ისე, რომც მივხვედრილიყავით, რაღას ვიზამდით?)

**ისე კი არ მოვექცევით დამარცხებულ „ნაცებს“, როგორსაც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრებაო,** — ბრძანა „ბელადმა“. ისე მოგვხიბლა და გაგვაბრუა ფრაზის ბოლომ, — „როგორც ჩვენ გვეკადრებაო“, რომ ამაყად თავაწეულებმა იმაზე აღარ ვიფიქრეთ, რა გვეკადრებოდა...

დამნაშავეს მისი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინე-



**პრემიერმინისტრის სახელზე ახლახან კოლექტიური წერილი გაგზავნა მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თხოვნით, — გაერკვიეთ განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების მიზეზებშიო, და პრემიერის კანცელარიამ ეს საჩივარი განსახილველად საჩივრის ადრესატს გაუგზავნა(?!)**

ბით უნდა მოექცე და არა პრინციპით — „ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდია“, როგორც ამას „ნაცბანდის“ ე.წ. სასამართლო აკეთებდა. კი, ნებისმიერ კაცს აქვს უფლება, მის მიმართ ჩადენილი დანაშაული მიუტევოს ან მისთვის გაწეული ამაგი არ დაუფასოს მავანს, მაგრამ არავის აქვს უფლება, ჩემს მტერსა და ამომგდებს ჩემ ნაცვლად შეუნდოს დანაშაული. **ჩვენმა არჩეულმა „პოლიტიკოსებმა“ კი დამარცხებული და გასასრესად განწირული ურჩხულის გადარჩენა, მოსულიერება და ფეხზე წამოდგომა დაისახეს მიზნად, თითქოს ქართველი ერის ოცნება მტრის გალაღება-გაპარპაშება იყო.**

**ჩვენმა „რჩეულებმა“, ალბათ, იფიქრეს, რომ რადგან ოკეანისგაღმელი ძიას რჩეულები არიან, ყველაფრის უფლება აქვთ და ჩვენ მაგივრად ფიქრიც მათი საქმეა. არც მალავენ ამ „ფიქრს“. აკი, პირდაპირ გვითხრა ერთწლიანმა „ბელადმა“, — ქართველი საზოგადოება მომწიფებული არ არის საიმისოდ, რომ ჩვენს გეგმებსა და ზრახვებს ჩასწვდესო.**

არადა, რა ძნელი ჩასაწვდომია მისი „ზრახვანი“, ნამეტანი სიბრძნისა და სიღრმის გამო...

**რადგან ქვეყანა გარედან (შორიდან) იმართება, სულაც არ არის საჭირო, აქაურ ფსევდოხელისუფლებას ან ჭკუა მოეთხოვებოდეს, ან ვაჟკაცობა. პირიქით, ეს თვისებები თუ არ ექნება, ის ურჩევნია უცხოელ „მოყვარეს“, რადგან ჭკვიანი და მამაცი კაცი გადამთიელის დაკრულზე არ იცეკვებს და არც მისი თითის დაქნევაზე გადაუბრუნდება შიშით გული, როგორც ეს ამ ჩვენს „რჩეულებს“ ემართებათ.**

ამ ჩვენს ქვეშაფსიებს ჭკუა არ მოეთხოვებათ, მაგრამ ნოდარ დუმბაძის პერსონაჟ ბეჟანასაგან განსხვავებით იციან, რომ ჭამა-სმა და ჩაცმა-დახურვაც უნდათ, ჯიპებით გრიალიც და სხვა რამეც. ეს ყველაფერი კი იმ ძიებზეა დამოკიდებული, რომლებმაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს. იციან ეს და იმ ძიების ყოველ დაცაცხანებაზე შიშით სული სძვრებათ. როდის მოხდა ეს? როდის და როდესაც აქედან გაქცეული სისხლის სამართლის დამნაშავენი უკრაინის მთავრობაში მაღალ პოსტებზე დანიშნეს და ჭკუის საკითხავ მრჩევლებად მიიწვიეს. ჩვენმა ხელისუფლებამ როგორღაც გაბედა და მიმართა (ალბათ, ჩვენ გასაგონად) უკრაინის ხელისუფლებას, გადმოგვეცით ეგ ჩვენი ძებნილებიო, მაგრამ — უკრაინა იმას დანიშნავს თანამდებობაზე, ვისაც მოისურვებს, ეგ თქვენი საქმე არ არისო, — უპასუხეს.

**თავმოყვარე მთავრობა დიპლომატიურ ურთიერთობას თუ არ გაწყვეტდა უკრაინასთან, არამეგობრულ მოქმედებად მაინც ჩაუთვლიდა ამ საქციელს. ესენი კი საერთო ძიას თითის დაქნევითანავე გაცუნცულდნენ კიევში და ფაშისტ ბანდერელებთან ერთად იზეიმეს სისხლიანი მაიდნის წლისთავი. ალბათ, ის ჩვენი ძებნილებიც იქ იდგნენ, უფრო საპატიო ადგილზე და ენას უყოფდნენ საქართველოს ხელისუფლების „ღირსეულ“ დელეგაციას.**

ასე იცის შიშმა!

არა მგონია, იმ ოკეანისგაღმელ ძიას ყურები დაეჭრა ჩვენი ხელისუფლებისთვის, თუ გაბედავდნენ და ეტყოდნენ: „ძიავ, ჩვენო მამავ და მარჩენალო, შენი სიტყვა კანონია, მაგრამ იმ ხალხმა აბუჩად აგვიგდო, კაცად არ ჩაგვთვალა და მის ზეიმზე ტაშისდამკვრელებად ვერ წავალთ“-ო. ის ძიები ამისათვის არ გლახავდნენ თავიანთი ძაღლიშვილებს, მაგრამ ქვეშაფსიებს ამის გამბედაობა ვინ მისცა!

ჰოდა, მიხვდნენ „დამარცხებული“ „ნაცები“, რა „გამარჯვებულებთანაც“ აქვთ საქმე და ამას წინათ საღი გონებისთვის გაუგებარი აქცია მოაწყვეს ლოზუნგით „ძირს უნიათო მთავრობა!“.

**უნიათოოოო, კაცო!**

არა და მართალია! **ხილის გადამამუშავებელ თუ წვენების ქარხნის გახსნას აშშ-ს კონგრესის გადაწყვეტილება ან სახელმწიფო დეპარტამენტის ნებართვა სჭირდება, ვითომ? ნატოს საწვრთნელი ბაზის აშენება რომ დაუჩემებით, რისთვისაც შეიძლება ცხვირპირი დაგვამტვრიონ, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოს გახსნის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ნატო? ანდა სკოლაში რა წლოვანების ბავშვები მივიღოთ, მაინცდამაინც აპატურაის უნდა ვკითხოთ?!**

ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით: ჩვენი ხელისუფლება ხალხს არ უსმენს, არ აინტერესებს ამომრჩევლების აზრი! იგი აინუნში არ აგდებს ხალხის გაჭირვებას! ფეხზე ჰკიდია ქართველთა ეროვნული ინტერესები! **ჩვენს ხელისუფლებას არ ეშინია თავისი ხალხის და ამიტომაც არ სცემს პატივს!**

ასე რამ გაამამაცა ეს ქვეშაფსიები, არ გიკვირთ? უცხოელმა ძიებმა და იმ ბოროტმა დამრიგებლებმა გაამამაცეს, რომლებიც ასე უხვად და უშურველად ურიგებენ რჩევა-დარიგებებსა და არმად ნაშოვნ ფულს ხან აქ, ხან იქ და ხანაც თავისთან როდესაც იბარებენ! იმ დარიგებებს ვინ დამასწრებდა, მაგრამ გონივრული ეჭვი მაქვს, დაახლოებით ასეთ რჩევებს მისცემდნენ:

**1. არ წაიკითხოთ ქართული პრესა;**

**2. ჩვენთან შეუთანხმებლად არ მოუსმინოთ თქვენი ქვეყნის მოქალაქეებს, არც უცხო ქვეყნისას;**

**3. არ გადათქვათ ჩვენთან შეთანხმებული არც ერთი ფრაზა, მაგალითად, ასეთი: „ჩვენ შევდივართ ნატოში!“, მაშინაც კი, როდესაც გეტყვით, რომ ნატოში თქვენი ადგილი არ არის.**

**4. თუ ვინმემ ჩვენი რომელიმე ძაღლიშვილი სისხლის სამართლის დანაშაულში ამხილა, იცოდეთ,** ▶

**1943 წლის 14 იანვარს პირველად დამჭრეს. მოვხვდი საველე ჰოსპიტალში და სწორედ მაშინ, 9 თვის შემდეგ, მივწერე ჩემს ოჯახს, რომ ვიბრძოდი სტალინგრადის დასაცავად. ჭრილობა მოშუშებული არ მქონდა, როდესაც ისევ ფრონტის წინა ხაზზე გამამწესეს... 1945 წლის 9 მაისს ბერლინში აღვნიშნე ფაშიზმზე გამარჯვება. სამჯერ დამჭრეს, მაგრამ მწყობრიდან გამოვიყვანე 59 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რომ ეს პოლიტიკურ დევნად უნდა ჩათვალოთ.

5. ნაცბანდის (როგორც ჩვენში უწოდებენ დემოკრატიის შუქურის ამბრდღვიალებელ „ნაციონალურ მოძრაობას“) ყველა ჩინიანსა და უჩინოს ყველაფრის უფლება აქვს.

6. ხელი შეუწყვეთ კახპების ტელევიზიებს, რომლებსაც დავალებული აქვთ (ჩვენგან) თქვენი ხალხის ზნეობის შეცვლა და სიბნელიდან სინათლეზე გამოყვანა.

7. ხელი არ შეუშალოთ ე. წ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების სისტემისა და მეცნიერების დასამარებაში, რადგან არც ერთი არ გჭირდებათ!

8. ხელი არ შეუშალოთ თქვენი მიწა-წყლის უცხოელებზე გასხვისებას, რადგან თქვენ მამაპაპური სამკვიდროს მომვლელნი არ ხართ.

9. გიყვარდეთ და უერთგულეთ მათ, ვისაც ჩვენ დაგინიშნავთ მეგობრებად და გძულდეთ ჩვენ მიერ თქვენთვის დანიშნული მტერი.

ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა აშკარად მეტყველებს, რომ ბოროტი დამრიგებლების ეს რეკომენდაციები ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის.

თუ არა, ვნახოთ:

***ქართულ პრესას არ ვკითხულობ,** — საქვეყნოდ განაცხადა ჩვენმა ყოფილმა ე. წ. პრეზიდენტმა. უცხოელი დამრიგებლების გასაგონად თქვა ეს, თორემ ჩვენი აზრი სულაც ცალ ფეხზე ეკიდა. ესენიც ერთგულად ასრულებენ დამრიგებლების რჩევებს, თორემ ასე რომ არ იყოს, ერთხელ მაინც უპასუხებდნენ იმ უამრავ კოლექტიურ წერილსა და მიმართვას, რომლებიც ქართულ პრესაში იბეჭდება. **არ კითხულობენ და ამიტომაც არ იციან ხალხის აზრი, თორემ ასე არ გაუკვირდებოდათ ცნობა იმის შესახებ, რომ მათი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა.**

აქ მინდა, მივმართო ხელისუფლების რეიტინგის დაცემით გახარებულ ნაცბანდას: რა გიხარიათ, თქვე ოხრებო? როგორც გითხრეს, „ქოცების“ რეიტინგის დაცემა თქვენი რეიტინგის ამაღლებას არ ნიშნავს, რის დამტკიცებასაც ენდიაი ცდილობს, რადგან ქართველმა ხალხმა განაჩენი უკვე გამოიტანა: „ნაცები“ ბოროტმოქმედები არიან და ამიტომ „ნაცმოძრაობა“ ბანდაა, ხოლო „ოცნება“ — უნიათო და მოღალატე, რომელიც საქართველოს მტრების ყოველ დაცაცხანებაზე იფსამს...

*პრესას არ კითხულობენ, მაგრამ იქნებ მოქალაქეებს უსმენენ? მაგრამ, აბა, ვინ გისმენს! **პრემიერმინისტრის სახელზე ახლახან კოლექტიური წერილი გაგზავნა მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა თხოვნით, — გაერკვიეთ განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს არაკონპეტენტური გადაწყვეტილებების მიზეზებშიო და პრემიერის კანცელარიამ ეს საჩივარი განსახილველად საჩივრის ადრესატს გაუგზავნა(?!).**

* ხელისუფლება ჯიუტად იმეორებს წინამორბედთა მიერ აკვიატებულ აზრებს: გინდათ თუ არა თქვენ, **ნატოში მაინც შევალთო**, თუმცა დამრიგებლებმა (ბოროტებმა, ცხადია) ინგლისურად, გერმანულად და ფრანგულად უთხრეს, ნატოში ჯერჯერობით (ამ 10-15 წელიწადში) ვერ მიგიღებთო. ამიტომაც იყო, რომ მიმართეს ხელისუფლებას: თუ თქვენი დამრიგებლების ენები არ იცით, იქნებ მეგრულად მაინც გაიგოთო და უთარგმნეს დამრიგებელთა ნათქვამი მეგრულად: **ნატოში მიშულა ვარია წიე!**

*ყველა ტელეარხის ეკრანზე „ნაცები“ სჭარბობენ, შოუებში ხომ ასპარეზი თითქმის მთლიანად მაგათია. ნაცბანდას სინდის-ნამუსი არ მოეთხოვება, მაგრამ მათ უსირცხვილო განცხადებებსა და მუქარას, არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ, პირველ რიგში, ხალხის მიმართ — **„ჩვენ დავბრუნდებით, უფრო ადრე, ვიდრე ამ ხელისუფლებას ჰგონია!“** — პასუხის გამცემი რატომ არ ჰყავს? ტელედებატებში ამ ულმერთოებს ისეთ ოპონენტს დაუსვამენ ხოლმე, რომელსაც ორ ბატს არ მიაბარებს ჭკვიანი პატრონი. **უყურებს ამას ტელესერიალებით გამოსერიალებული ხალხი და ფიქრობს: ისევ „ნაცები“ ხომ არ ავირჩიოთო.**

***ნაცების ტელევიზიები გალაღებულია:** ყველა ვალი ჩამოაწერეს და ყველა ძვირად ღირებული რეკლამა მათთან გადის (აბა, ტელეარხ „ობიექტივზე“ რეკლამა არავის უნახავს), ნებისმიერ ტყუილსა და ცილისწამებაზე, დემაგოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, პასუხს არავინ სთხოვს. ამით თავგასული ტელევიზიები დღე და ღამე სიცრუისა და ბოროტების შხამს აფრქვევენ სრულიად საქართველოს.

* **ჩვენ თვალწინ ნადგურდება განათლება და მეცნიერება**, ზნეობრივად იხრწნება მოზარდი თაობა. ამ საშინელ პროცეს ე. წ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უდგას სათავეში და კაცი არ არის ხელისუფლებაში, რომ ამას ხელი შეუშალოს.

* ახალმოსულები რომ იყვნენ, **ჩვენი გულის მოსაგებად მორატორიუმი გამოაცხადეს მამაპაპური სამკვიდროს უცხოელებზე გასხვისების კანონზე,** მაგრამ საკმარისი იყო ოკეანისგაღმელი ძიების ძაღლიშვილების (ჩვენ რომ მოფერებით არასამთავროებს ვეძახით!) შეყეფვა, რომ წყალწყალა მორატორიუმი აკანკალებულ ხელში შემოაცვდათ.

***ამ ჩვენს ქვეშაფსიებს არც მტრები ჰყავთ და არც მეგობრები, რადგან ერთნიცა და მეორენიც ოკეანისგაღმელი ძიების დანიშნულნი არიან.** ისინი ვალდებული არიან, უყვარდეთ ძიების დანიშნული მეგობრები და სძულდეთ მათი დანიშნული მტრები. ძალად არც სიყვარული შეიძლება და არც სიძულვილი. ეს მტერმაც იცის და მოყვარემაც, ამიტომ ესენი არავისთვის არაფერს წარმოადგენენ, არარაობანი არიან!

თუ ჩვენ კვლავაც ვერ მოვახერხეთ ისეთი ადამიანების მოყვანა ხელისუფლებაში, რომელთათვისაც სამშობლოა მთავარი და რომლებსაც სამშობლოზე უკეთესად ცხოვრების პრეტენზია არ ექნებათ, დაიღუპება წინაპართა ჭკუითა და გულით დღემდე მოყვანილი ქვეყანა!

**ზურაბ ცუცქირიძე**

# ღირსეული წინაპრის დავიწყება არ შეიძლება!

**1941 წლის 22 ივნისს მე-9 კლასში ვსწავლობდი, როდესაც იოსებ სტალინი რადიოთი გამოვიდა და გვაუწყა, რომ ჩვენი სახელმწიფო საფრთხის წინაშეა და ყველანი სამშობლოს დასაცავად უნდა გამოვსულიყავით. იმხანად ჩვენი სამშობლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი იყო. დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია. ფრონტზე გზავნიდნენ 19-დან 27 წლის ახალგაზრდებს — მოსწავლეებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, მეცნიერებისა და მედიცინის მუშაკებს და სხვ. დევიზი იყო: ყველაფერი ომისთვის, ყველაფერი ჯარისკაცისთვის!**



**გამარჯვება მოიპოვა ქართველმა მხედართმთავარმა იოსებ სტალინმა. გამარჯვების დროშაც ბერლინში, რაიხსტაგზე, რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად ქართველმა მელიტონ ქანთარიამ ააფრიალა. 300 ათასმა ქართველმა სიცოცხლე შესწირა ამ ომში გამარჯვებას!** მაგრამ დღეს საქართველოში (და არამხოლოდ) არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, დააკნინონ ეს დიადი გამარჯვება, ასეთები არიან **სააკაშვილი, ფანჯიკიძე, ბოკერია, თორთლაძე** და სხვები. ასეთი უვიცების ადგილი საქართველოში არ არის. იმ ადამიანმა, რომელიც ჰიტლერს სტალინს შეადარებს, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ფანჯიკიძეს ვგულისხმობ, საქართველოში არ უნდა იცხოვროს...

**დიდ სამამულო ომში გამარჯვება მოიპოვა ქართველმა მხედართმთავარმა იოსებ სტალინმა. გამარჯვების დროშაც ბერლინში, რაიხსტაგზე, რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად ქართველმა მელიტონ ქანთარიამ ააფრიალა. 300 ათასმა ქართველმა სიცოცხლე შესწირა ამ ომში გამარჯვებას!**

1942 წლის 3 მაისს, მე-10 კლასის დამთავრებამდე 25 დღით ადრე, არაფრის მცოდნე, არაფრის მქონე და არაფრის მნახველი ბიჭი მშობლების, მეგობრებისა და ახლობლების დაუკითხავად გავიპარე საბჭოთა ჯარში მსახურებისთვის. სწორედ მაშინ ვნახე თბილისი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი და სხვ. ჩვენმა გამცილებელმა 10 ახალგაზრდა მიგვიყვანა ნავთლუღის გამანაწილებელ პუნქტში, საღამო ხანს სატვირთო მატარებლის ვაგონებში ჩაგვსხეს და ეშელონი თბილისიდან გავიდა.

ვფიქრობდი, მატარებელი, ნეტავ, ჩქარა მივიდეს დანიშნულების ადგილას, წერილობით რომ ვამცნო ჩემს ოჯახს, სად ვარ და რას ვაკეთებ-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ 9 თვის შემდეგ შევძელი... 38 დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ კურილიის კუნძულებთან მიგვიყვანეს, დაგვადებინეს სამხედრო ფიცი და ჩაგვრიცხეს მესაზღვრეთა ნაწილში. ეს მოხდა 1942 წლის ივნისში. **1942 წლის ნოემბერში მდინარე ვოლგამდე მოსულ კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტებს სნაიპერის შაშხანით ვებრძოდი სტალინგრადის დასაცავად. ორი თვის განმავლობაში 40 ჯარისკაცი და ოფიცერი გამოვიყვანე მწყობრიდან.** იმჟამინდელი პრესა რუსულად აქვეყნებდა წერილებს ჩემი ბრძოლის შესახებ. წინა ხაზზე მომიტანეს გაზეთი და მითხრეს, — შენზე წერია, წაიკითხეო, მაგრამ არც დამიხედავს, რადგან რუსული ენა არ ვიცოდი და ვერაფერს გავიგებდი, რა ეწერა ჩემზე. **1943 წლის 14 იანვარს პირველად დამჭრეს. მოვხვდი საველე ჰოსპიტალში და სწორედ მაშინ, 9 თვის შემდეგ, მივწერე ჩემს ოჯახს, რომ ვიბრძოდი სტალინგრადის დასაცავად.** ჭრილობა მოშუშებული არ მქონდა, როდესაც ისევ ფრონტის წინა ხაზზე გამამწესეს. გავათავისუფლეთ ბელორუსია, მისი დედაქალაქი მინსკი, გააფთრებული ბრძოლების შედეგად ავიღეთ ბობრუისკი, გომელი და სხვა ქალაქები. ვმონაწილეობდი უკრაინის ტერიტორიაზე დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, დონეცკისა და ნიკოლაევის გათავისუფლებაში. შემდეგ გავათავისუფლეთ პოლონეთი, ბესარაბია, რუმინეთი. **1945 წლის 9 მაისს ბერლინში აღვნიშნე ფაშიზმზე გამარჯვება. სამჯერ დამჭრეს, მაგრამ მწყობრიდან გამოვიყვანე 59 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.** მკითხველო, ახლა თქვენ განსაჯეთ, რის ღირსნი ვართ მე და ომის სხვა მონაწილეები. ზოგმა მეტი გააკეთა, ზოგმა — ნაკლები, მაგრამ ომი მოვიგეთ და დღეს ცოცხლები ვართ. მაგრამ გერმანიას რომ გაემარჯვა, არც ინგლისი იქნებოდა არც ამერიკა, არც იტალია და არც საფრანგეთი.

ჩვენ, მეორე მსოფლიო ომის 90 წელს გადაცილებული მონაწილენი, დასავიწყებელი არ ვართ. ჩვენ თქვენთვის ვიბრძოლეთ, ფაშისტური გერმანია საქართველოში არ შემოვუშვით, მშვიდობიანად რომ გეცხოვრათ. **ნუ გვეტყვით გულსატკენ სიტყვებს ზოგიერთივით, — „თქვენ კიდევ ცოცხალი ხართ?!“. დიახ, ცოცხალი ვართ და ბევრი რამის მოყოლა შეგვიძლია, დიდ სამამულო ომში მოპოვებულ დიად გამარჯვებაზე! დიდ სამამულო ომში ჩემი ოჯახის სამი წევრი ვიბრძოდით. სამივე ძმა, რამდენჯერმე დაჭრილი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ოჯახს დავუბრუნდით.**

ვინც ჩემს წერილს წაიკითხავს და კითხვები გაუჩნდება, პირადად შევხვდები და ბევრ საინტერესო საკითხზე ვესაუბრები — რას ვაკეთებდით, რა გადავიტანეთ სამშობლოს დამცველმა მებრძოლებმა 1400 დღე-ღამის განმავლობაში ამ სისხლისმღვრელ ომში.

ძვირფასებო, ღირსეული წინაპრის დავიწყება არ შეიძლება იმიტომ, რომ მას ისტორია არ დაივიწყებს. ავიღოთ მაგალითად, დავით აღმაშენებელი, ვის უნდა ექო მისი ბრწყინვალე უდიდებულესობა, რა თქმა უნდა, მის ღირსეულ მემკვიდრე თამარ მეფეს. აი, იოსებ სტალინი კი მსოფლიომ აქო. ძვირფასებო, მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხება საბჭოთა ჯარმა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით შეძლო. ამის დავიწყება ამის დაუფასებლობა როგორ შეიძლება?! ახლა ზოგიერთი ამბობს, ომი ამერიკა-ინგლისმა მოიგოო, არა, ძვირფასებო, ჩვენ ამ დიადი გამარჯვების უშუალო მონაწილენი ვართ და ეს ჩვენზე კარგად არავინ იცის. **დიდ სამამულო ომში** გამარჯვება მოიპოვა...

წელს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი ისე დაიწყო, როგორც ვოცნებობდი. 8 მაისს მიგვიწვიეს გრიბოედოვის თეატრში შესანიშნავი კონცერტის სანახავად. თეატრიდან პრემიერმინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ფუნიკულიორზე, საბანკეტო დარბაზში მიგვიპატიჟა ვახშამზე. 9 მაისს ვაკის პარკში შეგვხვდნენ პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი,** პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი**, ქალაქის მერი **დავით ნარმანია**, საქართველოს პატრიარქი **ილია მეორე**, ახალი თავდაცვის მინისტრი **ხიდაშელი** და სხვ. ვაკის პარკიდან პრეზიდენტმა თავის რეზიდენციაში მიგვიწვია სადილზე. 8 ვეტერანი დაგვაჯილდოვა დიდების ორდენით. გადმოგვცეს საჩუქრები — 1000 ლარი თითოეულ ვეტერანს და ომში დაღუპულ ოჯახებს — 500 ლარი. ქალაქის რაიონის გამგებლებმა შინ მოგვიტანეს ვაუჩერები. ულრმეს მადლობას უხდით მათ მხარში ამოდგომისთვის, აგრეთვე, ვეტერანთა ცენტრალური კავშირისა და ქალაქის ვეტერანთა კავშირის თანამშრომლებს, ჩვენს ყველა გულშემატკივარს!

ვფიქრობ, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 71 წლისთავს კიდევ უფრო კარგად აღვნიშნავთ!

**ნუ გვეტყვით გულსატკენ სიტყვებს ზოგიერთივით, — «თქვენ კიდევ ცოცხალი ხართ?!» დიახ, ცოცხალი ვართ და ბევრი რამის მოყოლა შეგვიძლია, დიდ სამამულო ომში მოპოვებულ დიად გამარჯვებაზე! დიდ სამამულო ომში ჩემი ოჯახის სამი წევრი ვიბრძოდით. სამივე ძმა, რამდენჯერმე დაჭრილი, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ოჯახს დავუბრუნდით**

**ტარასი იჩქიტიძე,**
**ნაძალადევის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, 93 წლის**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნუთუ ეს ფრიად პატივსაცემი ადამიანები, თანამდებობიდან გამომდინარე მაინც, დილაადრიან იმიტომ შეიკრიბნენ, იმიტომ ჩააყენეს ათასობით კაცი გასაუბრების მომლოდინეთა უზარმაზარ რიგში, რომ სპექტაკლი დადგან?!**

# «საკონტროლო» შეკითხვა გასაუბრებაზე

**ჭკვიანი ადამიანები ამბობენ, იმქვეყნად გამოცდილების მეტს ვერაფერს წაიღებო. მართალია, არიან ისეთებიც ნახევარ მილიონად ღირებულ მანქანებს წინასწარ რომ უშვებენ მიწისქვეშ, რათა იმქვეყნად კომფორტულად გადაადგილება უზრუნველყოფილი ჰქონდეთ, მაგრამ მე მაინც პირველ მოსაზრებას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან ვთვლი, რომ იმქვეყნად წასაღები გამოცდილება საკმარისი მაქვს, ავტომანქანა კი — არც ერთი. ახლა კი — იმ გამოცდილებაზე, რომელიც, როგორც ჩემი მეზობელი სოფო იტყოდა, „ოხრად“ მაქვს. ეს არის გასაუბრების გავლის გამოცდილება.**

უკვე წელიწად-ნახევარია, მრავალათასიან ლაშქარს შევუერთდი; გინდა თუ არა, დგები ისეთი რეალობის პირისპირ, რომ შენი ყოფნა-არყოფნა სამსახურზე კიდია. მოკლედ, სხვა გზა არ არის, არსებობისთვის უნდა ვიბრძოლო — სამსახური ვიშოვო.

ჩემი კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისი ვაკანსიის გამოჩენისას შანსს ხელიდან არ ვუშვებ, სივი არ გავგზავნო და დამსაქმებელს ჩემი თავი არ შევთავაზო. არც იმ სტატიების კითხვისთვის ვზოგავ თავს და ენერგიას, რომლებიც გვასწავლის, როგორ მოვაწონოთ თავი დამსაქმებელს. თავის მოსაწონებელი კი ბევრი მაქვს — ჩემს პროფესიაში არ დარჩენილა ტრენინგი თუ სასერთიფიკაციო გამოცდა, რომელიც არ ჩამიბარებია; გამოცდილებაც, ერთი შეხედვით, მიმზიდველი მაქვს, მაგრამ ფაქტია: დამსაქმებელი დღემდე ვერ მოვხიბლე.

კონკურსში ვმონაწილეობ, ტესტირებას წარმატებით ვაბარებ, გასაუბრების შემდეგ კი მაინც უმუშევარი ვრჩები.... ვის აღარ შევხვედრივარ გასაუბრებაზე მინისტრის მოადგილეებით დაწყებული, რაიონის გამგებლით დამთავრებული. ერთი შეხედვით ძალიან სერიოზული ადამიანები არიან, საკუთარი საქმისა და ქვეყნის ერთგულნი. თითქოს ეჭვს ვერ შეიტან, ნებისმიერი საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ და, რაღა თქმა უნდა, ობიექტურებიც უნდა იყვნენ. გასაუბრება კი ისე მიჰყავთ, რომ იფიქრებ, ერთ გაზეპირებულ როლს ასრულებენო — **როგორ მოუსმინონ სამსახურის ძებნით გატანჯულ უიმედო ადამიანებს და წარბშეუხრელად გაუშვან ისე, რომ ბოლო იმედიც მოუკლან სამსახურის შოვნის.** ამ როლს ყველა შესანიშნავად თამაშობს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბოლო გასაუბრება. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსი რომ გამოცხადდა, გული იმედით ამევსო. ამხელა კონკურსი ცხადდება, ამდენი ვაკანსიაა, ნუთუ ჩემი გამოცდილებისა და ცოდნის ადამიანს უმნიშვნელო ადგილისთვის მაინც არ შეარჩევენ-მეთქი.

ყველა ადგილზე პროტექცია ხომ არ იქნება?! — ვიიმედებ თავს; ამ იმედით აღჭურვილი გავდივარ კონკურსის პირველ ეტაპს — ტესტირებას და უმაღლეს შეფასებას ვიღებ.

დადგა კონკურსის მეორე ეტაპი — გასაუბრება. წინასწარ შევამზადე ჩემი თავი, დადებითად განვეწყვე კომისიის წევრების მიმართ, რომლებიც ფრიად ობიექტური და მცოდნე და თავდადებული კადრების შერჩევაში დაინტერესებული მგონია. მცირე ხნის შემდეგ შევედი ოთახში, სადაც გასაუბრება ტარდება. კომისია ექვსი მამაკაცისა და ერთი კაფანდარა გოგოსაგან შედგება. პროცედურის გამჭვირვალობას და სამართლიანობას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აკვირდება; დადგა სანეტარო მომენტი, — გავიფიქრე და შევუძახე თავს, ახლა კი შეგიძლია სრულიად გამოავლინო შენი თავი, გააცნო ამ პატიოსან ადამიანებს, რამხელა ცოდნის და გამოცდილების პატრონი ხარ და როგორი მონდომებული, რომ ღირსეულად შეასრულო ის ვალდებულებები, რომლებსაც სამსახური დაგაკისრებს-მეთქი. მართლაც, ეს მამაკაცები, ზოგი საშუალო ასაკს გადაცილებული და ზოგიც ამ ასაკს მიტანებული, ისე სოლიდურად გამოიყურებიან, ნდობას აღგიძრავენ. ალბათ, მოემზადნენ ამ დღისთვის, იქნებ კითხვებიც შეარჩიეს. ხუმრობა საქმეა განა, თვითმმართველობის ამოდენა აპარატი უნდა დააკომპლექტონ! საბოლოო ჯამში ხომ სწორედ ეს აპარატი უზრუნველყოფს სამსახურის საათივით აწყობილ მუშაობას, რომლის წარმატებაც სწორედ მათი, ამ ორგანოს ხელმძღვანელთა, სახელია.

კომისიას წარვუდგინე საკუთარი თავი და დაიწყო შეკითხვები:

— აი, **შენ გვეუბნები, რომ ამ სფეროში გაქვს წარმატებული გამოცდილება, მაგრამ იქნებ ჩვენ სულაც არ გვჭირდება ეს კონკრეტული გამოცდილება? — პირველ შეკითხვას სხვებთან შედარებით ასაკოვანი მამაკაცი სვამს და რატომღაც შეტევაზე გადმოდის.**



**ჩვენ, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე, შევქმენით ეს რეალობა, რომ მხოლოდ ნაცნობობაა ერთადერთი საწინდარი დასაქმების, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე? სანაცნობო წრიდან შერჩეული არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული სისტემა, ერთხელაც იქნება, ხუხულასავით დაიშლება**

პირველი იმედგაცრუება ჩემი:

— **კი მაგრამ, როგორ არ გჭირდებათ, სამუშაოს აღწერილობაში სწორედ ეს სფეროა მითითებული.** – თავს ვიკავებ, გაღიზიანება რომ არ შემეტყოს, არადა, ვხვდები, რომ საუბარი ემსგავსება ცარიელი ჭურჭლიდან ცარიელ ჭურჭელში წყლის გადასხმას და ამ დროს ძალიან ადვილია, ადამიანს წყლის დაღვრაზე მოედავო. იქნებ სწორედ ეს აქვს განზრახული ამ ცხოვრებისეული გამოცდილებით დახუნძლულ ადამიანს...

— **მოდით, იმ საკითხზე დავუსვათ შეკითხვა, რომელთან შეხებაც ნამდვილად მოუწევს ამ ადგილას დასაქმებულ პირს,** — ინიციატივით გამოდის შედარებით ახალგაზრდა წევრი.

არადა, უფროსს უფრო კარგად გამოსდიოდა გასაუბრება — წყლის ნაყვა... ახალგაზრდა წევრმა შეკითხვა დამისვა. გული გამინათდა, — აი რეალური კითხვა, რომელიც წყლის ნაყვას არ უკავშირდება და ნამდვილად დაანახვებს ამ პატიოსან ხალხს ჩემს ცოდნას! ამ სფეროს შესწავლას ცოტა ხნის წინათ საკმაო დრო დავუთმე და მშვენივრად ვიცი, ტრენინგსაც კი ჩავუტარებ ამ თემაზე დაინტერესებულ პირებს. დავიწყე დასაბუთება და არგუმენტირებული პასუხი, მაგალითებიც მოვიშველიე, ისიც მოვყევი, რატომ დამჭირდა ამ სფეროს შესწავლა, ველოდები აღფრთოვანებულ ოვაციებს, მაგრამ... ექვსი სახე გაშეშებული შემომცქერის, ცივად გადახედეს ერთმანეთს და დადუმდნენ. კაცი იფიქრებს, მეორედ მოსვლის თარილი ვამცნე... ნუთუ ეს სწორი რეაქციაა?! — ვფიქრობ ჩემთვის... თითქოს ეწყინათ სწორი პასუხი, ალბათ, მართლაც ეწყინათ, ერჩიათ, არასწორად მეპასუხა, ასე ხომ საკუთარ თავთანაც მართლები იქნებოდნენ, რომ არ შემარჩევდნენ... და იმ არასამთავრობოს წარმომადგენელთანაც, თუმცა ის ამ სფეროში ვერ ერკვევა, მათი სახეების გამომეტყველებით კი აუცილებლად იფიქრებს, რომ არასწორად ვუპასუხე...

ვიდრე ამ ყველაფერს გავაანალიზებ და რამეს მოვიმოქმედებ, კაფანდარა გოგო იმაღლებს ხმას. ჩვენ ერთი პროფესია გვაქვს... ეს კი დამისვამს საინტერესო კითხვას, რომელზეც შევძლებ, შემოქმედებითად ვუპასუხო და შესაძლებლობები სრულყოფილად წარმოვაჩინო. ორ შეკითხვას მისვამს ჩემი პროფესიული სფეროდან და პასუხს იღებს, მეტი კითხვა ვეღარ მოიფიქრა და ახლა ჩემს გამოცდილებას გადასწვდა: დაინტერესდა, რამდენი წარმატებული კომბინაცია მაქვს ჩატარებული ჩემს სფეროში. გამეცინა, ასეთ შეკითხვებს ბავშვები მისვამენ ხოლმე, როდესაც შეიტყობენ, რა პროფესიაც მაქვს, სერიოზული ადამიანი, როგორც წესი, ასეთ შეკითხვას არ სვამს. ვიღიმი, რადგან ნაწილობრივ ხუმრობა მგონია ეს შეკითხვა და ვპასუხობ, რომ არ დამითვლია; რომ ჩემს პროფესიაში არითმეტიკა არ არის მნიშვნელოვანი და შემოქმედებითობა უფრო ღირებული და დასაფასებელია. **ამ მომენტში ისმის „საკონტროლო“ შეკითხვა ისევ ამ კაფანდარა გოგოს ბაგეთაგან — ვინ გყავდათ რეკომენდატორი წინა სამსახურში? აი, შეკითხვა ეს არის — გასაუბრებაზე დასასმელი შეკითხვა!** — ვინ უნდა მყოლოდა რეკომენდატორი უბრალო სპეციალისტს, ისიც შტატგარეშე თანამშრომლის ადგილზე, რომელზეც მხოლოდ ერთი წელი მოვასწარი მუშაობა — იქნებ ვინმე მყავდა, მეხსიერებაში დაუზოგავად ვიქექები: მყავდა თუ არ მყავდა?

— კონკურსის წესით მიმიღეს, — თავდაჯერებულად ვპასუხობ.

— კი, მაგრამ, მეც ვმუშაობდი იმ სისტემაში და ვიცი, რომ იმ დროს კონკურსი არ ჩატარებულა, — გაღიზიანებული მპასუხობს.

— ნამდვილად გავიარე კონკურსი, — არ ვნებდები მე და გონებაში ამოტივტივდა კონკურსთან დაკავშირებული ყველა დეტალი. მიჩნდება სურვილი, მასვე ვკითხო, — ვინ იყო მისი რეკომენდატორი, მაგრამ...

კომისია, ალბათ, უკმაყოფილოა, საშინელი სახეები აქვთ.

კარგი, კარგად ბრძანდებოდეთ! — ცივად მემშვიდობება კაფანდარა და მეც გამოვდივარ გასაუბრების ოთახიდან ერთმანეთში არეული ემოციებითა და აზრით. მეტი რა შემეძლო, რა ვთქვი და გავაკეთე არასწორად? ნუთუ არ სურთ ნამდვილად კვალიფიციური კადრის შერჩევა?... და ეს ბოლო შეკითხვა ნელ-ნელა იპყრობს ჩემს გონებას და სხვა ყველა ჩემს აზრს ჩრდილავს. **ნუთუ ეს ფრიად პატივსაცემი ადამიანები, თანამდებობიდან გამომდინარე მაინც, დილაადრიან იმიტომ შეიკრიბნენ, იმიტომ ჩააყენეს ათასობით კაცი გასაუბრების მომლოდინეთა უზარმაზარ რიგში, რომ სპექტაკლი დადგან?! იქნებ ყველაფერი წინასწარ არის გადაწყვეტილი?! ორი კვირის შემდეგ ესემესი მომდის: „თქვენ არ ხართ შერჩეული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად“.**

სულაც არ არის მოულოდნელი ეს პასუხი, რომელიც მცირე იმედსაც მიქრობს და სასოწარკვეთილებაში მაგდებს.

არადა, **ჩვენ, ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე, შევქმენით ეს რეალობა, რომ მხოლოდ ნაცნობობაა ერთადერთი საწინდარი დასაქმების, მაგრამ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე? სანაცნობო წრიდან შერჩეული არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული სისტემა, ერთხელაც იქნება, ხუხულასავით დაიშლება, მაგრამ მანამდე რა მელის?**

საღამოს ტელევიზორს ვრთავ, ჩემი „გამსაუბრებელი“ ინტერვიუს აძლევს, ძალზე კმაყოფილი სახე აქვს, თუ კარგად დააკვირდები, სახეზე აწერია: „მეც მაძღარი ვარ, ნაცნობ-მეგობრებიც დასაქმებულები მყავს, დანარჩენებს კისერიც უტეხიათ“.

თვალზე ბინდი მეკვრება, თვალებს ვხუჭავ და მომავალზე ვფიქრობ...

**ქეთი სომხიშვილი,**
იურისტი

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# სერვანტესის, პიკასოს, დალისა და გაუდის ესპანეთი

## გეოგრაფიული და დემოგრაფული მონაცემები

ესპანეთი (ოფიციალურად — ესპანეთის სამეფო) — ევროპის სამხრეთ-დასავლეთისა და, ნაწილობრივ, აფრიკის სახელმწიფოა. უკავია პირენეის ნახევარკუნძულის 80%, აგრეთვე, — კანარისა და ბალეარის კუნძულები; აქვს ტერიტორია აფრიკის სანაპიროზე. დასავლეთით ესაზღვრება პორტუგალიას, სამხრეთით — ბრიტანეთის სამფლობელო გიბრალტარს, ჩრდილოეთით — საფრანგეთსა და ანდორას, ჩრდილოეთ აფრიკაში — მაროკოს (ნახევრად ანკლავები — სუეტა, მელილია და პენიან დე ველეს — დე-ლა-გომერა). აქვს სანაპირო ზოლი ატლანტიკის ოკეანეზე (ჩრდილოეთით და დასავლეთით), აგრეთვე, ხმელთაშუა ზღვაზე (სამხრეთით და აღმოსავლეთით).

ერთ-ერთი ვერსიით, ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს ფინიკიური გამოთქმისგან „ი-შპანიმ“ — „დამანების სანაპირო“ (დამანები — ძუძუმწოვართა რიგის ცხოველები, თანამედროვე სპილოების „ნათესავები“).

ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნეში თანამედროვე ესპანეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ იბერიული ტომები, რომლებმაც მოგვიანებით ასიმილაცია განიცადეს კელტებთან. სწორედ იბერიელებისგან მომდინარეობს პირენეის ნახევარკუნძულის ძველი სახელწოდება — იბერიის ნახევარკუნძული.

1939 წელს ესპანეთში გენერალ **ფრანსისკო ფრანკოს** დიქტატურის დამყარების შემდეგ აიკრძალა ყველა პარტია, ფრანკოს ფაშისტური „ფალანგის“ გარდა. 1947 წელს ქვეყანაში მონარქიული წყობილება აღდგა — ესპანეთი სამეფოდ გამოცხადდა, მაგრამ ტახტი არავის ეკავა (რეგენტი იყო ფრანკო). 1975 წელს, ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ესპანეთის სამეფო ტახტზე ავიდა **ხუან კარლოს I** და დაიწყო ფაშისტური რეჟიმის დემონტაჟი.

**კლიმატი.** ესპანეთში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 260-დან 285-მდეა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე საშუალო ტემპერატურა პლუს 20 გრადუსია. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში კი ზამთარში ტემპერატურა 0 გრადუსამდე შეიძლება დაეცეს.

**ფაუნა.** ესპანეთის ტერიტორიის 30% ტყეებით არის დაფარული. ხარობს მუხა, წაბლი, კოპიტი, წიფელი, აგავა, ფორთოხალი, ლიმონი, ნუში, ზეთისხილი, პალმა, ლეღვი, ალვა, ფიჭვი და სხვ.

**ფაუნა.** ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობს დათვი, ფოცხვერი, მელა, ტყის კატა, ირემი, კურდღელი, ციყვი, ეგვიპტური მანგუსტი, ქამელეონი, თეთრი ყარყატი, ცისფერი კაჭკაჭი, ფლამინგო და სხვ.

ესპანეთის **უმაღლესი წერტილია** კუნძულ ტენერიფეზე (კანარის კუნძულები) მდებარე ვულკანი **ტეიდე (3718 მ).**

**უდიდესი მდინარეები: ებრო (910 კმ); ტახო (730 კმ — ესპანეთის ტერიტორიაზე, სულ — 1007 კმ); გვადალკივირი (657 კმ).**

**მოსახლეობა.** 2013 წლის აღწერის მონაცემებით, ესპანეთში **47,4 მლნ** კაცი ცხოვრობს (26-ე მსოფლიოში). ეთნიკური შემადგენლობა: ესპანელები (კასტილიელები), 72,8%. კატალონიელები — 16,4%, გალისიელები — 8,2; ბასკები — 2,3. ესპანეთში ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს ლათინური ამერიკიდან და მაღრიბიდან (აფრიკის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი). დიდია ბოშების რაოდენობაც, აგრეთვე — ბრიტანელების. გენეტიკოსთა აზრით, თანამედროვე ესპანეთის მოსახლეობის 20%-ს სემიტური ფესვები აქვს, 11%-ს — არაბული და ბერბერული.

ესპანეთის ტერიტორია 504 782 კვ.კმ-ს შეადგენს.

**დედაქალაქი: მადრიდი (3,1 მლნ. გარეუბნებით — 7 მლნ)**

**უდიდესი ქალაქები: მადრიდი; ბარსელონა (1,8 მლნ. გარეუბნებით — 5 მლნ); ვალენსია (1 მლნ); სევილია (706 ათასი).**

**ოფიციალური ენა: ესპანური (კასტილიური).**

ესპანეთი პოლიეთნიკური ქვეყანაა და კასტილიელების გარდა ცხოვრობენ კატალონიელები, გალისიელები, ბასკები, ასტურიელები, არაგანელები, ოქსიტანები (ფრანგების ეთნიკური ჯგუფი), რომლებიც თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ. კატალონიური ენის დილექტზე ლაპარაკობენ ვალენსიელები (ოფიციალურად — ვალენსიური ენა). კატალონიური ენა გავრცელებულია ბალეარის კუნძულების მოსახლეობაშიც.


წმინდა ოჯახის ტაძარი ბარსელონაში


მადრიდი — დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ქანდაკება


სალვადორ დალი


ალკაზარის სასახლე სევილიაში

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ესპანეთი კონსტიტუციური მონარქიაა. მეფე — **ფილიპე VI.** პრემიერმინისტრი — **მარიანო რახოი.** საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც სენატისა (259 დეპუტატი) და კონგრესისგან (350 დეპუტატი) შედგება.

ესპანეთი დაყოფილია 17 ავტონომიურ ოლქად და 2 ე.წ. ავტონომიურ ქალაქად. 17 ავტონომიური ოლქი, თავის მხრივ, დაყოფილია 50 პროვინციად.

**რელიგია.** ესპანეთის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ქრისტიანია, 71% — კათოლიკეა, 25% — ათეისტი, 2% — მუსლიმანი, 1% — იუდეველი.

## ეკონომიკა

ესპანეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით — ლიდერთა შორისაა ვერცხლისწყლისა და პირიტების მოპოვებით. ევროპაში წამყვან პოზიციაზეა პოლიმეტალების, ურანისა და ვერცხლის მოპოვებით. ქვეყანაში არის, აგრეთვე, ტყვიის, თუთიის, ვოლფრამის, ტიტანის, სპილენძის, კვარცისა და ოქროს საბადოები. ნავთობი და ბუნებრივი აირი შემოაქვთ.

განვითარებულია მანქანათმშენებლობა (პირველ რიგში — გემთმშენებლობა), ელექტროტექნიკური, ქიმიური და მსუბუქი მრეწველობები. ქვეყნიდან გააქვთ ბოსტნეული (პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი, ღვინო, ზეთისხილი, ნუში, ლეღვი, ბროწეული და სხვ). ესპანეთი მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებს შორის არის თევზისა და ზღვის პროდუქტების წარმოებით.

ესპანეთის **მთლიანი შიგა პროდუქტი შეადგენს 1,5 ტრილიონ დოლარს** (მე-13). მოსახლეობის ერთ სულზე — **33,2 დოლარს.**

**ვალუტა: ევრო.**
**ინტერნეტდომენი: es**
**სატელეფონო კოდი: +34**
**საათობრივი სარტყელი: UTC+0.**

## კულტურა

ესპანეთის კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა. უცნობი ავტორის მიერ დაწერილი პოემა „სიმღერა ჩემს სიდზე“, რომელიც ეროვნულ გმირს — როდრიგო დიას დე ბივარს — ეძღვნება XIII საუკუნეშია დაწერილი. ესპანეთში დაიბადნენ სახელგანთქმული **მწერლები და პოეტები: მიგელ სერვანტესი; ლოპე დე ვეგა; კალდერონი; ალარკონი; რაფაელ ალბერტი; ფედერიკო გარსია ლორკა.**

**მხატვრები: ფრანსისკო გოია, ელ გრეკო; ლეგო ველასკესი, მურილიო, ხუან მირო, პაბლო პიკასო, სალვადორ დალი.**

**არქიტექტორები: ანტონიო გაუდი, სანტიაგო კალატრავა. "კინორეჟისორები და მსახიობები: ლუის ბუნიუელი, პედრო ალმოდოვარი, სარა მონტიელი, პენელოპა კრუზი, ანტონიო ბანდერასი.**

## სამზარეულო

ესპანეთში ეროვნული სამზარეულო ცალკეული რეგიონების კულინარიული ტრადიციებით ჩამოყალიბდა. ესპანელები კერძებს, ძირითადად, ამზადებენ ხორცისგან, თევზისგან, ბრინჯისგან, ბოსტნეულისა და სანელებლებისგან.

ალკოჰოლური სასმელებიდან პოპულარულია ღვინოები, სანგრია, სიდრი, ლუდი, ლიქიორები.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



## შუშხუნა სანგრია

* მშრალი წითელი ღვინო — 0,7 ლ.
* შამპანური — 0,7 ლ.
* ფორთოხალი — 1 ც
* ვაშლი — 1 ც
* ლიმონი — 1 ც
* დარიჩინი — 2 ჩხირი
* პიტნა — 3-3 ფოთოლი

სეზონის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ხილი, მაგალითად, **მარწყვი, გარგარი, ატამი. რაც მეტ ხილს დაუმატებთ, მით უკეთესი გამოვა სანგრია.**

**მომზადება:**

**1. ფორთოხალი და ლიმონი კანიანად დაჭერით სიგანეზე. ვაშლს ამოაცალეთ კურკები და თხელ ნაჭრებად დაჭერით.**

**2. ხილი ჩაყარეთ გამჭვირვალე ხელადაში, ჩაასხით ღვინო და დაუმატეთ დარიჩინი და პიტნა.**

**3. ხელადას მჭიდროდ დაახურეთ თავსახურავი და შედგით მაცივარში 3-4 საათით.**

**4. მაცივრიდან გამოიღეთ ხელადა, დაუმატეთ შამპანური და კარგად აურიეთ.**

**5. სასმელი ხილიანად ბოკლებში ჩამოასხით და სუფრაზე მიიტანეთ.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში აცრები ტარდება სპეციალურ ამცრელ კაბინეტებში უფასოდ. მთავარია, ბავშვს დროულად ჩაუტარდეს საჭირო აცრა. ეს დაავადების რისკს მინიმუმამდე შეამცირებს. გარდა ამისა, ვაქცინაციის ვადები ისეა დაგეგმილი, რომ გართულების რისკიც მცირე იყოს.**




# ზოგი რამ აცრების შესახებ

**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განცხადებით, ჯანმრთელობის დაცვის ორი ფაქტორი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, არის სუფთა წყალი და აცრა. მსოფლიოში ყოველწლიურად ინფექციური დაავადებებისგან 14 მილიონი ადამიანი იღუპება. მათგან ნახევარზე მეტი 5 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვია. სიკვდილის ბევრი შემთხვევის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა აცრით.**



ვაქცინა არის მიკრობებისაგან მიღებული პრეპარატი, რომლითაც ცრიან ადამიანებსა და ცხოველებს ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ აქტიური იმუნიტეტის შესაქმნელად. ეს მეთოდი პირველად 1796 წელს გამოიყენა ინგლისელმა ექიმმა ედუარდ ჯენერმა, რომელიც ყვავილით დაავადებისაგან დასაცავად ადამიანებს უცრიდა ძროხის ყვავილს (აქედან გაჩნდა სახელწოდება ვაქცინაც). განარჩევენ ცოცხალ, დახოცილ, ქიმიურ ვაქცინებსა და ანატოქსინს.

დახოცილ ვაქცინებს ამზადებენ ფიზიკური ან ქიმიური მეთოდებით დახოცილი მიკროორგანიზმებისგან. დახოცილ ვაქცინებს დაცვითი თვისებები ნაკლებად აქვთ გამოხატული, ამიტომ იმუნიტეტი ვითარდება მხოლოდ იმუნიზაციის სრული კურსის ჩატარების შემდეგ.

ცოცხალ ვაქცინებს ამზადებენ სპეციალურად დასუსტებული მიკროორგანიზმების კულტურისგან, რომელთაც დაავადების გამოწვევა აღარ შეუძლია, მაგრამ გამრავლებისა და იმუნიტეტის გამომუშავების უნარი შენარჩუნებული აქვს. პირველი ცოცხალი ვაქცინა ჯილეხის (1881) და ცოფის (1885) წინააღმდეგ შექმნა ფრანგმა მეცნიერმა პასტერმა.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ცოფმა მთელ ევროპას დაუკარგა მოსვენება. ძაღლების, ტურების, მგლების დაკბენილი ხალხი იხოცებოდა, ექიმები კი ვერაფერს ახერხებდნენ.

**ევროპელი მედიკოსების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საფრანგეთში მოღვაწე იმხანად უკვე სახელმოხვეჭილმა ლუი პასტერმა მსოფლიოს სამედიცინო საზოგადოებას ამცნო, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა შევქმენიო.** ვაქცინა, რომელიც დაავადების თავიდან ასაცილებლად იყო გამიზნული, კბენიდან 48 საათის გასვლამდე უნდა შეეყვანათ ყველა დაკბენილისთვის. ვაქცინა შეიქმნა, მაგრამ საყოველთაო ვაქცინაცია არ დაწყებულა, რადგან გერმანიაში მოღვაწე არანაკლებ ტიტულოვანმა და პატივსაცემმა მეცნიერმა **რობერტ კოხმა** და მისმა მოწაფეებმა პასტერის შექმნილი ვაქცინის საყოველთაო გამოყენების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ისინი ამბობდნენ, რომ, თუ ადამიანი ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა, ვაქცინა მას გადაარჩენს, მაგრამ თუ ცხოველი ჯანმრთელია, გამოდის, რომ ადამიანის ორგანიზმში შევიყვანთ ნივთიერებას, რომელიც მას ცოფით დააავადებს, რადგან აცრით მიღებული შხამის განეიტრალებას ჯანმრთელი ორგანიზმი ვერ შეძლებსო.

დავა ცნობილმა ავსტრიელმა ქირურგმა **ემერიხ ულმანმა** გადაჭრა. იგი 1885 წლის ზაფხულში, შვებულების დროს, საფრანგეთში ესტუმრა პასტერს და სთხოვა, ვაქცინა მასზე, ანუ ჯანმრთელ ადამიანზე გამოეცადა. პასტერი დათანხმდა, რადგან თავისი ვაქცინის უვნებლობაში დარწმუნებული იყო. ულმანი აცრეს, ათი დღის შემდეგ კი რევაქცინაცია ჩაუტარეს. ემერიხი პასტერის ვაქცინის უვნებლობაში დარწმუნდა და მსოფლიოს ამცნო, ვაქცინაციის დაწყებას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოსო. გამოთხოვებისას პასტერმა ულმანს ცოფის ვაქცინის წყარო — ნაცრისფერი ბოცვერი აჩუქა.

**1926 წელს კი ფრანგმა მეცნიერებმა — კალმეტმა და გერენმა შექმნეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლის გამოყენებამაც საგრძნობლად შეამცირა ტუბერკულოზით ავადობა.**

მიკრობიოლოგიასა და ეპიდემიოლოგიაში 200-ზე მეტი ცნობილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა ალბერ კალმეტმა მედიცინის ისტორიაში თავისი სახელი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინის — BCG-ს შექმნით უკვდავყო. ალბერმა და გერენმა ცამეტწლიანი ექსპერიმენტის შედეგად ისე დააქვეითეს ტუბერკულოზის ბაქტერიის ვირულენტობა, რომ ამ სნეულების საწინააღმდეგო ეფექტიანი ვაქცინა მიიღეს. BCG-ს შექმნა იმუნოლოგიის ტრიუმფად იქცა, მაგრამ მოულოდნელად მის შემქმნელებს უდიდესი ტრაგედია დაატყდათ თავს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ახალშობილთა ვაქცინაცია მიმდინარეობდა და უეცრად მეხის გავარდნასავით გაისმა ცნობა, რომ ქალაქ ლუბეკში აცრილი 250 ბავშვიდან 75 გარდაცვლილიყო, ათეულობით პატარა კი მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბუნებრივია, სასწრაფოდ შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, ტრაგედიაში დამნაშავე ვაქცინა პასტერის კვლევით ინსტიტუტში გააგზავნეს, მაგრამ ამას არაფერი მოუცია, რადგან ამავე ინსტიტუტში დამზადებული ვაქცინით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უკვე აეცრათ 6 ათასამდე ბავშვი, გართულება კი არსად მოჰყოლია. ლუბეკის ტრაგედიის მიზეზი გამოცანად რჩებოდა.

გამოხდა ხანი და გაირკვა ის, რასაც სკრუპულოზურობით ცნობილი გერმანელებისგან არავინ ელოდა: ლუბეკის ლაბორატორიის თანამშრომელს კალმეტის BCG-ს კულტურა შეცდომით ტუბერკულოზური ბაქტერიების ვირულენტური კულტურით შეეცვალა. სასამართლო პროცესი 4 თვეს გაგრძელდა, კალმეტს სრულიად მოეხსნა ბრალდება, მაგრამ ამ ტრაგედიას იგი სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა და პირად უბედურებად მიიჩნევდა.

მრავალი ცოცხალი ვაქცინა მიიღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებმა: ბრუცელოზის, პარტახტიანი ტიფის, გრიპის წინააღმდეგ და სხვ. ზოგიერთი დაავადების დროს ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი პრეპარატია. როგორც წესი, ცოცხალი ვაქცინის შეყვანის შემდეგ ორგანიზმში გამომუშავდება ხანგრძლივი იმუნიტეტი.

ქიმიური ვაქცინა ბაქტერიული უჯრედებისგან ქიმიური მეთოდებით მიღებული ნივთიერებაა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს იმუნიტეტის გამომწვევი ძირითადი კომპონენტები. ნაწლავთა ინფექციების საწინააღმდეგო ქიმიური ვაქცინების გამოყენება პირველად 1941 წელს დაიწყეს პოლივაქცინის სახით. ქიმიურ ვაქცინებს იყენებენ პარატიფის, მუცლის ტიფის, რიკეტსიოზების წინააღმდეგ, ანატოქსინების შეყვანის შემდეგ. იმუნიტეტის განვითარება დაკავშირებულია სისხლში იმ ანტისხეულების გაჩენასთან, რომლებიც ანეიტრალებენ ამა თუ იმ ტოქსინის მოქმედებას.

ვაქცინა შეიძლება დამზადდეს ერთი ინფექციის გამომწვევისგან — ეგრეთ წოდებული მონოვაქცინა, ან ორი ან მეტი გამომწვევის კომბინაციით — პოლივაქცინა. პოლივაქცინის გამოყენებისას იმუნიტეტი გამომუშავდება ერთდროულად რამდენიმე ინფექციისადმი.

ვაქცინის ორგანიზმში შეყვანის წესი სხვადასხვაგვარია: ცოცხალი ვაქცინის შეყვანის დროს ეს წესი მიკრობის ორგანიზმში მოხვედრის ბუნებრივ გზებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, პოლიომიელიტის ვაქცინა შეჰყავთ პირიდან, გრიპის — ცხვირის ღრუდან, ყვავილის, ჯილეხისა და ტულარემიის — კანის ზედაპირიდან, ბრუცელოზის — კანიდან, დახოცილი ვაქცინები და ანატოქსინი შეჰყავთ კანქვეშ ან კუნთებში. ცოფის სამკურნალოდ იყენებენ ცოცხალ ვაქცინას, რომელიც ამ სასიკვდილო დაავადებისგან ადამიანის დაცვის ერთადერთი საშუალებაა. სტაფილოკოკით ან სტრეპტოკოკით გამოწვეული ზოგიერთი ქრონიკული ანთებითი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ ავტოვაქცინებს.

ვაქცინები, რომლებსაც დღეს მსოფლიოში იყენებენ, რთული ექსპერიმენტების შედეგია და მათ წინ ხანგრძლივი დრამატული პროცესი უძღოდა.

ბავშვთა მწვავე ინფექციური დაავადება დიფთერია XIX საუკუნეში მედიცინის ისეთ პრობლემად იქცა, რომ მსოფლიო მიკრობიოლოგიის მამამთავრებმა ფრანგმა ლუი პასტერმა და გერმანელმა რობერტ კოხმა ყოველგვარი გამოკვლევა გვერდზე გადადეს და ამ მომაკვდინებელი სნეულების დამარცხების გზების ძიებას შეუდგნენ. რობერტ კოხის მოსწავლემ ფრედერიკ ლოფრერმა დიფთერიის ბაცილა აღმოაჩინა, თუმცა დაავადების განვითარების მექანიზმის დადგენა ვერ შეძლო. პირველმა მანვე გამოთქვა ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ბაცილა გამოყოფდა ძლიერ შხამს, რომელიც ვრცელდებოდა ორგანიზმში, იჭრებოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის ნერვულ ცენტრებში და მათი ფუნქციის მოშლას იწვევდა.

მოგვიანებით ლოფრერის ვარაუდი განავითარა პასტერთან მომუშავე მიკრობიოლოგმა ემილ რუმ და დიფთერიის ტოქსინის ძებნას შეუდგა, რომელიც იპოვა კიდეც, მაგრამ ამაზე შორს ველარ წავიდა. საბედნიეროდ, ეს მეორე ემილმა, რობერტ კოხის ლაბორატორიაში საიდუმლო მრჩევლის სტატუსის მქონე ექიმმა, შეძლო. მან დიფთერიის გამომწვევით ხელოვნურად დააავადა ათასობით ზღვის გოჭი და, როგორც იქნა, მიიღო რამდენიმე ძლიერ იმუნირებული ცხოველი, რომელთა სისხლისგანაც დიფთერიის საწინააღმდეგო შრატი დაამზადა. აუცილებელი გახდა მისი ვაქცინის თვისებებისა და მოქმედების ადამიანზე გამოცდა. ამისთვის მეცნიერმა საკუთარი მცირეწლოვანი ვაჟი შეარჩია.

1891 წლის ზამთარში ბერლინში ბერგმანის ბავშვთა საავადმყოფო დიფთერიით სნეული მომაკვდავი ბავშვებით იყო სავსე. შობა ღამეს ემილმა დიფთერიის საწინააღმდეგო ანატოქსინი საკუთარი ხელით შეუყვანა დაავადებულ შვილს ორგანიზმში. რისკმა გაამართლა, ბავშვი რამდენიმე დღეში მომჯობინდა. შრატის წყალობით მისმა ორგანიზმმა მანამდე უკურნებელ სენს სძლია. მალე გერმანიის დიდმა ფარმაცევტულმა საწარმოებმა შრატის სერიული წარმოება დაიწყეს და სამი წლის განმავლობაში 200 ათასი სასიკვდილოდ განწირული ბავშვი გადაარჩინეს. დიფთერიის ანტიტოქსინით მკურნალობა მსოფლიოში წესად ქცა.

მართალია, ჩვენს ორგანიზმს აქვს ინფექციის წინააღმდეგ მებრძოლი ბუნებრივი დაცვითი სისტემა — იმუნიტეტი, რომელიც წარმოშობს ანტისხეულებს, ებრძვის ინფექციებს და გვიცავს მათთგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს ინფექციური დაავადებები, რომლებსაც ბავშვის ორგანიზმი ბუნებრივი გზით ადვილად ვერ უმკლავდება და მათი გართულებები სიცოცხლისათვის საშიშია. ამ დაავადებებისა და მათი გართულებების თავიდან ასაცილებლად ტარდება იმუნიზაცია (იმუნიტეტის გაძლიერება აცრების გზით). იმუნიზაციის მიზანია ბავშვის იმუნური სისტემის გაძლიერება იმდენად, რომ მისი ორგანიზმი წარმატებით შეებრძოლოს ინფექციას — დაიცვას ბავშვის ორგანიზმი ინფექციისგან ან, თუ მაინც დაავადდა, თავიდან აიცილოს საშიში გართულებები.

იმუნიზაცია ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე ეფექტიანი გზაა თქვენი ბავშვის საშიში დაავადებებისგან დასაცავად!

**პირველი იმუნიზაცია ტარდება სამშობიაროშივე, სადაც კეთდება ტუბერკულოზისა და ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა. სხვა აცრები ტარდება იმუნიზაციის გეგმის მიხედვით.**

საქართველოში აცრები ტარდება სპეციალურ ამცრელ კაბინეტებში უფასოდ. მთავარია, ბავშვს დროულად ჩაუტარდეს საჭირო აცრა. ეს დაავადების რისკს მინიმუმამდე შეამცირებს. გარდა ამისა, ვაქცინაციის ვადები ისეა დაგეგმილი, რომ გართულების რისკიც მცირე იყოს.

ვაქცინები იმუნობიოლოგიური პრეპარატებია, რომლებიც შეიცავს ინფექციური დაავადების გამომწვევი ბაქტერიის ან ვირუსის ცოცხალ ან დახოცილ ფორმებს ან იმ ნივთიერების მცირე ნაწილს, რომელსაც ბაქტერია ან ვირუსი გამოიმუშავებს (ანატოქსინს). ვაქცინა იწვევს ორგანიზმის დამცველობით იმუნურ რეაქციას კონკრეტული ინფექციური დაავადების წინააღმდეგ. ორგანიზმში გარედან ხელოვნურად შეყვანილ, იმუნური რეაქციის გამომწვევ ამ ფაქტორებს ანტიგენები ეწოდება. ვაქცინა აიძულებს ბავშვის ორგანიზმის იმუნურ სისტემას, გამოიმუშავოს ანტისხეულები — ნივთიერება, რომლებიც ებრძვის ინფექციას.

თუ ბავშვის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრება, ვაქცინაციის შედეგად უკვე წარმოქმნილი ანტისხეულები ამოიცნობენ მას და ბავშვის ორგანიზმს დაიცავენ დაავადებისგან. იმ შემთხვევაში, თუ სრული დაცვა არ მოხდება და ბავშვი მაინც დაავადდება, ინფექციის მიმდინარეობა იქნება მსუბუქი, სიცოცხლისათვის საშიში გართულებების გარეშე.

**ვაქცინების წარმატებით გამოყენების შედეგად მსოფლიოში გაქრა ისეთი საშიში დაავადებები, როგორიცაა ყვავილი, ზოგიერთ ქვეყანაში პოლიომიელიტი და დიფთერიაც კი.**

ვინაიდან დღეს ბევრი მოგზაურობს საზღვარგარეთ, არის საშიშროება, რომ მოგზაურები შემოიტანენ იმ დაავადებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში აღარ გვხვდება (მაგალითად, პოლიომიელიტს). პირველ რიგში, დაავადდებიან ისინი, ვინც არ არის აცრილი. ამის გამო ჩვენს ქვეყანაში გრძელდება იმ საშიში და მსოფლიოში გავრცელებული დაავადებების წინააღმდეგ აცრებიც, რომლებიც საქართველოში ფაქტობრივად აღარ გვხვდება. მაგალითად, დიფთერია დიდი ხნის განმავლობაში თითქმის აღარ გვხვდებოდა საქართველოში, მაგრამ არასწორი იმუნიზაციის გამო 1995 წელს დაავადებულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

**იმუნიზაცია იცავს არა მხოლოდ აცრილ ბავშვს, არამედ მთელ ოჯახს და საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებს, რომლებიც ჯანმრთელობის სხვადასხვა მძიმე მიზეზის გამო ვერ აიცრნენ.**

ბავშვის აცრა არასოდესაა გვიან; მაშინაც კი, თუ თქვენმა ბავშვმა გამოტოვა გეგმური აცრა და გასცდა იმ ასაკს, რომელიც საუკეთესო იყო აცრისათვის, მაინც უნდა მიმართოთ სამედიცინო პერსონალს იმუნიზაციის ჩატარების თაობაზე.

ბევრ მშობელს აფიქრებს ვაქცინების ხარისხიანობა და უსაფრთხოება, ამიტომ ზოგჯერ ამჯობინებენ, საერთოდ უარი თქვან აცრებზე. სინამდვილეში ვაქცინა სანამ ლიცენზირებას მიიღებს გამოყენების უსაფრთხოებაზე, საგანგებოდ და ხანგრძლივად მოწმდება. ლიცენზირების შემდეგაც კი ვაქცინის ყველა გვერდითი რეაქცია დაკვირვების ქვეშაა და აღირიცხება. ყველა წამალს შეუძლია გვერდითი არასასურველი რეაქციებისა და გართულებების გამოწვევა, მაგრამ ამ თვალსაზრისით ვაქცინები ყველაზე უსაფრთხო პრეპარატების რიგშია.



**იმუნიზაციის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს თანამდევი რეაქციები: აცრის შემდეგ ბავშვებს შეიძლება აღენიშნებოდეს თავის ტკივილი, დიარეა (ფაღარათი) ან კუნთების ტკივილი. ერთი მილიონი აცრილი ბავშვიდან 2-დან 4-მდე შემთხვევაში, ცოცხალი ვაქცინით იმუნიზაციის შედეგად, შეიძლება აცრის შემდეგ გამოიხატოს მამოძრავებელი კუნთების დაზიანება (მწვავე დუნე დამბლა).**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აცრის შედეგად ზოგიერთ ბავშვს, შესაძლოა, განუვითარდეს სიწითლე, შესიება და ტკივილი ჩხვლეტის ადგილზე (რაც თავისთავად გაივლის), შეუძლოდ ყოფნა, ჭირვეულობა, ცხელება. ცხელებად ითვლება ტემპერატურის მომატება 37,5 გრადუსს ზემოთ. ამ შემთხვევაში გააგრილეთ ბავშვი — ნუ ჩააცმევთ ბევრს და ნუ შეახვევთ თბილად; დაალევინეთ გრილი სითხეები (წყალი, კომპოტი, ღია ფერის ჩაი, ა.შ.) დიდი რაოდენობით. ექიმი ან ექთანი დაგარიგებთ, რა დოზით უნდა მისცეთ პატარას პარაცეტამოლის სიროფი (ცხელების მკურნალობა ასპირინით ბავშვებში რეკომენდებული არ არის). დაუყონებლივ დაუკავშირდით ექიმს თუ ბავშვის ტემპერატურა 39 გრადუსი ან უფრო მეტია, მით უფრო, თუ განუვითარდა კრუნჩხვა ან დაკარგა გონება.

**ასთმა, ეგზემა, ჭინჭრის ციება და სხვა ალერგიული გამოვლინებები, ძირითადად, არ არის გეგმიური აცრის უკუჩვენება. შეიძლება, ძალიან იშვიათად ბავშვს აცრიდან მოკლე დროში დაემართოს ალერგიული რეაქცია.** ეს შეიძლება იყოს გამონაყარი ან ქავილი სხეულის ერთ ნაწილზე ან მთელ სხეულზე. კიდევ უფრო იშვიათად იმუნიზაციიდან რამდენიმე წუთში ბავშვს შეიძლება გამოუვლინდეს ძლიერი და მყისიერი ალერგიული რეაქცია, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაადგინა, რომ დაახლოებით ნახევარი მილიონი აცრილი ბავშვიდან მხოლოდ ერთს შეიძლება განუვითარდეს ასეთი რეაქცია. ამცრელი კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო მედიკამენტით, ხოლო აცრის შემსრულებელი პერსონალი მომზადებულია იმისათვის, რომ უმკურნალოს ანაფილაქსურ რეაქციას. გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში ბავშვი სრულად განიკურნება.

სხვადასხვა ქვეყნის მონაცემებით, ძალიან ცოტა კატეგორიული მიზეზი არსებობს, რომლის გამოც ბავშვს აცრა არ უტარდება. აცრა არ უტარდება ბავშვს, რომელსაც ჰქონდა დადასტურებული ანაფილაქსური რეაქცია ვაქცინის პირველ დოზაზე; აქვს ალერგიული რეაქცია ნეომიცინზე, სტრეპტომიცინზე ან პოლიმიქსინ ბ-ზე (იმ ანტიბიოტიკებზე, რომლებიც შედის ვაქცინების შემადგენლობაში); აღენიშნება თანდაყოლილი იმუნოდეფიციტი (აივ ინფექცია ან შიდსი) ან დაქვეითებული აქვს იმუნიტეტი ონკოლოგიური დაავადების ან გადანერგილი ორგანოს შემდგომი მკურნალობის გამო (ამ შემთხვევებში არ კეთდება ის ვაქცინები, რომლებიც დასუსტებულ ცოცხალ ვირუსებს შეიცავს, მაგალითად, წითელას, წითურას, ყბაყურას აცრა); დასმული აქვს პროგრესირებადი სისტემური და ნევროლოგიური დაავადებების დიაგნოზი.

**არ შეიძლება არასრულწლოვანი ორსულის აცრა ცოცხალი ვაქცინით!**

თუ აცრისათვის დაგეგმილ დღეს ბავშვი ავადაა, ცხელების შემთხვევაში აცრა გადაიდება მანამდე, სანამ ტემპერატურა ნორმას არ დაუბრუნდება. იმ შემთხვევებში, თუ ბავშვს აღენიშნება ხშირი სისხლდენები ცხვირიდან ან/და გულყრა (კრუნჩხვა), აცრის ჩატარებამდე დამატებითი კონსულტაციისთვის ბავშვის ექიმს უნდა მიმართოთ.

ბავშვის ორგანიზმში იმუნიტეტის შესაქმნელად ზოგიერთი აცრის ერთხელ შესრულება არ არის საკმარისი. მაგალითად, დიფთერია, ყივანახველა. ტეტანუსის აცრა უნდა შესრულდეს 4-ჯერ, რათა ბავშვი სრულად იყოს დაცული.

საქართველოში მოქმედი აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით აუცილებელია აცრები შემდეგი დაავადებების წინააღმდეგ:

**ბცჟ (BCG) ვაქცინა — დაცვა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ**

ტუბერკულოზი არის დაავადება, რომელიც უპირატესად ფილტვებს აზიანებს, მაგრამ შეიძლება ნებისმიერი ორგანო დააზიანოს. ტუბერკულოზის გამომწვევი მიკრობაქტერია გარემოში ვრცელდება ჰაერით. დაავადების რისკი უფრო მაღალია ბავშვებსა და მოხუცებში. ტუბერკულოზი უმეტესად უვითარდებათ დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებს.

მსოფლიოში ტუბერკულოზისგან ყოველწლიურად 2 მილიონი ადამიანი იღუპება. მე-20 საუკუნის 80-იან წლებიდან საქართველოში შეიმჩნევა ტუბერკულოზით ავადობის ზრდა. უკანასკნელი მონაცემებით, ყოველწლიურად რეგისტრირდება დაახლოებით 6 000 პაციენტი, რომელთაც უტარდებათ ტუბსაწინააღმდეგო ქიმიოთერაპია. ბცჟ-ტუბერკულოზის ვაქცინა შედგება დასუსტებული ცოცხალი ბაქტერიებისაგან. აცრა სასურველი და ეფექტურია დაბადებიდან პირველივე დღეებში, მაგრამ შეიძლება გაკეთდეს მოგვიანებითაც (12 თვის ასაკამდე). იმუნიზაციის შემდეგ ინიექციის ადგილზე უნდა განვითარდეს მცირე ზომის ბუშტუკი (ვეზიკულა). ამ ადგილზე აცრიდან 1-1,5 თვის შემდეგ რჩება დაახლოებით 5მმ ზომის ნაწიბური, რაც იმის დასტურია, რომ ბავშვი ეფექტურად არის აცრილი.

**ბ-ჰეპატიტის ვაქცინა (Hep B) — დაცვა ბ-ჰეპატიტისაგან**

ბ-ჰეპატიტი ღვიძლის დაავადებაა, რომელსაც იწვევს ჰეპატიტის გამომწვევ რამდენიმე ვირუსთაგან ერთ-ერთი. დაავადება ვრცელდება სისხლით.

მუცლადყოფნის დროს ჰეპატიტი ბავშვს გადაეცემა დედის სისხლით. ორსული დედისაგან მიღებული ჰეპატიტი ბავშვს დაბადებისთანავე არ განუვითარდება, მაგრამ დიდია შესაძლებელობა, დაავადება გამოვლინდეს მოგვიანებით და მძიმე ფორმებში, ამიტომ ორსულ ქალებს ტესტი ბ-ჰეპატიტზე უნდა გაუკეთდეს მშობიარობამდე პერიოდში. თუ ქალი დაავადებულია ამ ვირუსით ან ვირუსმტარებელია, ბავშვს ეს აცრა აუცილებლად დაბადებისთანავე უნდა ჩაუტარდეს. თუ ბავშვი აცრილია, მისი დედის რძით კვებაც უსაფრთხოა. ბ-ჰეპატიტის ვაქცინა (Hep B) შეიცავს ერთ ანტიგენს და არ იცავს ორგანიზმს სხვა ტიპის ვირუსული ჰეპატიტისაგან. ვაქცინის პირველი დოზა კეთდება დაბადებიდან 12-24 საათში; მეორე დოზა – 2 თვის ასაკში; მესამე დოზა – 4 თვის ასაკში. ბ-ჰეპატიტის იმუნიზაციის შემდეგ გვერდითი რეაქციები ძალიან ზომიერია. დაახლოებით შემთხვევათა 5%-ში აცრის ადგილას რამდენიმე დღე შეიძლება აღენიშნებოდეს სიწითლე ან მსუბუქი შესიება.

**დყტ ვაქცინა — იცავს სამი ინფექციისაგან: დიფთერიის, ყივანახველისა და ტეტანუსისაგან**

დიფთერია ძალიან საშიში დაავადებაა, რომელსაც ბაქტერია იწვევს. იგი გადაეცემა ჰაერის გზით, სასუნთქი გზების მეშვეობით. დიფთერია იწყება ყელის ტკივილით და სწრაფად შეიძლება გართულდეს სუნთქვის გაძნელებით. მას შეუძლია გულისა და ნერვული სისტემის დაზიანება და მძიმე შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილიც.

**ტეტანუსი** სიცოცხლისთვის საშიში დაავადებაა. ტეტანუსის გამომწვევი ბაქტერიები (სპორების ფორმით) მრავალი წლის განმავლობაში ძლებენ ნიადაგში. ტეტანუსით დაავადება ხდება მიწიდან და ნაგვის ლპობითი მასებიდან დაზიანებული კანის გზით — ღია ჭრილობის, დამწვრობისა და დაზიანებული ჭიპლარის (არაჰიგიენურ პირობებში მშობიარობისას) – სპორების ორგანიზმში შეჭრის შედეგად. დაავადება იწვევს კუნთების ძლიერ ტკივილს, აზიანებს მათ და შეუძლია სუნთქვითი და საყლაპავი კუნთების დამბლის გამოწვევა. ტეტანუსის გამომწვევი იჭრება ნერვულ სისტემაში და ხშირად იწვევს სიკვდილს.

ყივანახველა ეს არის ბაქტერიით გამოწვეული სასუნთქი გზების დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია გახანგრძლივებული და შემაწუხებელი ხველა, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ სუნთქვას და შეიძლება გაგრძელდეს 4-10 კვირამდე. მოზრდილი ბავშვებისათვის იგი ძალიან საშიში არ არის, მაგრამ ერთ წლამდე ასაკის ბავშვი მისგან შეიძლება დაიღუპოს კიდეც.

**დყტ** ვაქცინა დამზადებულია დიფტერიისა და ტეტანუსის ანატოქსინისა და ყივანახველას დახოცილი მიკრობებისაგან. ბავშვი ამ დაავადებებზე უნდა აიცრას 2, 3 და 4 თვის, შემდეგ კი 18 თვის ასაკში.

ბოლო წლებში ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გამოიყენება კომბინირებული, 4 ან 5 ვაქცინის შემცველი პრეპარატი, რომელშიც დამატებით პოლიომიელიტის და ზოგჯერ ჰემოფილუს ინფლუენსას (გრიპის ნაირსახეობის) ვაქცინებიც შედის.

ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატის გაკეთება აუცილებელია იმ ბავშვებისათვის, რომლებიც დაიზიანებენ კანს, აქვთ დაბინძურებული ჭრილობა და, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ არიან აცრილი ტეტანუსზე. შრატი კეთდება იმ შემთხვევებშიც, თუ არ არის საკმარისი ინფორმაცია ბავშვისთვის შესაბამისი აცრების ჩატარების შესახებ. დყტ ვაქცინით იმუნიზაციის შემდეგშეიძლება გამოვლინდეს გვერდითი რეაქციები: ბავშვი შეიძლება შეუძლოდ გრძნობდეს თავს ინიექციიდან 48 საათის განმავლობაში; შეიძლება მოემატოს ტემპერატურა; ინიექციის ადგილი შეიძლება უმნიშვნელოდ შესივდეს, რაც გაქრება რამდენიმე დღეში.

**ოპვ ვაქცინა (OPV) — დაცვა პოლიომიელიტისაგან**

პოლიომიელიტი არის ვირუსული ინფექცია, რომელიც, ძირითადად, ვრცელდება დაბინძურებული საჭმლისა და წყლის საშუალებით, თუმცა შეიძლება გავრცელდეს ჰაერის გზითაც. მისი გამომწვევი ვირუსი იჭრება ზურგის ტვინის ნერვულ უჯრედებში და იწვევს მამოძრავებელი კუნთების დამბლას. მკერდის კუნთებისა და თავის ტვინის დაზიანების შემთხვევაში ადამიანი შეიძლება დაიღუპოს.

ოპვ ვაქცინა, რომელიც საქართველოში გამოიყენება, არის თხევადი. იგი შედგება პოლიომიელიტის დასუსტებული ვირუსებისაგან და მდგრადად იცავს ორგანიზმს პოლიომიელიტისაგან. უცხოეთის ბევრ ქვეყანაში გამოიყენება პოლიომიელიტის ახალი ვაქცინა, რომელშიც ინაქტივირებული (დახოცილი) ვირუსები შედის. ვაქცინის ეს ფორმა შედარებით უფრო სუსტ იმუნიტეტს ავითარებს, ვიდრე ცოცხალი ვაქცინა, მაგრამ ნაკლები არასასურველი გვერდითი მოვლენები აქვს (არ იწვევს აცრის შემდგომ იშვიათ გართულებას – მსუბუქი ფორმის პოლიომიელიტს). გამოსადეგია იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც პოლიომიელიტის დაავადების საშიშროება არ არსებობს ან მინიმალურია. პოლიომიელიტის აცრა ტარდება 2, 3 და 4 თვის, შემდეგ 18 თვის და 5 წლის ასაკში.

**იმუნიზაციის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს თანამდევი რეაქციები: აცრის შემდეგ ბავშვებს შეიძლება აღენიშნებოდეს თავის ტკივილი, დიარეა (ფაღარათი) ან კუნთების ტკივილი. ერთი მილიონი აცრილი ბავშვიდან 2-დან 4-მდე შემთხვევაში, ცოცხალი ვაქცინით იმუნიზაციის შედეგად, შეიძლება აცრის შემდეგ გამოიხატოს მამოძრავებელი კუნთების დაზიანება (მწვავე დუნე დამბლა).**

**წწყ ვაქცინა (MMR) — დაცვა წითელას, წითურასა და ყბაყურასაგან**

**წითელას** იწვევს ძლიერი ვირუსი. წითელა ცნობილ ინფექციურ დაავადებათაგან ერთ-ერთი ყველაზე გადამდებია. ვრცელდება ჰაერით, ხველება და ცემინება ვირუსს ძალიან დიდ მანძილზე ავრცელებს. წითელა მიმდინარეობს მაღალი ცხელებით, სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებით; ახასიათებს წითელი ფერის, კანის ზედაპირიდან ამოწეული გამონაყარი. გამოყრა იწყება სახისა და კისრის არედან და 5-6 დღის განმავლობაში ვრცელდება სხეულსა და კიდურებზე. გართულებები აღენიშნება ყოველი 15-დან ერთ ბავშვს. მძიმე გართულებები შეიძლება გამოვლინდეს ფილტვების ანთების (პნევმონიის) და თავის ტვინის ანთების (ენცეფალიტი) სახით. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევები შეიძლება დამთავრდეს სიკვდილითაც.

წითურა ვირუსით გამოწვეული დაავადებაა, ვრცელდება ჰაერ-წვეთოვანი გზით. ბავშვებში მსუბუქად მიმდინარეობს და შეუმჩნევლადაც კი შეიძლება ჩაიაროს. მისთვის დამახასიათებელია ხანმოკლე გამონაყარი, კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდება. წითურა ძალიან საშიშია ნაყოფისთვის მუცლადყოფნის პერიოდში: ორსულობის პირველ სამ თვეში წითურა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს 10-დან 9 ნაყოფს. ორსული შეიძლება დაავადდეს ოჯახის წევრებისა და ახლობლებისაგან. ყალიბდება ეგრეთ წოდებული თანდაყოლილი წითურას სინდრომი. თანდაყოლილი წითურით დაავადებული ბავშვისათვის დამახასიათებელია ტრიადა: კატარაქტა (თვალის ბროლის შემღვრევა), სიყრუე და გულის მანკი.

**ყბაყურა** ვრცელდება ვირუსის საშუალებით ჰაერ-წვეთოვანი გზით. ახასიათებს ცხელება, თავის ტკივილი და სანერწყვე და ლიმფური ჯირკვლების შეშუპება (ყურების წინ და ქვემოთ) კისრის ერთ ან ორივე მხარეს. ყბაყურას ვირუსი ხშირად იწვევს სათესლე ჯირკვლების ან საკვერცხეების მტკივნეულ შესიებას და ანთებას. ავადობა გრძელდება 7-10 დღეს. ყბაყურა იშვიათად შეიძლება გართულდეს სიყრუით, ვირუსული მენინგიტით (თავის ტვინის გარსების/ქერქის ანთებით) და ენცეფალიტით. წითელა, წითურა, ყბაყურას ვაქცინა არის შესუსტებული ცოცხალი ვირუსების შემცველი კომბინირებული მასალა, რომელიც გამოიმუშავებს მაღალ იმუნიტეტს. ვაქცინა შეიყვანება ინიექციის სახით კუნთებში. პირველად აცრა კეთდება ერთი წლის ასაკში, როდესაც დედისაგან თანდაყოლილი იმუნიტეტი იწყებს გაქრობას. მეორე ინიექცია კეთდება 5-6 წლის ასაკში.

ვაქცინის შემადგენლობაში შემავალი სამი სხვადასხვა ვირუსი მოქმედებას (იმუნიტეტის გამომუშავებას) სხვადასხვა დროს იწყებს. მათ შეუძლიათ პირველი დოზის შემდეგ არასასურველი გვერდითი რეაქციების გამოწვევა. მეორე დოზის შემდეგ გვერდითი რეაქციები უფრო იშვიათი და უფრო მსუბუქია.

იმუნიზაციიდან 6-10 დღეში ზოგიერთ ბავშვს ემართება ცხელება (10-ბავშვიდან ერთს), ზოგიერთს წითელას მაგვარად გამოაყრის (20 ბავშვიდან ერთს). ეს რეაქციები განპირობებულია წითელას ვირუსის მოქმედებით.

1000-დან ერთ ბავშვს შეიძლება დაემართოს გულყრა, თუ აუცრელი ბავშვი დაავადდა წითელას ინფექციით, მას 5-ჯერ მეტი შანსი აქვს იმისა, რომ გულყრა დაემართოს. იშვიათად, იმუნიზაციიდან დაახლოებით 3 თვეში, ბავშვს შეიძლება გამოეხატოს ყბაყურას მსგავსი სინდრომი (ცხელება და ლიმფური ჯირკვლების შესიება). ეს განპირობებულია ვაქცინის ყბაყურის ნაწილის მოქმედების დაწყებით. ძალიან იშვიათად, ვაქცინაციიდან 6 კვირაში, ბავშვებს უჩნდებათ წვრილი გამონაყარი — ეს ვაქცინის წითელას ან წითურას კომპონენტების მოქმედების გამოვლინებაა.

მილიონიდან ერთზე ნაკლებ შემთხვევაში ვითარდება აცრის შემდგომი ენცეფალიტი (ტვინის ანთება) და ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ ამის მიზეზი აცრაა.

**პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი**

| ასაკი/ვაქცინა | დაბადებისთანავე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტუბერკულოზი ბცჟ (BCG) | BCG | | | | | | | |
| პოლიომიელიტი ოპვ (OPV) | | OPV1 | OPV2 | OPV3 | | OPV4 | OPV5 | |
| დიფთერია/ ყივანახველა/ ტეტანუსი-დყტ (DPT) | | DPT1 | DPT2 | DPT3 | | DPT4 | | |
| ვირუსული ჰეპატიტი B | HepB1 | HepB2 | | HepB3 | | | | |
| წითელა/ყბაყურა/ წითურა–(MMR) | | | | | MMR1 | | MMR2 | |
| დიფტერია/ტეტანუსი-დტ (DT) | | | | | | | DT | |
| ტეტანუსი/დიფტერია-ტდ (Td) | | | | | | | | Td |



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გრძელი ნოტაციები გამოსავალი არ არის, რადგან ბავშვი სიტყვების ლაბირინთში იკარგება და დატუქსვის ზუსტ მიზეზს ვერ იგებს. თქვენი ტექსტი უნდა იყოს მოკლე და მკაფიო, მით უფრო, არ უნდა შეიცავდეს ადრინდელი დანაშაულის გახსენებას. ბავშვი დატუქსეთ ახალჩადენილი შეცდომისთვის და არა ერთი კვირის წინათ ჭიქის გატეხვის გამო.**

# როგორ არ უნდა გავუზრაზდეთ პატარას

**ბავშვები ხშირად იმსახურებენ საყვედურებსა და სასჯელს მშობლებისგან, ბევრჯერ გაუაზრებელი, ზოგჯერ კი შეგნებული „დანაშაულების“ გამოც. ცხადია, ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილი ზრდილობიანი, წესიერი, ჭკვიანი და დამჯერი იყოს, მაგრამ ყველამ როდი იცის სასურველი შედეგის მისაღწევი ხერხები. საქმის მცოდნენი საუკეთესო შედეგის მისაღებად რეკომენდაციებს არ იშურებენ.**







### მზერითი კონტაქტი

ბავშვის ტვინს ერთდროულად რამდენიმე დეტალზე კონცენტრირება არ შეუძლია, ამიტომ ნუ გაუბრაზდებით, თუ თამაშში გართული ყურადღებას არ გაქცევთ — ის, უბრალოდ, თამაშზეა გადართული. მისთვის მთავარი საქმე სწორედ გართობაა, დედის ჩხუბი კი მხოლოდ უმნიშვნელო ფონია. ვიდრე საუბარს დაიწყებთ, ბავშვის ყურადღება თამაშიდან თქვენზე გადმორთეთ. ჩაიმუხლეთ, თვალებში ჩახედეთ, შეგიძლიათ, მხარზე ან ხელზე შეეხოთ, სთხოვეთ, რომ მოგისმინოს, საუბრისას აუცილებლად მიმართეთ სახელით — ეს თქვენზე უფრო ადვილად „გადმორთავს“. თუ ბავშვი 4 წელზე ნაკლებისაა, სთხოვეთ, თქვენი სიტყვები გაიმეოროს, რათა ნათქვამი უკეთ აღიქვას.

### ერთდროულად რამდენიმე მითითება

„ფეხზე გაიხადე, ხელები დაიბანე და მაგიდას მიუჯექი“ – თითქოს მარტივი დავალებაა, მაგრამ მხოლოდ ზრდასრული ადამიანებისთვის, 3-4 წლის პატარებისთვის კი მათემატიკური განტოლებასავითაა. თხოვნებით დაბნეული საბოლოოდ ვერც ერთს ასრულებს, რის გამოც თქვენს რისხვას იმსახურებს. განტოლება მარტივ სეგმენტებად დაყავით. ჯერ ფეხზე გახდა სთხოვეთ, როდესაც დავალებას შეასრულებს, შემდეგ აბაზანაში გაისტუმრეთ და ასე შემდეგ.

### ირიბი შენიშვნები

„დიდხანს აპირებ ტალახში ჯდომას?“, „მოგწონს გაწეპილი ხელებით ყოფნა?“ – ბავშვები ვერ ხვდებიან, რომ ეს შენიშვნაა და რომ კითხვაში მათი დატუქსვის მოტივაციაა ჩადებული. უბრალოდ უთხარით, რომ დროა, ტალახს მოშორდეს ან ხელები დაიბანოს. ბავშვების ლექსიკური მარაგი მცირეა, ამიტომ ნათქვამის აღსაქმელად მათ მარტივი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფრაზები ესაჭიროებათ.

### უხვი ლექსიკა

როდესაც ბავშვი რამეს აშავებს, მშობლები გრძელი, დამრიგებლური ტექსტით მიმართავენ და ბევრი მაგალითი მოჰყავთ იმისთვის ხაზის გასასმელად, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მათ ცელქობას. **გრძელი ნოტაციები გამოსავალი არ არის, რადგან ბავშვი სიტყვების ლაბირინთში იკარგება და დატუქსვის ზუსტ მიზეზს ვერ იგებს. თქვენი ტექსტი უნდა იყოს მოკლე და მკაფიო, მით უფრო, არ უნდა შეიცავდეს ადრინდელი დანაშაულის გახსენებას. ბავშვი დატუქსეთ ახალჩადენილი შეცდომისთვის და არა ერთი კვირის წინათ ჭიქის გატეხვის გამო.** უბრალოდ, უთხარით, რომ სავარძელზე ხტუნვა სახიფათოა. მოკლე მითითება ყოველთვის უფრო დამაჯერებლად ჟღერს.

### წამიერი შედეგის მოლოდინი

ნუ გაქვთ ილუზია, რომ ყველაფერი ერთი ჯერზე გამოსწორდება. ბავშვს რამდენჯერმე სჭირდება შეხსენება, რათა შეცდომა კარგად გაიაზროს და მისი ნეგატიური მხარეც გააცნობიეროს. 6-7 წლიდან ბავშვი შენიშვნების მიმართ უფრო მიმღები ხდება, მანამდე კი ტყუილად გექნებათ ილუზია, რომ თვალების ერთი დაბრიალებით ყველაფერს დაარეგულირებთ. დრო მიეცით. თუ ეზოდან არ მოგყვებათ, უთხარით, რომ ხუთჯერ ჩამოსრიალების შემდეგ შინ უნდა წაიყვანოთ. ეს მას გარკვეულ პასუხისმგებლობას მიანიჭებს და დაანახვებს კიდეც, რომ მის ინტერესებსაც ითვალისწინებთ, თუმცა მხოლოდ გარკვეული დოზით, რადგან მთავარი აქ სწორედ თქვენ ხართ.

### დაუსრულებელი შენიშვნები

არიან მშობლები, რომლებიც შვილებს გამუდმებით აძლევენ შენიშვნას, მათ ყველა ნაბიჯს აკრიტიკებენ, მუდამ ფრთხილობენ. დროთა განმავლობაში ბავშვი ისე ეჩვევა ამ შენიშვნებს, რომ მშობლის ნათქვამს მხოლოდ ფონად აღიქვამს. ყველა ბავშვი ცელქია, სრულ წესრიგს ვერავის მოსთხოვ, ამიტომ გამუდმებით შენიშვნის მიცემა არაფრის მომცემია. თუ მისი საქციელი საფრთხეს შეიცავს, ერთხელ გააფრთხილეთ და ეს აკმარეთ — დანარჩენს თავად მიხვდება. ნუ იქნებით მომაბეზრებელი და ნუ აფიქრებინებთ, რომ შენიშვნები თქვენი ახირებაა. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ამას მხოლოდ მისი უსაფრთხოებისთვის აკეთებთ და არა იმიტომ, რომ, როგორც მშობელს, გევალებათ.

# ტელესკოპი «ჰაბლი» 25 წლისაა



**კოსმოსურ ტელესკოპ „ჰაბლს“ 25 წელი შეუსრულდა. ტელესკოპს სახელი გამოჩენილი ამერიკელი ასტრონომის — ედუინ ჰაბლის პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც გარე გალაქტიკები და ე.წ. ჰაბლის კანონი აღმოაჩინა, რომლის მეშვეობითაც სამყაროს გაფართოების ტემპის დადგენა გახდა შესაძლებელი.**

ვერცხლის იუბილე „ჰაბლმა“ ახალი სურათებით აღნიშნა, რომლებზეც 20 ათასი სინათლის წელიწადით დაშორებული ახალგაზრდა ვარსკვლავებია აღბეჭდილი. 1990 წლის 24 აპრილს ხომალდმა „დისქავერიმ“ „ჰაბლი“ კოსმოსში გაუშვა, სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს ტელესკოპის კოსმოსური მოგზაურობაც.

ნასას ინჟინრების თქმით, „ჰაბლი“ კიდევ ხუთი წლის განმავლობაში შეძლებს ფუნქციონირებას.

**„1990 წელს ყველაზე დიდი ოპტიმისტიც კი ვერ იწინასწარმეტყველებდა, რომ „ჰაბლი“ მთელს ჩვენს აქამდე არსებულ ცოდნას თავდაყირა დააყენებდა“,** — ამბობს „ნასას“ ადმინისტრატორი ჩარლი ბოლდენი.

ჰაბლის კვლევების მიზანს მილიონობით სინათლის წელიწადით დაშორებული ვარსკვლავებისა და გალაქტიკების ფორმირების ნაადრევი ეტაპების შესწავლა წარმოადგენდა. სწორედ ამ მემკვიდრეობის შესწავლის გაგრძელებას აპირებს ტელესკოპის შთამომავალი „ჯეიმს უები“, რომლის კოსმოსში გაშვებაც 2018 წლისთვის იგეგმება. „ჯეიმს უების“ შექმნის მიზანს ისეთი ამოცანების სწრაფი შესრულება წარმოადგენდა, რომლებსაც „ჰაბლი“ რამდენიმე დღეს ან კვირას ანდომებს.

# ცოლქმრული სამეული მეოთხეს ეძებს

**აშშ-ში მცხოვრებ ცოლ-ქმარს წყვილს ვერ უწოდებთ, რადგან ისინი სამნი არიან. ერთადერთი, რაც სრული იდილიისთვის სჭირდებათ, მეოთხე წევრია.**



34 წლის ქმარი, ადამ ლაიონსი ლოს-ანჟელესში ცხოვრობს და სამოქალაქო ქორწინებაში 2 ქალთან იმყოფება. მისი ცოლები 26 წლის ბრუკი და 25 წლის ჯეინი არიან. ადამსა და ბრუკს ცოტა ხნის წინ შვილიც შეეძინათ და ეს ბედნიერი სამეული ერთად ზრდის ბავშვს. სამივეს ერთ საწოლში სძინავს და რომანტიკულ მომენტებსაც ერთად იზიარებენ.

მოსიყვარულე სამეული დარწმუნებულია, რომ ერთი მამა და ორი დედა ბავშვებს ღირსეულად აღზრდის. **„სხვა ოჯახებისგან თითქმის არაფრით განვსხვავდებით, უბრალოდ, ერთი მამა და ორი დედაა. ჩვენი შვილები სიყვარულის მეტს რას ისწავლიან ჩვენგან?“** — ამბობს ადამი, რომელიც ქალებში პოპულარობით არასოდეს სარგებლობდა. ვინაიდან სუსტი სქესისგან უყურადღებობა მასზე ძალიან მოქმედებდა, ამ საკითხს სერიოზულად მოჰკიდა ხელი. მან ცნობილი ფსიქოლოგების წიგნები იკითხა, კერძო კურსებიც გაიარა და საბოლოოდ თავად იქცა სასიყვარულო ურთიერთობების ექსპერტად. დღეს Youtube-ზე სპეციალური არხიც აქვს, სადაც ამ საკითხებს აშუქებს.

2007 წელს ადამი დაქორწინდა, თუმცა წყვილს შვილის გაჩენის საკითხზე უთანხმოება მოუვიდა და ადამმა მალე საყვარელიც გაიჩინა — ბრუკი.

მან კი საბოლოოდ დაიპყრო ადამის გული და ცოლთანაც გაჰყარა. შემდეგ კი... ბისექსუალ ჯეინის დაახლოებაზეც დაიყოლია. დღეს ადამზე ბედნიერი კაცი მსოფლიოში არ დადის — თავად აცხადებს ასე და მესამე თანამეცხედრის გაჩენაზე ოცნებობს. კანდიდატურა ნაპოვნიც ჰყავთ — მომხიბვლელი ბარმენი, ვისთანაც სამეულმა უკვე გაატარა რამდენიმე სასიამოვნო შეხვედრა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სატურნის თანამგზავრზე სიცოცხლე აღმოაჩინეს



**კანადელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა გააანალიზეს აპარატ „კასისნის“ გამოგზავნილი ფოტოები, რომლებზეც სატურნის თანამგზავრი არის გამოსახული და დაადგინეს, რომ იქ ყველანაირი პირობა არსებობს სიცოცხლის არსებობისთვის.** თანამგზავრის გეიზერებიდან ამოსულ ნივთიერებებში მეცნიერებმა შენიშნეს ნახშირმჟავის მაღალი შემცველობა. მკვლევარებმა გადაწყვიტეს, რომ ყინულის ქვეშ არსებული ოკეანის წყალში უხვადაა მინერალური ნივთიერებები. როგორც პლანეტოლოგებმა გაარკვიეს, სატურნის თანამგზავრის ოკეანის წყალში არის მარილი, როგორც დედამიწის ოკეანეებში. ამასთან, თანამგზავრზე აღინიშნება სოდაც. ეს ნიშნავს, რომ ოკეანის სიღრმეებში არსებობს ნახშირმჟავა, წყალბადი და მეტალები. დედამიწაზე თანამგზავრის ოკეანის მსგავსი მდინარე მონოა, რომელიც კალიფორნიაში მდებარეობს. მასში ბევრია მარილი და სოდა და იქ არ ბინადრობენ თევზები, მაგრამ ამავე მდინარეში ცხოვრობენ უცნაური ორგანიზმები და ბაქტერიები, რომლებიც, სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან განსხვავებით, სასიკვდილო პირობებში ადაპტირდებიან.

# მეორე შვილის დრო



**როდის ჯობს მეორე შვილის გაჩენა, რომ ორგანიზმმა მოასწროს პირველი ორსულობის შემდეგ აღდგენა? მეცნიერებმა ზუსტი ვადები დაასახელეს.**

კვლევა ამერიკის კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩატარდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მეტისმეტად ხშირი (და მცირეშუალედიანი) ორსულობა უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობაზე, არამედ დედის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზეც. და ისიც აღნიშნეს, რომ არც მეტისმეტად დიდი შუალედის გაკეთება ღირს.

კვლევის ავტორებმა ორ მილიონამდე ამერიკელი ქალის მონაცემები შეისწავლეს. დაადგინეს, რომ მოკლე ინტერვალი (ერთი წლიდან წელიწად-ნახევრამდე შუალედი) არც ისე სასურველია. ამ დროს განსაკუთრებით მაღალია ნაადრევი მშობიარობის რისკი, დედაც ვერ ასწრებს რეაბილიტაციას და ბავშვის შემდგომი ჯანმრთელობაც მეტად არის საფრთხის ქვეშ.

ასევე არ არის სასურველი 5 წელზე მეტი ხნით გადადოთ მეორე შვილის გაჩენა. არც ეს ყოფილა სასარგებლო დედის ჯანმრთელობისთვის. ამ პერიოდში დედას შეიძლება გაუჩნდეს ასაკის მატებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემები, რაც ნეგატიურად აისახება ორსულობის მიმდინარეობაზე.

მეცნიერების აზრით, საუკეთესო შუალედია 2-დან 4 წლამდე პერიოდი. სწორედ ამ დროს ჯობს მეორე შვილის გაჩენა.

# კუბა ტერორიზმის სპონსორი ქვეყნების სიიდან ამოიღეს

**ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ კუბა ტერორიზმის სპონსორი ქვეყნების სიიდან ოფიციალურად ამოიღო.** ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ავრცელებს. განცხადების მიხედვით, ამ გადაწყვეტილების მიღებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზება ითვალისწინებს. ექსპერტების განცხადებით, ეს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.






# ყველაზე უჩვეულო ციხეები



## ციხე კუნძულ ბასტოიზე, ნორვეგია

**ამ ციხეში არ არის არც მავთულხლართი და არც მკაცრი ზედამხედველები აკონტროლებენ ვითარებას.** აქ ადამიანები, საპატიმროების ნაცვლად, ხის კოტეჯებში ცხოვრობენ. ტერიტორიაზე არის რამდენიმე პლაჟი, ჩოგბურთის მოედანი და საუნა. ყველა სასჯელმისჯილს აქვს სამსახური, სადაც ისინი 8:30 და 15:30-მდე ატარებენ დროს. ყოველდღიურად თავისუფლებააღკვეთილი ადამიანები გასამრჯელოს სახით 10 დოლარს იღებენ.



## სუომენლინის ციხე, ფინეთი

**ეს არის მსუბუქი რეჟიმის ციხე, რომელშიც მსუბუქი კანონდარღვევების მქონე ადამიანები იხდიან სასჯელს.** პატიმრები დალაგებითა და ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე წესრიგის შენარჩუნებით არიან დაკავებულები.



## უანდსვორტის ციხე, ინგლისი

**ციხე პატიმრებს საგანმანათლებლო და აღმზრდელობით კურსებს სთავაზობს, ასევე საპატიმრო დაწესებულებას კავშირი აქვს ამერშემის და უოკომბის კოლეჯებთან.** ციხეში ორი სატრენაჟორო და სპორტული დარბაზია. ციხეში არიან კათოლიკური, ანგლიკანური, მუსლიმანური, ინდუისტური, ბუდისტური აღმსარებლობის მღვდლები და იეღოვას მოწმეები. ყველაზე საინტერესოა, რომ პატიმრებს საკუთარი რადიოსადგურიც კი გააჩნიათ.



## ჰალდენის ციხე, ნორვეგია

**ჰალდენის ციხის თითოეული საკანი საკუთარი სასტუმრო ოთახითა და პლაზმური ტელევიზორითაა აღჭურვილი.** გარდა ამისა, პატიმრებს საშუალება აქვთ, ივარჯიშონ დარბაზებში, ითამაშონ ფეხბურთი და ჩაწერონ სიმღერები ხმის ჩამწერ სტუდიაში. ერთი სიტყვით, ნორვეგიის ამ ციხეში ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებისა და თვითრეალიზაციისთვის ყველა პირობაა შექმნილი.





## სებუს ციხე, ფილიპინები

**ამ ციხის ხელმძღვანელობა თვლის, რომ დაკავებულების რეაბილიტაცია ქორეოგრაფიის მეშვეობით უნდა მოხდეს.** სებუს ციხის პატიმრების ცეკვის ვიდეოებმა დაახლოებით ერთი წლის წინათ ინტერნეტი დაიპყრო და ციხეს მსოფლიო პოპულარობა მოუტანა. გარდა ამისა, თვითონ მოცეკვავე პატიმრები ფილიპინებზე ნამდვილ ვარსკვლავებად იქცნენ.

გაერთეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" საფირმო სკანვორდი და მსოფლიოში პოპულარული სუდოკუს ამოცანები

სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები იხ. 32-ე გვერდზე



1. ერთ-ერთი თანავარსკვლავედი
2. ერთგვარი რევოლვერი
3. სასტიკი მმართველი
4. იგივეა, რაც ცვარი
5. ცხვრის სახეობა
6. ერთ-ერთი მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან
7. ფრანგი მწერალი ... ზოლა
8. მსახიობი ... პარისი
9. შტატი აშშ-ში
10. რაიმესადმი ავადმყოფური დამოკიდებულება
11. მიმართვა ფრანგი მეფეებისადმი
12. არგენტინის ყოფილი პრეზიდენტი ... პერონი
13. მსახიობი ტომი ... ჯონსი
14. მომღერალი ... ფურცელაძე
15. ისლამის მიმდევარი
16. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ... კლინტონი
17. ცხოველი, გავრცელებულია სამხ. ამერიკაში
18. ქვეყანა ჩრდ. აფრიკაში
19. მუსლიმთა წმინდა ქალაქი
20. ბილიარდის ჯოხი
21. რეჟისორ იოსელიანის სახელი
22. ფრანგი მწერალი ... ვერნი
23. თანხმობა ესპანურ ენაზე
24. ვენესუელის პატრიოტი ... ბოლივარი
25. საგანგებო დავალება
26. გამარჯვების ქალღმერთი
27. ალექსანდრე პუშკინის მკვლელი
28. გზის პირას მდებარე სასტუმრო
29. ბგერის არეკვლა რაიმე საგნებზე
30. რაიონი თბილისში
31. თურქეთის დედაქალაქი
32. მსახიობი ... აფლეკი
33. სახელმწიფო დას. აფრიკაში
34. მწერალი ... ქიჩელი
35. რუსი პრიმადონა ... პუგაჩოვა
36. იგივეა, რაც დრომა
37. სანელებელი, იყენებენ პარფიუმერიაში
38. უნივერსიტეტი ... მატერი
39. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი
40. ცნობილი მესაყვირე ... ბოტი
41. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
42. კაზინოებით ცნობილი ქალაქი ნევადაში
43. საზღვაო ბრძოლის ხერხი
44. ფრანგი მხატვარი კლოდ ...
45. თუთიყუშის სახეობა
46. მზის ღმერთი ეგვიპტურ მით.-ში
47. ერთქულიანი მოგება ნარდში
48. მსახიობი ... პაჩინო
49. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
50. ირანის დედაქალაქი
51. მონასტერი დას. საქართველოში
52. მმართველი მუსლიმანურ ქვეყნებში
53. სასმელ-საჭმლის ჩამონათვალი რესტორანში
54. შტატი აშშ-ში ... იორკი
55. ნაკურთხი წყალი
56. ბიბლიური პერსონაჟი
57. ამერიკელი ჩოგბურთელი ... სამპრასი
58. განთიადი
59. „... მცნება"
60. ძვირფასი წითელი ფერის ქვა
61. პერსონაჟი ან.ფ. „მაუგლი"
62. საბავშვო სატელევიზიო გადაცემა
63. კედლის შანდალი
64. ვაჟა-ფშაველა „... შემჭამა ადამიანად"
65. ქუთაისის ძველი სახელი
66. ამერიკელი მწერალი ... ტვენი
67. მუს. ნოტი
68. სამორინე





## სუდოკუ

სუდოკუ (იაპ. სუ — ციფრი, დოკუ — ცალკე მდგომი) — ეს არის უძველესი იაპონური თავსატეხი, რომელიც დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული.

სუდოკუს ველი 81 კვადრატისგან შედგება (9X9), და მათგან რამდენიმეში (არანაკლებ 9-სა) ჩაწერილია ციფრები 1-დან 9-მდე (მინიშნებები). თავსატეხის ამოსახსნელად საჭიროა ყველა თავისუფალი კვადრატის შევსება ციფრებით 1-დან 9-მდე ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტში, აგრეთვე, თითოეულ პატარა კვადრატში (3X3-ზე) ყველა ციფრი გვხვდებოდეს მხოლოდ ერთხელ.

### მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | 5 | 8 | | | | 2 | 1 |
| | 7 | | | 6 | 9 | | | |
| | | | | | 2 | | 8 | |
| 4 | | | | | | | 1 | |
| | | | 3 | 9 | 8 | | | |
| | 9 | | | | | | | 2 |
| | 1 | | 5 | | | | | |
| | | | 9 | 3 | | | 6 | |
| 6 | 8 | | | | 1 | 4 | 3 | |

### საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 7 | 3 | 1 | 9 | | |
| 3 | | | 6 | | | | 8 | |
| | 7 | | | | 4 | | | |
| | 9 | 6 | | | | | | 8 |
| 5 | | 7 | | | | 4 | | 9 |
| 2 | | | | | | 7 | 1 | |
| | | | 2 | | | | 7 | |
| | 5 | | | | 7 | | | 6 |
| | | 2 | 8 | 9 | 6 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| | | 8 | | 9 | 7 | | | |
| 4 | | 2 | | | | 7 | 1 | |
| 5 | | 4 | 3 | | | | 8 | |
| | | | 2 | | 6 | | | |
| | 7 | | | | 8 | 1 | | 3 |
| | 9 | 3 | | | | 2 | | 6 |
| | | | 6 | 8 | | 5 | | |
| | | | | | | | | |

## 2 ივნისს სავსემთვარეობაა, ადამიანები ენერგიის მოზღვავებას იგრძნობენ. წარმატებას მიაღწევენ ტყუპისა და ლომის ნიშნით დაბადებულები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

### 3 – 9 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი

**21 მარტი – 20 აპრილი**

ცვლილებებისა და განახლების პერიოდია. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და საწადელს აუცილებლად მიაღწევთ. ოღონდ თქვენი ენერგია და ამბიციები საჭირო კალაპოტისკენ უნდა მიმართოთ.

არ ღირს სარისკო ფინანსური ოპერაციების განხორციელება და აზარტულ თამაშებში ჩართვა.

ამ პერიოდში ვერძების (შეყვარებულებისა და დაქორწინებულებისაც) ცხოვრება რომანტიზმით იქნება აღსავსე — ელით წვეულებაზე მიპატიჟება და სასიამოვნო სიურპრიზები.

ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ფიზიკურ დატვირთვებს — ივარჯიშოთ და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## კურო

**21 აპრილი – 21 მაისი**

მოდუნების საშუალება არ მოგეცემათ. თავს შეგახსენებთ წარსულში დაშვებული შეცდომები და მათგან გამოწვეული პრობლემების მოგვარების აუცილებლობის წინაშე დადგებით. გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინეთ ახლობლებისა და კოლეგების რჩევები. ისინი მზად იქნებიან, მხარში ამოგიდგნენ.

დაქორწინებულმა კუროებმა მეტი დრო უნდა დაუთმონ ოჯახის პრობლემების მოგვარებას. კარგი პერიოდია ბინის გასარემონტებლად.

კორექტივები შეიტანეთ კვების რეჟიმში და თავი აარიდეთ ცხიმიან საკვებს.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივნისი.**

## ტყუპი

**22 მაისი–21 ივნისი**

კარგი პერიოდია ცვლილებების დასაწყებად. გადახედეთ ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობას და გაწყვიტეთ ყველა კავშირი, რომელიც წინსვლაში გიშლით ხელს. სარისკო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობამ შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგიყვანოთ, ამიტომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას შეეცადეთ, დაიცვათ ბალანსი სიყვარულის ფიზიკურ და სულიერ მხარეებს შორის.

ამ პერიოდში მაღალია ფარისებრი ჯირკვლების ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ ჩაიტარეთ გამოკვლევები.

**დადებითი დღე: 6 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივნისი.**

## კირჩხიბი

**22 ივნისი–22 ივლისი**

დადგა დრო, ყველას აჩვენოთ, რა შეგიძლიათ. სამსახურში გამოავლინეთ ინიციატივა და ხელმძღვანელობას ახალი პროექტები შესთავაზეთ. კოლეგები თქვენს იდეებს მხარს აუცილებლად დაუჭერენ.

თუ მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებთ და საყვარელი ადამიანის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებთ, შეიძლება მასთან ურთიერთობაში პრობლემები შეგექმნათ.

დაიცავით კვების რეჟიმი. რაციონში შეიტანეთ მეტი ხილი და ბოსტნეული — ასე გაიუმჯობესებთ დაქვეითებულ იმუნიტეტს.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივნისი.**

## ლომი

**23 ივლისი –22 აგვისტო**

შესანიშნავი პერიოდია იმ ლომებისთვის, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ახალი, საპასუხისმგებლო საქმის დაწყება. ლომები ახლა გასამარჯვებლად არიან განწყობილნი და შეეცდებიან, მიზანს უმოკლესი გზით მიაღწიონ, თუმცა შემოსავლების მომატებას მოგვიანებით უნდა ელოდონ.

მოიმატებს ლომების მომხიბვლელობა და არ არის გამორიცხული, მარტოხელებმა ცხოვრების თანამგზავრები იპოვონ.

ლომები, რომლებიც ნაკლებად მოძრავი საქმით არიან დაკავებული, მეტად უნდა დაიტვირთონ ფიზიკურად. დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივნისი.**

## ქალწული

**23 აგვ. –23 სექტემბ.**

ერთგული მეგობრებისა და თანამშრომლების მხარში ამოდგომის წყალობით ბევრი ქალწული მეტად თავდაჯერებული იქნება. გაბედულად იარეთ დასახული მიზნებისკენ და კვლავ ეცადეთ, ახლობლების რჩევები გაითვალისწინოთ. შეიძლება გაგიჩნდეთ სარფიანი გარიგების დადების შანსი, მაგრამ ყველა გარემოება კარგად უნდა შეისწავლოთ და გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილებს, მათ თქვენი მზრუნველობა დასჭირდებათ.

ამ პერიოდში შეიძლება თავი იჩინოს გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემამ, ამიტომ ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევები.

**დადებითი დღე: 3 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 8 ივნისი.**

## სასწორი

**24 სექტ. – 23 ოქტ.**

დინამიკური პერიოდია. დროა, გადახვიდეთ გადამწყვეტ მოქმედებებზე და დაიკავოთ თქვენი ადგილი მზის ქვეშ. ერიდეთ მოუფიქრებელ ნაბიჯებს.

შორეული ნაცნობისგან შეიძლება მიიღოთ მხარდაჭერა, რაც ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ.

აჩუქეთ საყვარელ ადამიანს გულწრფელი გრძნობები, უფრო მეტად იზრუნეთ მასზე და თქვენი ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება.

დაიცავით კვების რეჟიმი და თავი აარიდეთ ალკოჰოლს. თუ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემა გაქვთ, აუცილებლად ჩაიტარეთ გამოკვლევა.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივნისი.**

## მორიელი

**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

მორიელს წარმატებას მოუტანს კოლექტიური საქმიანობა. ეს თავმოყვარე მორიელებისთვის ადვილი არ არის, მაგრამ, თუ კარიერაში წინსვლა გსურთ, ასე უნდა მოიქცეთ.

შესაძლოა, ურთიერთობა გაგიმწვავდეთ ბიზნესპარტნიორებთან. საქმე სასამართლომდე რომ არ მივიდეს, კომპრომისული გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ.

შესაძლოა, ურთიერთობა დაგეძაბოთ ახლო ნათესავებთან. ამის მიზეზი უძრავი ქონება იქნება.

ფიზიკური და ემოციური დაძაბულობის ფონზე შეიძლება ჯანმრთელობის მდგომარეობა გაგიუარესდეთ, ამიტომ მეტი დაისვენეთ და ვიტამინებით მდიდარი საკვები მიიღეთ.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივნისი.**

## მშვილდოსანი

**23 ნოემ. – 21 დეკ.**

მშვილდოსანი

დასახული მიზნებისკენ სვლას ქაოსურად ნუ დაიწყებთ. იმოქმედეთ ნელა და მეთოდურად. ყურადღება გაამახვილეთ მთავარზე და გაანალიზეთ, რა დაგჭირდებათ მიზნის მისაღწევად.

ამ პერიოდში მოგიწევთ დაფიქრება, რისი მიღება გსურთ ცხოვრებისა და ადამიანებისგან.

შეეცადეთ, პასუხისმგებლობით მოეკიდოთ მოვალეობებს და გახსოვდეთ, რომ ვალდებულებების შესრულება წინსვლის საუკეთესო საშუალებაა. კარგი პერიოდია ახალი რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად.

დაიცავით კვების რეჟიმი, რადგან მაღალია კუჭ-ნაწლავის სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## თხის რქა

**22 დეკემ. – 20 იან.**

მნიშვნელოვანი ცვლილებების მოსამზადებელი პერიოდია. სამსახურში, შესაძლოა, გაგირთულდეთ ურთიერთობები კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან. თუმცა, თუ დიპლომატიურობას გამოიჩენთ, ყველა პრობლემას მოაგვარებთ.

სიფრთხილე გამოიჩინეთ დოკუმენტების გაფორმებისა და ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას.

შესაძლოა, მარტოხელა თხის რქებმა გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთან ურთიერთობა მგზნებარე რომანში გადაიზრდება.

ამ პერიოდში მაღალია ფეხის ტრამვირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## მერწყული

**21 იან. – 19 თებ.**

ნერვული დაძაბულობა, რომელიც პირად ცხოვრებაში შექმნილი პრობლემებით იყო გამოწვეული ნელ-ნელა ჩაცხრება.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგიწევთ ვალის აღება ან ბანკიდან კრედიტის გამოტანა.

თქვენი მომხიბვლელობა მოიმატებს და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების ყურადღებას მიიზიდავთ.

დაქორწინებულმა მერწყულებმა მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის ხანდაზმული წევრების მიმართ.

კარგი პერიოდია კანის დაავადებების სამკურნალოდ და კოსმეტიკური პროცედურების ჩასატარებლად.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## თევზები

**20 თებ. – 20 მარტი**

ემოციური და ფიზიკური დაძაბულობის ფონზე შეიძლება დეპრესია დაგეწყოთ, მაგრამ პირქუშ აზრებს თავი უნდა დააღწიოთ და მხოლოდ პოზიტივზე იფიქროთ.

განწყობას გაგიუმჯობესებთ საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა, მათი მზრუნველობა.

ეს საუკეთესო პერიოდია საყვარელ ადამიანთან ერთად რამდენიმე დღით მოგზაურობისთვის. თუ ამის საშუალება არ გაქვთ, შეეცადეთ, დასვენების დღეები ერთად გაატაროთ ან უახლოესი ადამიანები შინ მიიწვიოთ.

შეეცადეთ, სრულფასოვნად დაისვენოთ და ძალები აღიდგინოთ. სწორად იკვებეთ და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 9 ივნისი.**



### ირაკლი ღარიბაშვილი:

# სამართლიანობა, კანონიერება, ჰუმანურობა — ეს არის სამი ძირითადი პრინციპი, რომლებითაც ხელისუფლებაში მოვედით

**საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქუთაისში, პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა.**

„ჩვენი მთავრობისთვის და პირადად ჩემთვის ძალიან ძვირფასია თითოეული პოლიციელი. მე ვიცი, რაოდენ რთულია თქვენი საქმიანობა, მაგრამ, ამასთანავე, ხშირად ავიწყდებათ, მათ შორის, პოლიტიკოსებს, მოქალაქეებს, რაოდენ მძიმე ტვირთს ატარებთ თქვენ. ეს არის 24-საათიანი მუშაობა, უძილო ღამეები. ჩემთვის განსაკუთრებით საამაყო და საპატიო იყო ის, რომ ერთი წლის განმავლობაში მერგო პატივი, ვყოფილიყავი შს მინისტრი. შემიძლია, ამაყად გითხრათ, რომ მე გულწრფელად ვემსახურე შინაგან საქმეთა სამინისტროს. მჯერა, რომ თითოეული ჩვენ მიერ გაკეთებული საქმე აძლიერებდა ამ სამინისტროს, მაგრამ არა ჩემი ან ჩვენი პოლიტიკური გუნდის ინტერესებისთვის, არამედ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისთვის. ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დღიდან აქამდე ბევრი გავაკეთეთ ამ სისტემის გარდაქმნის საქმეში“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ სწორედ მისი შს მინისტრობის დროს დაიწყო ძირეული რეფორმები, ტრანსფორმაცია, რამაც განაპირობა პოლიციელების სახელმწიფო სამსახურში ჩაყენება.

„ჩვენ მიერ გაცხადებული მთავარი პრინციპები არის სამართლიანობა, კანონიერება, ჰუმანურობა, რომლებიც არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს“, — აღნიშნა პრემიერმინისტრმა და დასძინა, რომ ეს პოლიტიკა გრძელდება ვახტანგ გომელაურის შს მინისტრობის დროსაც.



# 16-დან 18 წლის პირთა ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება

**2015 წლის 25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისთვის 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე თანხმობის წესის ცვლილების თაობაზე.**

საკანონმდებლო წინადადების გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, საჭიროა, შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმადაც, 16-დან 18 წლამდე პირთა ქორწინებაზე ნებართვის გაცემის შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს ექნება. დღემდე მოქმედი კანონი საშუალებას აძლევდა არასრულწლოვან პირებს, მათი ქორწინების რეგისტრაცია მშობლების თანხმობის საფუძველზე მოეხდინათ. გამომდინარე იქიდან, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ინიციატორები ხშირად არასრულწლოვანთა მშობლები არიან და ზოგიერთ შემთხვევაში ქორწინება მათი იძულებითაც კი ხდება, ცვლილება შესაძლებლობას მოგვცემს, ასეთი ტიპის შემთხვევების პრევენცია მოვახდინოთ და საპატიო მიზეზის არსებობისას სასამართლომ იმსჯელოს არასრულწლოვან პირთა ქორწინების შესაძლებლობაზე.



# კოლომოისკი: სააკაშვილი ოდესას რუსეთს ჩააბარებს

**დნეპროპეტროვსკის ყოფილი გუბერნატორი იგორ კოლომოისკი ამტკიცებს, რომ ოდესის ყოფილ გუბერნატორ იგორ პალიცას პოსტიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება არ დაუწერია, როგორც მან ეს მასმედიას განუცხადა.**

**„გაკვირვებული ვარ სააკაშვილის დანიშვნით. ვფიქრობ, რომ ის დროებითი ფიგურაა. ახლა სააკაშვილი ოდესას რუსებს ჩააბარებს, შემდეგ კი ჩვენ მისი ომით უკან დაბრუნება მოგვიწევს. გარკვეული პერიოდი იქნება გუბერნატორად, შემდეგ კი მას შეცვლის რომელიმე არარაობა, მაგალითად, ისეთი, როგორც არის გონჩარენკო“,** — განაცხადა კოლომოისკიმ.

იგორ პალიცა, რომელიც ოდესის გუბერნატორი იყო, იგორ კოლომოისკის კადრად ითვლება და თანამდებობაზე 2014 წლის 6 მაისს დაინიშნა. უკრაინის პრეზიდენტის — პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილებით, პალიცა სააკაშვილმა შეცვალა. სააკაშვილმა გუბერნატორად დანიშვნამდე უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად დაკარგა. საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად მან საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით უნდა მიმართოს, რის შემდეგაც გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებს.

# «აგროდაზღვევის» პროგრამაში მონაწილე ფერმერებს ზარალი სრულად აუნაზღაურდებათ

**ძლიერი სეტყვის გამო, გორის რაიონში სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროდაზღვევის“ პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარები დაზარალდნენ.** სადაზღვევო კომპანიების აგენტები სატელეფონო შეტყობინებების საფუძველზე ადგილებზე ეტაპობრივად გავლენ და სეტყვით გამოწვეულ ზარალს დაითვლიან, ჯერჯერობით ზარალის ოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია. აგროდაზღვევაში მონაწილე ფერმერებს ზარალი სრულად აუნაზღაურდებათ. პროგრაში, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახორციელებს, გორის რაიონში მცხოვრები 333 ფერმერი მონაწილეობს. სახელმწიფო პროგრამა ფერმერებს შესაძლებლობას აძლევს, დააზღვიონ მოსავალი სტიქიურ მოვლენებზე, როგორიცაა: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოუწოდებს ყველა ფერმერს, ჩაერთოს აგროდაზღვევის პროგრამაში, რათა თავიდან აიცილოს სტიქიით გამოწვეული ზარალი.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თანაუგრძნობს დარეჯან ანდრიაძეს დეიდის

ეთერ ანდრიაძე-ნასყიდაშვილის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 4 ივნისს, 14 საათზე.

მისამართი: ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი №22, ბინა №23

ირაკლი თოდუა და ვანო ხვიბლიანი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო (ჯემსი) ხვიბლიანი

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი: 4-5 ივნისს;

დაკრძალვა: 6 ივნისს, მესტიაში, სოფელი იელი.

# 30-ე გვერდზე გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ფოტოებზე: ოტია იოსელიანი; კოლიზეუმი; სალვადორ დალი. 1. ორიონი; 2. ნაგანი; 3. ტირანი; 4. ნამი; 5. მერინოსი; 6. პირამიდა; 7. ემილ; 8. ედ; 9. მიჩიგანი; 10. მანია; 11. სირ; 12. ხუან; 13. ლი; 14. აჩი; 15. შიიტი; 16. ბილ; 17. ლამა; 18. ლიბია; 19. მექა; 20. კიი; 21. ოთარი; 22. ჟიულ; 23. სი; 24. სიმონ; 25. მისია; 26. ნიკე; 27. დანტესი; 28. მოტელი; 29. ექო; 30. ისანი; 31. ანკარა; 32. ბენ; 33. განა; 34. ლეო; 35. ალა; 36. ალამი; 37. ვანილი; 38. ალმა; 39. ტანკერი; 40. კრის; 41. პან; 42. ლას; 43 აბორდაჟი; 44. მონე; 45. არა; 46. რა; 47. ოინი; 48. ალ; 49. სუ; 50. თეირანი; 51. გელათი; 52. ემირი; 53. მენიუ; 54. ნიუ; 55. აიაზმა; 56. ნოე; 57. პიტ; 58. ალიონი; 59. ათი; 60. ლალი; 61. ბაგირა; 62. ბაბილინა; 63. ბრა; 64. რამ; 65. აია; 66. მარკ; 67. ლა; 68. კაზინო.**

## მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 8 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 4 | 3 | 7 | 6 | 2 | 5 | 8 | 1 | 9 |
| 5 | 2 | 1 | 3 | 9 | 8 | 6 | 7 | 4 |
| 8 | 9 | 6 | 4 | 1 | 7 | 3 | 5 | 2 |
| 3 | 1 | 4 | 5 | 8 | 6 | 2 | 9 | 7 |
| 7 | 5 | 2 | 9 | 3 | 4 | 1 | 6 | 8 |
| 6 | 8 | 9 | 2 | 7 | 1 | 4 | 3 | 5 |

## საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 8 | 7 | 3 | 1 | 9 | 5 | 4 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 1 | 5 | 8 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 1 | 9 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 4 | 6 | 9 |
| 2 | 3 | 4 | 9 | 6 | 8 | 7 | 1 | 5 |
| 4 | 6 | 9 | 2 | 5 | 3 | 8 | 7 | 1 |
| 8 | 5 | 3 | 1 | 4 | 7 | 2 | 9 | 6 |
| 7 | 1 | 2 | 8 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 |
| 6 | 5 | 8 | 1 | 9 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 |
| 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 5 | 4 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 | 1 | 2 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 7 | 5 | 1 | 2 | 4 | 6 |
| 2 | 4 | 7 | 6 | 8 | 3 | 5 | 9 | 1 |
| 1 | 6 | 5 | 9 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 |

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894